1. climate change and the resulting (though not only) eco-cultural transformation in traditional (and especially industrial) business sectors pose complex challenges and tasks for society, business, management and government, which involve both reducing the harmful impact on the environment and the social responsibility of management and business. In particular, improving, transforming and upgrading the working environment (both physical and emotional) in line with sustainable development requirements and new cultural norms through eco-cultural transformation, which in turn requires additional capital investment and innovation in production (e.g., cleaning devices, air and water filters, noise reduction, etc.), i.e. increasing costs and consumer prices and reducing competitiveness. Overcoming these problems requires greater creativity in market positioning and at the same time provides an opportunity to gain a reputational advantage with the right positioning.
2. In the service sector, eco-cultural transformation offers more opportunities. There is less need for large simultaneous investments, and the possibility of solid and fashionable positioning is greater.
3. Cultural transformation creates demand for a new service environment and new forms. This new demand pushes the market to offer the customer an environment and services that meet his demand, i.e. a new cultural standard caused by eco-cultural transformation; the need for an ecological environment; about ecological products; Ecological services and the emphasis on ecological services lead to the creation of an appropriate environment and appropriate services.

It should be noted that marketing moves conditioned by new ecological-cultural norms of

modern business, in turn, lead to further ecological-cultural transformation.

Cultural (eco-cultural) Transformation

Conventionally, cultural transformation can be represented as a three-stage cyclical process:

1. At a certain stage, under the influence of a certain (described above) dynamics in society or in the consumer market, new trends and "fashionable" tendencies appear.
2. Business positions itself in the consumer market as "the most fashionable" (either the business itself, or the service, or the product, or the management, or the environment is fashionable), that is, it responds best to the new cultural norm or standard.

Thus, business positions itself through marketing activities, namely: it studies market demand, determines the priority of its clients, determines the "weaknesses" of a potential client, i.e. ways to attract him, conducts advertising and promotional campaigns, measures feedback and, based on the results of this feedback, advertises the most successful product as much as possible.

A product, commodity, service, business, brand, trademark, symbol, advertisement, logo, slogan, motto, philosophy, value, policy, style become so recognizable and popular in society that they go beyond the category of consumers and become a new cultural norm, tradition and custom (as a symbol of fashion).

Some basic terms and concepts:

It seems necessary to mention some basic terms and to note the importance of some basic concepts:

Climate change.

Climate change has significant consequences on social ecology and eco-cultural transformation. temperature rise, rising sea levels and degradation of the natural environment are directly linked with changes in social structures and cultural practices. Forced displacement of populations, shortages of water and food resources, Natural disasters accelerate the development of currently existing social ecosystems. Tendencies in which people are forced to adapt to new changes with conditions. Ecoculture. Ecoculture involves complex human relationships between societies and their natural environment, emphasized as symbiotic interactions, as well as the evolution of cultural values. Mentioned From the point of view of ecoculture as an event and the term denoting it Understanding occurs from two points of view: on the one

hand, it is symbiotic. Cooperation with nature (nature is the same nature - self-generating or created and given by God/gods) and culture (which is created, developed and spread by man) between; On the other hand, ecoculture presupposes Transformation of human cultural norms into "consumer-parasitic" norms.

From the model (where societies exploit natural resources, and not they care not only about their restoration, but also about their reproduction and maintenance) "caring-developing"; Towards a model (where cultures protect the environment and They develop it, take care of it and develop it. Maintains the long-term health of the environment). Ecocultural transformation in culturally developed societies Emotional sensitivity to climate change and the environment as a whole increase. to, moral responsibility for caring for and taking care of the environmental feeling that drives societies to create new cultural practices, towards education and development that eventually spreads to society in large part and accumulates in cultural transformation, that's all this is called ecocultural transformation

Findings

Impacts on Social Ecology

Climate change influences social structures by instigating shifts in relationships and dependencies within societies. Rising global temperatures, water scarcity, and migration reshape community dynamics, with people often moving from rural to urban areas for better opportunities. This adaptation process fosters changes in the way social systems are structured, promoting environmental stewardship as a necessary social value.

Eco-Cultural Transformation in Practice

Eco-cultural transformation manifests through practical adaptations across various communities. Urban populations increasingly embrace green spaces and sustainable building practices, while rural communities adopt regenerative agricultural methods. These changes are not merely responses to environmental pressures but also represent a cultural shift toward valuing ecological harmony and sustainability.

Case Study: Traditional Communities

In traditional communities, climate change accelerates the decline of certain cultural practices while fostering the emergence of sustainable alternatives. For instance, the necessity for sustainable water management in arid regions has prompted traditional communities to

integrate innovative, sustainable practices while maintaining respect for cultural heritage. These communities demonstrate resilience by adopting eco-friendly practices, which serve as cultural symbols of their response to environmental challenges.

Conclusion

The study underscores the interconnectedness of ecological and social transformations, illustrating how climate change necessitates eco-cultural adaptations. Communities, whether urban or rural, respond to environmental pressures by fostering sustainable practices and evolving social norms that reflect a collective ecological responsibility. Understanding these eco-cultural transformations is crucial in promoting resilience and guiding policy-making for sustainable development.

References

1. Adger, W. N., Barnett, J., Brown, K., Marshall, N., & O'Brien, K. (2013). Cultural dimensions of climate change impacts and adaptation. *Nature Climate Change*, 3(2), 112-117.
2. Folke, C., Carpenter, S., Walker, B., Scheffer, M., Chapin, T., & Rockström, J. (2010). Resilience thinking: Integrating resilience, adaptability, and transformability. *Ecology and Society*, 15(4), 20.
3. Moser, S. C., & Ekstrom, J. A. (2010). A framework to diagnose barriers to climate change adaptation. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 107(51), 22026-22031.
4. Thornton, T. F., & Manasfi, N. (2010). Adaptation—genuine and spurious: Demystifying adaptation processes in relation to climate change. *Environment and Society*, 1(1), 132-155.
5. 1. IPCC Reports (Intergovernmental Panel on Climate Change) URL: <https://www.ipcc.ch/reports/>
6. Ostrom, E. (2009). A general framework for analyzing sustainability of social-ecological systems. *Journal: Science*, 325(5939), 419-422.
7. Kates, R. W., Travis, W. R., & Wilbanks, T. J. (2012). Transformational adaptation when incremental adaptations to climate change are insufficient. *Journal: Proceedings of the National Academy of Sciences*, 109(19), 7156-7161.
8. Stern, N. (2006). Stern Review on the Economics of Climate Change. URL:<https://webarchive.nationalarchives.gov.uk/ukgwa/>
9. McMichael, A. J., Woodruff, R. E., & Hales, S. (2006). Climate change and human health: present and future risks. *Journal: The Lancet*, 367(9513), 859-869.
10. Porter, M.E., & Kramer, M. R. (2011). Creating shared value: How to reinvent capitalism—and unleash a wave of innovation and growth. *Journal: Harvard Business Review*, 89(1/2), 62-77.
11. Hart, S. L. (1995). A natural-resource-based view of the firm. *Journal: Academy of Management Review*, 20(4), 986-1014.
12. Meadowcroft, J. (2011). Engaging with the politics of sustainability transitions. *Journal: Environmental Innovation and Societal Transitions*, 1(1), 70-75
13. Bäckstrand, K., & Lövbrand, E. (2006). Planting trees to mitigate climate change: Contested discourses of ecological modernization, green governmentality and civic

environmentalism. Journal: Global Environmental Politics, 6(1), 50-75.

14. Jänicke, M. (2005). Trend-setters in environmental policy: the character and role of pioneer countries. Journal: European Environment, 15(2), 129-142.
15. Steurer, R. (2013). Disentangling governance: a synoptic view of regulation
by government, business, and civil society. Journal: Policy Sciences, 46(4), 387-410.

გავლენის ინვესტიციები - სოციალური ზემოქმედება და ფინანსური შედეგები

დოქტორი, თეა კასრაძე, დოქტორანტი, ლიანა ჭიჭაყუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქველმოქმედება და ვენჩურული ფილანტროპია სიახლეს არ წარმოადგენს ინვესტირების სფეროში. უკვე საუკუნეზე მეტია სხვადასხვა ჯგუფები ცდილობენ ინვესტორები მიმართონ სოციალურ თუ გარემოსდაცვით პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ინვესტიციებისკენ. თუმცა, ფაქტია ინვესტიცია მოგების გარეშე ნაკლებად მიმზიდველია ნებისმიერი ინვესტორისთვის. 2007 წელს პირველად გაჩნდა ტერმინი გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირება, რაც გულისხმობდა სოციალური თუ ეკოლოგიური გავლენისთვის ინვესტირებას და ამავდროულად ფინანსური მოგების მიღებას.

ტერმინი „გავლენებზე ორიენტირებული ინვესტიციები“ (Impact Investing) 2007 წლიდან გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე და სულ უფრო პოპულარული ხდება. მიუხედავად მისი პოპულარობისა კვლევები და ნაშრომები ასეთი სახის ინვესტიციებზე მცირეა, საქართველოში კი მათ შესახებ სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები თითქმის არ არსებობს. დღეის მდგომარეობით ქვეყანაში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ფონდი, რომელიც დაკავებულია ამ საქმიანობით. გავლენის ინვესტორების რიცხვი ძალიან მცირეა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამაგიდო კვლევას, რომლის მიზანია გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების პრეისტორიის და კონცეფციის შესწავლა, მისი არაფინანსური ეფექტის მქონე ინვესტიციებთან შედარება და არსებული ბაზრის ანალიზი მისი ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობაზე გავლენის შესწავლის კონტექსტში. ნაშრომში აქცენტილიტერატურის მიმოხილვაზეა გაკეთებული და ბაზრის შესაფასებლად ძირითადად GIIN-ის წლისურ ანგარიშებს ეფუძნება.

საკვანძო სიტყვები: გავლენის ინვესტიციები, ფილანტროპია, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგიური გავლენა, სოციალური კეთილდღეობა

Impact Investing - Social Impact and Financial Performance

Abstract

Charity and venture philanthropy are not new in the fields of investment. For more than a century, various groups have been trying to direct investors to make socially or environmentally responsible investments. However, the fact is that investing without profit is less attractive to any investor. In 2007, the term "impact investing" first appeared, which meant investing in social or environmental impacts and while generating financial returns.

The term "impact investing" has appeared since 2007 and is becoming increasingly popular. Despite its popularity, few studies and articles about impact investments exist. There are almost no scientific studies or articles about them in Georgia. Today there is only one fund in the country that is engaged in this activity. The number of impact investors is quite limited.

The presented article is a desk study that aims to examine the background and concept of impact investments, compare it to investments with non-financial effects, and analyze the existing market in the context of examining the impact on its economic, environmental and social well-being. The article is devoted to a literature review and is mainly based on GIIN annual reports for market assessment.

Keywords: impact investments, philanthropy, social responsibility, environmental impact, social well-being.

შესავალი

გლობალური ზემოქმედების საინვესტიციო ქსელის (GIIN) გავლენის ინვესტიციას განმარტავს, როგორც ინვესტიცია კომპანიებში, ორგანიზაციებსა და ფონდებში რათა მიღწეულ იქნეს გაზომვადი სოციალური და გარემოსდაცვითი დადებითი ზემოქმედება ფინანსურ შემოსავალთან ერთად (Trelstad, 2016).

გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების სათავე მე-20 საუკუნის ბოლოდან იწყება, როდესაც სოციალურად მოაზროვნე მეწარმეებმა და ფილანტროფებმა გლობალური პრობლემების გადაჭრის ახალი გზების ძიება დაიწყეს. ქველმოქმედების ტრადიციული მეთოდები ხშირ შემთხვევაში ვერ იძლეოდა მდგრად შედეგებს, ამიტომ გაჩნდა ფინანსური სარგებლისა და სოციალური გავლენის შერწყმის იდეა.

გავლენის ინვესტიციები საინვესტიციო ბაზრის სწრაფად მზარდ სეგმენტს

წარმოადგენს. მისი განვითარებისკენ მიმართული პირველი ნაბიჯები იყო 2000-იანი წლების დასაწყისში Acumen და Skoll Foundation ფონდების შექმნა.

დღეს სულ უფრო და უფრო მეტი ორგანიზაცია თუ ინვესტორი ინტერესდება ამგვარი დაფინანსებებით. თუმცა, იგი კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია, რაც გამოწვეულია იმით, რომ მსგავსი სახის ინვესტიციებს ხშირად უტოლებენ სოციალურპასუხისმგებლობაზედაფუძნებულ ინვესტიციებსა და ფილანტროფიას.

გავლენის ინვესტიცია ტრადიციული საინვესტიციო მოდელისგან განსხვავებით, მიმართულია კონკრეტულ სოციალურ ზემოქმედებაზე. ხოლო, ქველმოქმედებისგან განსხვავებით იგი ორიენტირებულია ფინანსური შემოსავლების მკაფიო მოთხოვნაზე. სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტორები მხარს უჭერენ ისეთ კომპანიებს რომლებიც იზიარებენ თავიანთ შეხედულებებს ადამიანის უფლებების, გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა პასუხისმგებლობის შესახებ.

განასხვავებენ გავლენის ინვესტიციის რამდენიმე სახეს:

- **სოციალური საწარმოები** - ეს არის ბიზნესები რომელთა მიზანს წარმოადგენს ისეთი სოციალური პრობლემების გადაჭრა როგორებიცაა სიღარიბე, განათლება, ჯანმრთელობა და გარემო. წარმატებული სოციალური საწარმოების მაგალითებია: Grameen Bank – რომლის დევიზიც არის, ბანკი ღარიბი მოსახლეობისთვის. ის მიკროსესხებს გასცემს დაბალი სოციალური ფენის წარმომადგებლებზე, Toms Shoes - რომლებიც მათთან ყოველი შეძენილი წყვილი ფეხსაცმლის საპასუხოდ ერთ წყვილ ფეხსაცმელს ჩუქნიან გაჭირვებულებს.
- **მწვანე ობლიგაციები (Green Bonds)** - ეს არის სავალო ფასიანი ქაღალდები რომლებიც შექმნილია ეკოლოგიურად მდგრადი პროექტების დასაფინანსებლად. ისინი ძირითადად გამოიყენება, ენერგოეფექტურობის, ნარჩენებისა და წყლის მართვის სფეროში ინვესტიციებისათვის.
- **ეთიკური ფონდები** - არიან საინვესტიციო ფონდები რომლებიც აქტივებს ეთიკური კრიტერიუმების საფუძველზე აბანდებენ. ისინი გამორიცხავენ საინვესტიციოდ ისეთ ინდუსტრიებს, რომლებსაც ზიანის მოტანა შეუძლიათ საზოგადოებისა თუ გარემოსთვის. ასეთ ინდუსტრიებს წარმოადგენენ თამბაქოსა და იარაღის წარმოება, აზარტული თამაშები და სხვა

გავლენის ინვესტიციებს ორმაგი ზემოქმედება აქვთ - ფინანსური სარგებელი და დადებითი სოციალური გავლენა, თუმცა სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება/გაზომვა ინვესტორისგან საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია: გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების კონცეფციის და პრეისტორიის მიმოხილვა; მისი არაფინანსური ეფექტის მქონე ინვესტიციებთან შედარება; არსებული ბაზრის ანალიზი და მისი მნიშვნელობის განხილვა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოცალური კეთილდღეობისთვის. ნაშრომი წარმოადგენს სამაგიდო კვლევას - მასში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების შესახებ, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები. კვლევაში ასევე დამუშავებული იქნა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია.

ლიტერატურის მიმოხილვა

სოციალურ პასუხისმგებლობებზე დაფუძნებული ინვესტიციები (SRI) სათავეს XVIII-XIX საუკუნეებში იღებს. როდესაც გარკვეული საინვესტიციო ჯგუფები თავს იკავებდნენ ისეთ ინდუსტრიებში ინვესტიციებისგან რომლებსაც თვლიდნენ, რომ შესაძლოა ზიანი მოეტანათ სოციუმისთვის. ასეთი ინდუსტრიებს წარმოადგენდნენ ალკოჰოლისა და თამბაქოს წარმოება, ქიმიური წარმოება, მონებით ვაჭრობა და სხვა.

სოციალურ პასუხისმგებლობებზე დაფუძნებული ინვესტიციების თანამედროვე ერა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. მარტინ ლუთერ კინგის მიერ ინიცირებული ეკონომიკური განვითარების „ოპერაცია პურის კალათა“ (Operation Breadbasket) ჩიკაგოში შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ პასუხისმგებლობებზე დაფუძნებული ინვესტიციების ადრეულ მოდელად.

პროგრამა „პურის კალათა“ (Operation Breadbasket) - დაარსდა ატლანტაში. პროგრამის თავდაპირველი მიზანი იყო აფროამერიკელი მუშაკებისთვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა. თავდაპირველად გამოსვლები ტარდებოდა ატლანტაში და მის მახლობელ ქალაქებში. ორგანიზაციას სურდა ხელი შეეწყობა „შერჩევითი შესყიდვებისთვის“, რაც გულისხმობდა თეთრკანიანთა მფლობელობაში მყოფი ბიზნესზე ზეწოლას, რომ დაექირავებინათ შავკანიანი მუშახელი და მათგან შეეძინათ როგორც საქონელი, ასევე მომსახურება.

1966 წელს ჩიკაგოში „პურის კალათა“ თავდაპირველად გამიზნული იყო ხუთ რძის მწარმოებელ კომპანიაზე. სამი მათგანი თავიდანვე დათანხმდა დაუყონებლივ შეექმნა სამუშაო ადგილები შავკანიანებისთვის, დარჩენილმა ორმა, კი თანხმობა მხოლოდ ბოიკოტის შემდეგ განაცხადეს. ჩიკაგოს „პურის კალათამ“ დაიწყო Pep-

si -ს, Coca-Cola-სა და დიდი სუპერმარკეტების შევიწროება. შედეგად პირველი 15 თვის განმავლობაში შავკანიანი მოსახლეობისთვის 15 მილიონი დოლარის ღირებულების 2000-მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. (Stanford - The Martin Luther King, Jr. Research and Education Institute, n.d)

1967 წელს „ოპერაცია პურის კალათა“ გახდა ნაციონალური ორგანიზაცია. ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ შედგა 40-ზე მეტი წარმატებული ბოიკოტი, შედეგად 8000-მდე აფროამერიკელი დასაქმდა სხვადასხვა კომპანიებში. რიგი გარემოფაქტორების გამო „ოპერაციამ პურის კალათა“ 1971 წელს დასრულდა.

ისტორიის ეს ნაწილი შესაძლოა მართლაც ჩაითვალოს სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ინვესტიციების ერთ-ერთ პირველ მოდელად. „პურის კალათამ“ აიძულა ბიზნესები გამოეყოთ ფინანსური რესურსი და შეექმნათ სამუშაო ადგილები შავკანიანი მოსახლეობისთვის. ადამიანების უფლებების გარდა, დღის წესრიგში დადგა ეკომეგობრული ბიზნეს ლანდშაფტის შექმნის საკითხიც.

1984 წელს კლიმატისა და გარემოსდაცვითი პრობლემების საპასუხოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა მდგრადი საინვესტიციო ფორუმი (US SIF). ფორუმის მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა 1986 წელს ჩერნობილის კატასტროფის შემდგომ.

ამ ფორუმის არსებობა დიდ როლს ასრულებს სოციალურ პასუხისმგებლობებზე დაფუძნებულ ინვესტიციებში. ფორუმი აქტიურად მუშაობს მდგრადი და გავლენიანი ინვესტიციების მიმართულებით რომლებიც ორიენტირებულნი არიან სოციალურ კეთილდღეობაზე. US SIF ეხმარება ინვესტორებს შეიმუშაონ სტრატეგიები რომლებიც ორიენტირებულნი არიან არამარტო მოგებაზე არამედ მნიშვნელოვან სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე.

1996 წელს, ბიზნესმენებისა და მეცნიერების ჯგუფის მიერ შეიქმნა სოციალური საინვესტიციო ფორუმის ფონდი (SIFF) მდგრადი და საპასუხისმგებლო ინვესტირების საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციისთვის (SRI).

გაჩნდა ტერმინი „ვენჩურული ფილანტროპია“ რომელიც ჯონ როკფელერმა პირველად გამოიყენა 1969 წელს ფილანტროპიისადმი წარმოსახვითი და რისკიანი მიდგომის აღსაწერად, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ორგანიზაციების მიერ.

ფილანტროფია განიმარტება, როგორც დროის, ადამიანური და ფინანსური

რესურსების უსასყიდლო გაღება საჯარო კეთილდღეობისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, კერძო რესურსების მოხმარება საზოგადოებრივი სიკეთისთვის. (მხეიძე, 2022)

ვენჩურული ფილანტროფიის მიზანია შექმნას ძლიერი სოციალური ორგანიზაციები და პროექტები როგორც ფინანსური ასევე არამატერიალური მხარდაჭერით. სოციალური ინვესტიციები ისეთი სტარტაპების კენაა მიმართული რომლებსაც დადებითი გავლენა აქვთ სიღარიბის დაძლევაში, გარემოს დაცვაში, განათლებაში თუ სხვა. თუმცა ასეთი სახის ინვესტიციები უფრო მეტად ორიენტირებულია სოციალურ პასუხისმგებლობაზე და მისთვის მეორეხარისხოვანია ფინანსური სარგებელი.

2007 წელს გაჩნდა ახალი ტერმინი გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციები (Impact Investing). ასეთი სახის ინვესტიციები შეიძლება მივიჩნიოთ ვენჩურული ფილანტროფიის გაგრძელებად, რადგან ისიც ორიენტირებულია შეამციროს სამეწარმეო სფეროს უარყოფითი გავლენა სოციალურ თუ ეკოლოგიურ ფაქტორებზე. თუმცა, ვენჩურული ფინანსებისგან განსხვავებით გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციები ბიზნესში სოციალური თუ ეკოლოგიური ლანდშაფტის გაუმჯობესების გარდა ორიენტირებულია ფინანსურ მოგებაზე. ასეთი ინვესტიციების იდეას წარმოადგენს საინვესტიციო კაპიტალის გამოყენება დადებითი სოციალური გავლენის მისაღწევად.

როკფელერის ფონდის, JPMorgan Chase -ს ჰოლდინგისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების ფონდის (USAID) ინიციატივით 2009 წელს შეიქმნა გლობალური ზემოქმედების საინვესტიციო ქსელი (Global Impact Investing Network – GIIN).

გავლენის ინვესტიციების ზემოქმედების გაზომვის თავისებურებები

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს სფეროში არსებობს პოტენციური ინვესტიციების ფინანსური სარგებლის შეფასების უამრავი ინსტრუმენტი, სოციალური კეთილდღეობის გაზომვა ფინანსურ ჭრილში საკმაოდ რთულია. ზემოქმედების გაზომვა დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ეს გამოწვეულია მონაცემთა შეგროვების სირთულისგან, სტანდარტების არარსებობისგან და შეფასების სუბიექტურობისგან.

შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიდგომა ზემოქმედების ეფექტურობის გასაზომად:

- ცვლილებების თეორია (Theory of Change) - აღწერს ცვლილებების პროცესს, მათ შორის გრძელვადიან მიზნებს, შუალედურ შედეგებსა და აუცილებელ ქმედებებს. (United Nations Development Group)
- ლოგიკური მოდელი (Logic Model) - ახდენს რესურსების, აქტივობების, შედეგებისა და ზემოქმედების ვიზუალიზაციას. (Ecotone Analytics GBC, 2018)

გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების ზემოქმედების გასაზომად იყენებენ რიგ ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიებს:

- IRIS+ (Impact Reporting and Investment Standards): სოციალური და გარემოზე ზემოქმედების გაზომვის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების სისტემა;
- GIIRS (Global Impact Investing Rating System): სარეიტინგო სისტემა კომპანიებისა და ფონდების გავლენის შესაფასებლად;
- SROI (Social Return on Investment): მეთოდი, რომელიც სოციალურ და გარემოზე ზემოქმედებას ფულად ეკვივალენტებად გარდაქმნის;
- ზემოქმედების მართვის პროექტი (IMP): რომელიც შეიქმნა ზემოქმედების ინვესტიციების გავლენის გაზომვისა და მართვის საერთო სტანდარტების შემუშავების მიზნით;
- ფულის მრავალჯერადი გავლენა (IMM) - ეკონომიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკაზე ფულის მიწოდების ცვლილების გავლენის გასაანალიზებლად.

ისეთი მეთოდების გამოყენება როგორებიცაა, IRIS+, GIIRS, SROI, IMM და IMP, ეხმარება ინვესტორებს მონაცემების სტრუქტურირებაში და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გამოწვევების მიუხედავად მომავალში სტანდარტებისა და ტექნოლოგიების განვითარება შესაძლებელს გახდის გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების ზემოქმედება უფრო მეტად გაზომვადი გახდეს.

გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების ბაზარი სწრაფად მზარდია. გლობალური ზემოქმედების საინვესტიციო ქსელის (GIIN) მონაცემების მიხედვით, ბაზრის მოცულობამ 2022 წელს 715 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, როდესაც ბაზრის მოცულობა 60 მილიარდ ამერიკულ დოლარს არ აღემატებოდა. GIIN-ის შეფასებით 2030 წელს ბაზრის მოცულობამ შესაძლოა 2 ტრილიონ ამერიკულ დოლარს აღემატებოდეს.

გლობალური ზემოქმედების საინვესტიციო ქსელის (GIIN) 2022 წლის ანგარიში

იძლევა საშუალებას მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნას გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების ბაზრის მიმდინარე მდგომარეობასა და დინამიკაზე.

განვიხილოთ 2022 წლის მოხსენების ძირითადი მიგნებები და ასპექტები:

- 2022 წელს ზემოქმედების საინვესტიციო ბაზარმა 1,164 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია რაც სტაბილური ზრდის მაჩვენებელია 2020 წელთან მიმართებაში, როდესაც ბაზრის მოცულობა იყო დაახლოებით 715 მილიარდი აშშ დოლარი;
- საშუალოწლიური ზრდის ტემპი (CAGR) 2022 წლამდე ასე გამოიყურება:

წარდგენის საწყისი წელი	საშუალოწლიური ზრდის ტემპი CAGR (2022 წლამდე)	n
2016	11%	42
2017	12%	47
2018	11%	54
2019	20%	66
2020	7%	81

წყარო: 2022 Sizing The Impact Investing Market

2022 წლის ანგარიშის მიხედვით სოციალურ გავლენებზე ორიენტირებული ბაზრის ზრდა სხვადასხვა სეგმენტებში ასე გამოიყურება:

- მწვანე ობლიგაციები: 2008 წლიდან ასეთი სახის ობლიგაციები აქტუალობას არ კარგავს და სულ უფრო პოპულარული ხდება საჯარო თუ კერძო ინსტიტუტებში. მწვანე ობლიგაციების ემისია 43%-ით გაიზარდა წელიწადში და მისმა მოცულობამ 2021 წელს 578 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. მწვანე ობლიგაციების პოპულარობამ ხელი შეუწყო სხვა მდგრადი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებას. 2021 წელს მთლიანი მდგრადი ობლიგაციების ემისიამ გადააჭარბა 1 ტრილიონ აშშ დოლარს, რაც აბსოლუტურ მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი თანხაა, მაგრამ იმავე პერიოდში მთლიანი გლობალური ობლიგაციების ემისიის მხოლოდ 4%-ია. მიუხედავად ამ ნიუანსებისა, მწვანე ობლიგაციების ბაზრის სწრაფმა ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალური გავლენის საინვესტიციო ბაზარზე.
- გავლენაზე ორიენტირებული კორპორაციული ინვესტიციები: კორპორაციებს, როგორც წესი, აქვთ ფულადი რეზერვები ბაზრის გაურკვევლობასთან

გამკლავებისთვის, სამომავლო პროექტების დასაფინანსებლად ან გარკვეული ფინანსური მიზნების მისაღწევად.

პანდემიის დროს, 2020 წლის ბოლოს აშშ-ს არაფინანსური კომპანიების მიერ შენახული ფულადი რეზერვები გაიზარდა 2.15 ტრილიონ დოლარამდე, რაც წინა წელთან შედარებით 32%-ით მეტია. ბოლო წლებში გაიზარდა გავლენაზე ორიენტირებული კორპორაციული ინვესტიციები.

კორპორაციები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტს თავიანთი ფულადი რეზერვების ინვესტირებისთვის დადებითი სოციალური გავლენების უზრუნველსაყოფად. 2020 წელს, 50 უმსხვილესი საჯარო ვაჭრობის მქონე ამერიკულმა კორპორაციამ პირობა დადო, რომ განახორციელებდა 45,2 მილიარდი აშშ დოლარის სესხებსა და ინვესტირებას პროექტებში, რომლებიც მხარს უჭერენ Black Lives Matter მოძრაობას.

კორპორატიული ფულადი რეზერვების მასშტაბი, ისევე როგორც მათი მხარდი ვალდებულება სოციალური ცვლილებების გატარებისკენ, ქმნის მიმზიდველ შესაძლებლობებს სოციალური გავლენის ინვესტირების ბაზარზე შემდგომი ზრდისთვის.

გავლენაზე ორიენტირებულმა ინვესტიციებმა კონკურენტული ფინანსური შედეგები აჩვენა. GIIN-ის თანახმად, ზემოქმედებაზე ორიენტირებული ინვესტიციების დაახლოებით 88%-მა მიაღწია ან გადააჭარბა ფინანსური შემოსავლის მიზნებს.

ინვესტიციებისთვის ყველაზე მიმზიდველ ასპექტს წარმოედგენს მოსალოდნელი ინვესტიციის უკუგება (ROI), რომელიც წელიწადში 5%-დან 10%-მდე მერყეობს.

გავლენის ინვესტიციებმა ინვესტიციებს შორის დიდი პოპულარობა 2010 წელს მოიპოვა, როცა გამოქვეყნდა J.P. მორგანის ანგარიშები, რომელიც ხახს უსვამდა ასეთი სახის ინვესტიციების უდეიდეს პოტენციალს. კვლევის შედეგები მომდევნო 10 წლის გამნავლობაში გავლენის ინვესტიციების გლობალური მასშტაბით ზრდას პროგნოზირებდა, კერძოდ საუბარი იყო 1000 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტირების კაპიტალსა და 667 მილიარდ აშშ დოლარამდე მოგებაზე (Mocci, 2018).

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კვლევის მოლოდინები გამართლდა. 2024 წლის მდგომარეობით გლობალური გავლენის საინვესტიციო ბაზარი დაახლოებით 1,33 ტრილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული და 2029 წლისთვის მის 1,88 ტრილიონ აშშ დოლარამდე ზრდას პროგნოზირებენ, 7,17%-იანი რთული წლიური ზრდის ტემპით. (CAGR)

2024 წლის მდგომარეობით, გავლენის ინვესტირების ბაზრის მოგება \$550.52 მილიარდამდე აშშ დოლარამდე გაიზრდება, რაც წარმოადგენს CAGR-ს 15.1%-ს 2023 წელთან შედარებით როცა ბაზრის მოგება 478,15 მილიარდ აშშ დოლარად იყო შეფასებული.

ბაზრის გაფართოებაში დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუციური ინვესტორების ინტერესს. ამ ინვესტორების ინტერესს ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მიღება წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ ბაზრის ზომა 2030 წლისთვის 4,5 ტრილიონ დოლარს მიაღწევს, რთული წლიური ზრდის ტემპი კი (CAGR) 18,6%-ს მიაღწევს 2023 წლიდან 2030 წლამდე.

დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირება საქართველოში შედარებით ახალი სიტყვაა ინვესტიციების ბაზარზე.

საქართველოში პირველი გავლენის ფონდი („აქციო“) 2022 წელს დაარსდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ (CS-RDG).

აღნიშნული ფონდი ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას პირდება სოციალურ საწარმოებს. ასევე დაეხმარება მათ სოციალური გავლენის, დაგეგმვაში, მართვასა და შეფასებაში.

ფონდი გასცემს 50 000 ევრომდე ფინანსურ მხარდაჭერად გრანტისა და 0%-იანი სესხის სახით ისეთ სოციალურ საწარმოებზე რომლებიც დააკმაყოფილებენ მათ კრიტერიუმებს.

დღეის მონაცემებით ფონდს ყავს 4 ბენეფიციარი სოციალური საწარმო, ჯამში გაცემული აქვს 40 000 ევრო სასესხო და 110 049 ევროს მოცულობის საგრანტო ინვესტიცია.

დღესდღეობით „აქციოს“ უკვე ყავს პირველი გავლენის ინვესტორები. მათ შორისაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და კერძო პირები. მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში მოხდეს სოციალურ გავლენებზე ორიენტირებული ინვესტიციების შესახებ ცნობიერების ამაღლება და დადებითი ცვლილებები ამ კუთხით.

დასკვნა

გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების ბაზარი მზარდია. ეს არის ახალი სიტყვა ეკონომიკაში რომელსაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც ცალკეული ინვესტორებისა თუ საწარმოებისთვის ასევე ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური და სოციალური ლანდშაფტისთვისაც.

ასეთი საინვესტიციო სტრატეგია მიზნად ისახავს სოციალური და გარემოზე დადებითი ზემოქმედებით ფინანსური სარგებლის მიღებას.

გავლენაზე ორიენტირებულ ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიოსთვის, რადგან სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები სულ უფრო კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება. ასეთი სახის ინვესტიციის განვითარებას ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც შეიძლება ქონდეს მთელი რიგი დადებითი შედეგები:

- სოციალური განვითარება: გავლენაზე ორიენტირებულ ინვესტიციებს შეუძლია ეფექტურად დაუპირისპირდეს ისეთი სოციალური პრობლემებს როგორებიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პრობლემა და სხვა;
- ეკონომიკური ზრდა: ინვესტიციებს სოციალურ და გარემოსდაცვით პროექტებში შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და ახალი ინდუსტრიების განვითარება;
- გარემოსდაცვითი მდგრადობა: ზემოქმედების ინვესტირებას შეუძლია ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად მდგრადი ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას;
- ინვესტიციების მოზიდვა: გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების განვითარებამ შეიძლება მოიზიდოს დამატებითი ინვესტიციები ქვეყნის შიგნით, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისგან, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

საქართველოში გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირება ახლა იკიდებს ფეხს. მისმა განვითარებამ შეიძლება არა მხოლოდ კონკრეტული სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებელი მოიტანოს, არამედ ხელი შეუწყოს საერთო ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აქციო - გავლენის ფონდი. (n.d). *ფონდის პორტფელი*. მოპოვებული 2024 წლის 25 05, www.actio.ge: <https://www.actio.ge/ge/sponsored-დან>
2. მხეიძე, მ. (2022). ფილანთროპია და მონალისეობრივი საქმიანობა. (ლ. ფანიაშვილი, რედ.) თბილისი. მოპოვებული 2024 წლის 05 06
3. Acumen. (n.d.). *Acumen Launches Energy Impact Report*. Retrieved 06 04, 2024, from <https://acumen.org/>: <https://acumen.org/>
4. Alex Nichollas, Jarrod Ormiston. (2023). Financial market transformations for investing in social impact. In D. W. Giorgi Krlev, *Social Economy Science* (pp. 106-137). Retrieved 05 29, 2024
5. Antony Bugg-Levine, Jed Emerson. (2011). *Impact Investing: Transforming How We Make Money While Making a Difference*. Retrieved 06 06, 2024
6. Beltramini, E. (2013). *S.C.L.C. Operation BreadBasket, From Economic Civil Rights To Black Economic Power*. London. მოპოვებული 2024 წლის 02 06
7. Bloomberg. (2023, November 27). *Bloomberg Integrates United Nations Framework to Assess Potential Company Impact on Sustainable Development Goals*. Retrieved 06 05, 2024, from <https://www.bloomberg.com>: <https://www.bloomberg.com/company/press/bloomberg-integrates-united-nations-framework-to-assess-potential-company-impact-on-sustainable-development-goals/>
8. CHEN, J. (2024, March). *Impact Investing: Definition, Types, and Examples*. Retrieved 06 05, 2024
9. Chris Addy, Maya Chorengel, Mariah Collins, Michael Etzel. (2019, January-February). *Calculating the Value of Impact Investing*. *Harvard Business Review*, 102-109. Retrieved 06 01, 2024
10. Ecotone Analytics GBC. (2018). *Designing Your Impact: Logic Models for Entrepreneurs and Investors*. Retrieved 05 27, 2024
11. Elena Dvoryadkina, Gulnara Kvon, Olga Pozdeeva. (2023). *Impact investing as a tool for achieving the targets for sustainable development of the region*. *ESMGT 2023*. Retrieved 29 05, 2024
12. European Cultural Foundation & Allianz Kulturstiftung. (2020). *Imagine Philanthropy*

- For Europe. Retrieved 06 01, 2024, from https://culturalfoundation.eu/wp-content/uploads/2020/11/ECF_Imagine-Philanthropy-for-Europe_V7-Web.pdf
13. Fairfielo. (2023, September). *Impact Investing Market*. Retrieved 06 08, 2024, from <https://www.fairfieldmarketresearch.com>: <https://www.fairfieldmarketresearch.com/report/impact-investing-market>
 14. GIIN. (2019, April). Core Characteristics of Impact Investing. Retrieved 05 27, 2024
 15. GIIN. (2022). Sizing The Impact Investing Market. Retrieved 06 06, 2024, from <https://s3.amazonaws.com/giin-web-assets/giin/assets/publication/research/2022-market-sizing-report-final.pdf>
 16. Graamen Bank. (n.d). *History*. Retrieved 06 06, 2024, from grameenbank.org.bd: <https://grameenbank.org.bd/international-program/history>
 17. Hayes, A. (2022). Venture Philanthropy: What it Means, How it Works, Origins. Retrieved 06 04, 2024, from <https://www.investopedia.com>.
 18. History.com Editors. (2023, January 10). *Montgomery Bus Boycott*. Retrieved 06 03, 2024, from history.com: <https://www.history.com/topics/black-history/montgomery-bus-boycott>
 19. How to maximise impact by investing in green bonds: Mirova's approach. (n.d.). Retrieved 05 25, 2024
 20. Impact investing: everything you need to know about impact investing. (2024). Retrieved 06 06, 2024, from <https://klimavest.de/en/knowledge/guide/impact-investment/>
 21. John Wiley & Sons. (2003). *Socially Responsible Investment: A Global Revolution*. Retrieved 06 05, 2024
 22. LIU, Y. (2023). The impacts and challenges of ESG Investing. *ICSSSED 2023*. Retrieved 05 31, 2024
 23. MarketsAndMarkets. (2020). Impact Investing Market by Illustrative Sector (Education, HealthCare, Housing, Agriculture, Environment, Clean Energy Access, Climate Change, Ginancial Inclusion, Rural Development, Sanitation & Wasre Management), and Country - Global Forecast To 2020. Retrieved 06 08, 2024, from <https://www.marketsandmarkets.com/>: <https://www.marketsandmarkets.com/Market-Reports/impact-investing-market-265004523.html>
 24. Mocci, E. (2018). IMPACT INVESTING: FINANCIAL PERFORMANCE OF. Retrieved 06 08, 2024

25. Mordor Intelligence. (n.d). *Market Size Of Impact Investing Industry*. Retrieved 06 08, 2024, from <https://www.mordorintelligence.com>: <https://www.mordorintelligence.com/industry-reports/impact-investing-market/market-size>
26. ROCKEFELLER PHILANTHROPY ADVISORS PHILANTHROPY ROADMAP. (n.d.). *IMPACT INVESTING An Introduction*. Retrieved 06 06, 2024
27. Stanford - The Martin Luther King, Jr. Research and Education Institute. (n.d). *Operation Breadbasket*. Retrieved 06 05, 2024, from kinginstitute.stanford.edu: <https://kinginstitute.stanford.edu/operation-breadbasket>
28. The Business - Research Company. (2024). *Impact Investing Global Market Report 2024*. Retrieved 06 08, 2024, from <https://www.thebusinessresearchcompany.com/>: <https://www.thebusinessresearchcompany.com/report/impact-investing-global-market-report>
29. Trelstad, B. (2016). *Impact investing: A Brief History*. *Capitalism and Society*. Retrieved 06 02, 2024
30. United Nations Development Group. (n.d.). *Theory Of Change*. Retrieved 06 06, 2024
31. Volk, A. (2019, April). *CREATING IMPACT: The Promise of Impact Investing*. Washington. Retrieved 06 05, 2024
32. Yeboah, S. A. (2023 წლის July). *Investing with Purpose: Unveiling the Potential of Impact Investing in Developing Nations*. Sunyani, Ghana. მოპოვებული 2024 წლის 02 06
33. Yeo, A. (2022, december 1). *A Brief History of Impact Investing in the United states*. Retrieved 05 29, 2024, from <https://scholarsoffinance.org/a-brief-history-of-impact-investing-in-the-united-states/>
34. Zakharova, E. (2023). *Impact Investing as an Object of Research*. Retrieved 06 06, 2024
35. Баранова, Н. (2017). *Виды и примеры импакт-инвестирования*. Получено 06 06 2024 г.

**ცრუმაგიერი პირი და მასთან დაკავშირებული საქართველოს
საგადასახადო კოდექსის საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზი**

დოქტორი, გიორგი ლორია

კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, რელევანტური გარემოებების სათანადოდ შესწავლის საფუძველზე, მკაფიოდ გამოიკვეთოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული ცრუმაგიერი პირების შესახებ არსებული საკანონმდებლო რეგულაცია და აიხსნას იმ ცვლილებების მიზნები და შედეგები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმებში 2004 წლიდან დღემდე.

ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენს იმ უცხო სახელმწიფოთა საგადასახადოსამართლებრივი რეგულაციების გავლენების გამოვლენა, რომლებიც აისახა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცრუმაგიერ პირებთან მიმართებით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ცრუმაგიერ პირებთან მიმართებით მხოლოდ ქონებრივი ვალდებულების შესრულების მოთხოვნას შეიცავს და არეგულირებს იმ ნორმებით, რომლებიც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღნისძიებებს ეხება. მაშინ როდესაც, ამ პირთა ქმედებებში მკაფიოდ იკეთება სამართალდარღვევის ნიშნები. საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული რეგულაცია გაანალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებთან კორელაციაში, რომლებიც ქონების გადამალვას და გადასახადისთვის თავის არიდებას ეხება.

კვლევის მიზანია, ცრუმაგიერი პირების და ცრუმაგიერი მფლობელობის შინაარსის შესწავლის საფუძველზე მისი რეალური ბუნების წარმოჩენა და განხორციელებული კვლევის შედეგად შესაბამისი დასკვნების და წინადადებების ჩამოყალიბება. ყოველივე ზემოთ თქმული კი ხელს შეუწყობს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფას და მის შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ცრუმაგიერი პირები; Alter Ego; საგადასახადო დავალიანება; ცრუმაგიერი მფლობელობა; საგადასახადო სამართალდარღვევა.

შესავალი

ცრუმაგიერი პირების გამოვლენა და მათ მიმართ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება საგადასახადო კანონმდებლობის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. საგადასახადო ორგანო, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, შეზღუდულია სამართლის კონსტიტუციური პრინციპებით. გადასახადის გადახდა გადამხდელი პირის ქონების, მოგების ან შემოსავლის ნაწილის სახელმწიფოს სასარგებლოდ გასხვისებას გულისხმობს, დაბეგვრა პირის საკუთრებასთანაა დაკავშირებული და საგადასახადო ორგანო საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის და კერძო საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცვის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს.

სახელმწიფო ფართომასშტაბური უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტია და თუ ის საკანონმდებლო რეგულაციებით დადგენილ შეზღუდვებში არ იქნება მოქცეული, დიდია ალბათობა, რომ გადასახადის გადამხდელი სუბიექტების ინტერესების ხელყოფით და მათი ნების უგულვებლყოფით დაარღვიოს მათი უფლებები. კანონმდებელი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, იმგვარად შეიმუშაოს საგადასახადოსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი აქტები, რომ საფრთხე არ შეუქმნას საკუთრების კონსტიტუციური უფლების სრულყოფილი მასშტაბით განხორციელებას. თუ მაინც ქნება ადგილი დარღვევებს, მაშინ კონსტიტუციური მართლწესრიგის აღდგენის გზა სასამართლოზე გადის და მართლმსაჯულების ორგანომ უნდა აღადგინოს დარღვეული უფლებები.

ცრუმაგიერ პირთან დაკავშირებული რეგულირების სათანადოდ შესწავლა და არსებული ხარვეზების გამოვლენა აქტუალურია, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საგადასახადოსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფისთვის ჯერ კიდევ არაა საკმარისი დრო გასული. ამასთან ერთად, საგადასახადო სამართლის კვლევას სამეცნიერო წრეებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა. სამართლის თეორიული შესწავლის და დამუშავების გარეშე კი პრაქტიკის ჩამოყალიბებას სასურველი შედეგები რომ არ მოაქვს, ეს თვითონ პრაქტიკამ აჩვენა.

ცრუმაგიერი მფლობელობა და ცრუმაგიერი პირი

ცრუმაგიერობის მარეგულირებელი ნორმა პირველად დაამკვიდრა 2004 წლის 22 დეკემბრის საგადასახადო კოდექსმა (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 91). მას შემდეგ ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება და შესაბამისი ნორმების პრაქტიკაში სწორად გამოყენება აქტუალობას არ კარგავს და დავის საგანს წარმოადგენს.

2004 წლის საგადასახადო კოდექსი არეგულირებდა „ცრუმაგიერ მფლობელობას“, 2011 წლიდან კი (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 246), კანონმდებლის მიზანია, გამოავლინოს გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირები. განსხვავება იმაშია, რომ 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლით დადგენილი რეგულაციით, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ გადასახადის გადამხდელის, ან საგადასახადო აგენტის, ან სხვა ვალდებული პირის განსხვავება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სხვა პირისგან იმის გამო, რომ გადამხდელი ამ პირს იყენებდა გადასახადებისგან თავის ასარიდებლად, ისინი ჩაითვლებოდნენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად და საგადასახადო ორგანოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, ამგვარი ცრუმაგიერი პირის მიმართ გაეტარებია საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 91). თანამედროვე რეგულაციებიდან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი დასათაურებულია ამგვარად: „გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირი“. მითითებული ნორმა ადგენს, რომ პირი გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად მიიჩნევა, „თუ ეს პირი მოსალოდნელი ან არსებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით გამოიყენება“ (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 246). ამ შემთხვევაშიც, საგადასახადო ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება, რომ ცრუმაგიერი პირის მიმართ გამოიყენოს ის ღონისძიებები, რასაც გამოიყენებდა გადასახადის გადამხდელის მიმართ.

განსახილველი ნორმა შესულია საგადასახადო კოდექსის XI კარის XXXV თავში, რომელიც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფას ეხება. აშნიშნული თავის 238-ე მუხლი განსაზღვრავს, რა ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია საგადასახადო ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელს აქვს საგადასახადო დავალიანება.

საგადასახადო დავალიანებას საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 23-ე ნაწილი განსაზღვრავს, როგორც გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხას და ზედმეტად გადახილი გადასახადების ან/და სანქციების თანხებს შორის სხვაობას.

საგადასახადო დავალიანებას კოდექსი სამართალურთიერთობის მონაწილე ერთი მხარის - საგადასახადო ორგანოს თვალსაზრისიდან გამომდინარე განსაზღვრავს. საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, საგადასახადო დავალიანება არის „გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო

სანქციის) თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხას შორის სხვაობა". გარკვეულწილად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს რეგულაცია საგადასახადო ორგანოს ცალმხრივი ნების გამოხატვას ეფუძნება. ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო დავალიანება პირს წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ მას ამგვარად მიიჩნევს საგადასახადო ორგანო. სინამდვილეში კი, გადასახადის გადამხდელს ევალდება თუ არა ამ ვალდებულების შესრულება, ეს ფაქტიური გარემოებების შესწავლის და ანალიზის შედეგად უნდა გაირკვეს.

ვალდებულების შესრულების კანონით განსაზღვრულ ვადამდე გადასახადის გადამხდელს ვერავინ აიძულებს თანხის გადახდას. ეს საგადასახადო კოდექსიდანაც ნათლად ჩანს. საგადასახადო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი საგადასახადო ვალდებულებად მიიჩნევს პირის ვალდებულებას, რომ მან გადაიხადოს გადასახადები. სანქციებზე და საურავზე აღნიშნული ნორმა არაფერს ამბობს, რადგან ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრება პირს, თუ ამ ვალდებულებას კანონით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში არ შეასრულებს. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს საგადასახადო ორგანოს მოთხოვნას და ის გაასაჩივროს. ვიდრე საგადასახადო დავა არ დასრულდება, გადასახადის გადამხდელის ვალდებულება მხოლოდ ჰიპოთეტურად რჩება და გადასახადის გადამხდელს აქვს შესაძლებლობა, დაასაბუთოს სადავო ვალდებულების სინამდვილესთან შეუსაბამობა.

საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობების სათანადოდ რეგულირებისთვის არამარტო საქართველოში, არამედ ევროპის სახელმწიფოებშიც კი ჯერ კიდევ არ არის თანმიმდევრული და რეალურ მოვლენებს მორგებული მოდელები შემუშავებული (Kalinowski & Prejs, 2021, p.103). საგადასახადო დავალიანების არსებობა სამართალდარღვევას არ გულისხმობს. შესაბამისად, ღონისძიებები, რომლებსაც მიმართავს საგადასახადო ორგანო, სადამსჯელო ხასიათს არ ატარებს. „სახელმწიფო იძულებულია, გადასახადის გადამხდელის მიმართ გამოიყენოს დამცავი ხასიათის ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს საგადასახადო დავალიანების შესრულება“ (როგავა, 2018, გვ. 393).

საგადასახადო კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს საგადასახადო დავალიანების არსებობას და გადასახადის თანხის შემცირებას. პირველი მათგანი გარანტირებულია გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებით, ხოლო მეორე კი წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას და ითვალისწინებს საგადასახადო სანქციებს.

ცრუმაგიერი პირი უცხოურ კანონმდებლობაში

ცრუმაგიერი პირის დოქტრინა, ისევე, როგორც „კორპორაციული საფარის მოხსნის“ დოქტრინა, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ანგლო-ამერიკულ სამართალში და განსაკუთრებით კი, სასამართლო პრაქტიკაში (როგავა, 2018, გვ. 434).

უცხოური სამართლებრივი დოქტრინა გამოსავალს სამართლიან რეგულაციებში და სასამართლო პრაქტიკაში ხედავს და მიიჩნევს, რომ დაბეგვრა გარკვეულ ძირითად პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს: არ შეიძლება კანონით გაუთვალისწინებელი გადასახადების დაკისრება, გადასახადები უნდა გამოიყენებოდეს მიუკერძოებლად, გადასახადით მიღებული შემოსავალი მხოლოდ კანონიერი საჯარო მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული და ამ პრინციპების განხორციელების გარანტი უნდა იყოს სასამართლოები (Vanistendael, 1996, p. 15).

უცხოური სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს Alter Ego და Nominee. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადის გადამხდელი და მისი ალტერ ეგო განიხილება, როგორც ერთი და იგივე სუბიექტი და Alter Ego-ს აქტივები ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურისთვის, რათა მოხდეს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესრულება. ამასთან, აუცილებელია, რომ გადასახადის გადამხდელი და ალტერ ეგო ისე უნდა იყვნენ აღრეული, რომ მათი ფინანსური საქმეების გამიჯვნა ვერ ხერხდებოდეს. Alter Ego არ გამოიყენება მხოლოდ კონკრეტული ქონების მიმართ, ის პოტენციურად ვრცელდება გადასახადის გადამხდელის ყველა საკუთრებაზე. ნომინალის, ე.ი. ნომინალური პირის დოქტრინა ფოკუსირებულია გადასახადის გადამხდელსა და ქონებას შორის ურთიერთობაზე და გადასახადის გადამხდელი ანიჭებს საკუთრების უფლებას მესამე მხარეს (Trissell, 2011, p. 38). უფრო მარტივად რომ ითქვას, ნომინირებული დოქტრინა ფოკუსირებულია კონკრეტულ ქონებაზე.

ანგლო-ამერიკული სამართალი Alter Ego დოქტრინის გამოყენების შემთხვევაში სამ მნიშვნელოვან ელემენტს გამოყოფს: 1. კორპორაცია უნდა ახორციელებდეს სრულ ბატონობას ცრუმაგიერი პირის ფინანსებზე და ქონებაზე ისე, რომ ცრუმაგიერ პირს ცალკე არსებობა პრაქტიკულად არ შეეძლოს; 2. ამგვარი კონტროლი უნდა გამოიყენებოდეს თაღლითობის ან სხვა სახის სამართალდარღვევისთვის ან არაკეთილსინდისიერი და უსამართლო ქმედებისთვის, რომელიც არღვევს მესამე პირების უფლებებს; 3. ამგვარმა ურთიერთობებმა უნდა გამოიწვიოს ზიანის მიყენება (Kuney, 2010, p. 135).

გაერთიანებული სამეფოს მოქმედ კანონმდებლობაში სასამართლოები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ Shadow Director დოქტრინას, რაც რეგულირდება 2015 წლის აქტით, რომლის მე-7 ნაწილში, რომელიც კომპანიების გამჭვირვალობას ეხება, ამ წლის აპრილის თვეში შევიდა ბოლო ცვლილებები (Small Business, 2015, Section 90).

ამერიკული სამართალი ცრუმაგიერობას სამართალდარღვევასთან აკავშირებს და მასში არაკეთილსინდისიერებასთან ერთად ზიანის მიყენების ფაქტსაც მოიაზრებს, რაც განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ანიჭებს სახელმწიფო ორგანოებს და კორპორაციული საფარველის გარღვევის შესაძლებლობას აძლევს. შედეგად კი, იმ პირთა ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რომლებიც კანონის „ფრთათა ქვეშ“ საიმედოდ და დაცულად გრძნობენ თავს. ალტერ ეგოს დოქტრინა შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა პირზე.

ცრუმაგიერი პირის დოქტრინის განვითარება ქართულ საგადასახადო კანონმდებლობაში

ცრუმაგიერი პირის მარეგულირებელი ნორმა საქართველოს საგადასახადო ნორმებში 2004 წლის საგადასახადო კოდექსში ჩნდება, მანამდე მოქმედი კოდექსის და საგადასახადო კანონმდებლობისთვის ის ჯერ კიდევ უცხოა (ურიდია, 2012, #6,(150)). 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად: „თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის/ საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის განსხვავება სხვა პირისაგან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გამოყენებულია გადასახადებისგან თავის ასარიდებლად, აღნიშნული პირები წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს“. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, თუ გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ჰქონდა შეუსრულებელი, ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება, ცრუმაგიერი პირის მიმართ გაეტარებია საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 91).

2010 წლის საგადასახადო კოდექსში გარკვეულწილად იცვლება საკითხისადმი დამოკიდებულება და ნორმა გამოიყენება მაშინ, თუ ცრუმაგიერი პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 246).

საგადასახადო კოდექსში ჩნდება „ბენეფიციარი მფლობელის“ მარეგულირებელი ნორმა, რომლის თანახმადაც, თუ პირი ისეთი ქონებიდან ღებულობს შემოსავალს, „რომელიც მას ოფიციალურად არ ეკუთვნის (შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი), დაამშემოსავალზე დაწესებული გადასახადებისაგან თავისარიდების მიზნით იყენებს ფიქტიურ პირს ან პირებს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ნებისმიერი ასეთი პირის საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს სოლიდარულად მათი ქონებიდან“ (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 247). თუმცა, 2013 წლის დეკემბერში 247-ე მუხლი ამოღებულ იქნა საგადასახადო კოდექსიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანამედროვე რედაქცია 246-ე მუხლში ამგვარად განიხილავს ცრუმაგიერობის საკითხს: „პირი გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად მიიჩნევა, თუ ეს პირი მოსალოდნელი ან არსებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით გამოიყენება.“

2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსი ყველაზე უფრო ახლოს იყო ამერიკულ Alter Ego-ს დოქტრინასთან, უფრო ფართო დიაპაზონის მოქმედებით გამოირჩეოდა და გაცილებით მრავალფეროვან საგადასახადოსამართლებრივ ურთიერთობებს აქცევდა საკუთარი რეგულირების ფარგლებში. იგივე საკითხის რეგულირების არეალი გარკვეულწილად დაავიწროვა შემდგომმა კოდექსმა. 2010 წლის კოდექსის რეგულირების სფერო საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების შემთხვევებს მოიცავდა და სწორად აღნიშნავდა ურიდია, რომ დღგ-ით დაბეგვრის შემთხვევაში, თუ პირი რამდენიმე საწარმოს დაარეგისტრირებდა და რიგ-რიგობით განახორციელებდა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ადვილად შეძლებდა დღგ-ის გადახდისგან თავის არიდებას, რადგან ქონების გადაცემას და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან თავის არიდებას არ ექნებოდა ადგილი ((ურიდია, 2012, #6,(150)).

დღეისთვის კანონმდებელი ცდილობს, იმგვარად განახორციელოს საგადასახადოსამართლებრივი რეგულირება, რომ გადასახადის გადამხდელს არ მისცეს შესაძლებლობა, სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის ხარჯზე დაიკმაყოფილოს საკუთარი მისწრაფებები. 2023 წლის 05 აპრილს, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, საგადასახადო ორგანოს მიეცა უფლებამოსილება, დღგ-ის მიზნებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირი განიხილოს ერთ პირად (თუნდაც რომ

ისინი ფორმალურ/იურიდიული თვალსაზრისით დამოუკიდებელ პირებად მიიჩნეოდნენ) იმ შემთხვევაში, თუ ამ პირების საქმიანობასთან ან მართვასთან დაკავშირებით ძირითად გადაწყვეტილებებს ერთი პირი იღებს და ამ პირების საქმიანობის ადგილი, სახეობა და შინაარსი იდენტურია (საქართველოს კანონი #2768-XIმს-XXმპ, მუხ. 1). აღნიშნული ნორმით კანონმდებელმა აღმოფხვრა ის ხარვეზი, რაც 2010 წლიდან ფიგურირებდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. 2023 წლის ცვლილებებამდე საგადასახადო ნორმები გადასახადის გადამხდელებს საგადასახადო ოპტიმიზაციის ისეთ შესაძლებლობას აძლევდა, რომელიც მიუღებელი იყო სახელმწიფოსთვის, მაგრამ უფლებამოსილების და საკანონმდებლო საფუძვლების არარსებობის გამო საგადასახადო ორგანოს ქმედითი ზომების მიღება არ შეეძლო.

საგადასახადო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის რეგულირების სფეროების გადაკვეთის წერტილები

ცრუმაგიერი პირის გამოვლენის საგადასახადო რეგულირება ყველა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. საკითხის სათანადოდ დაურეგულირებლობა გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობას აძლევს, დაუმალონ სახელმწიფოს ქონება და შესაბამისად, გადასახდელი თანხები და საჯარო ინტერესების უგულვებელყოფის ხარჯზე დაიკმაყოფილონ საკუთარი ინტერესები.

ცრუმაგიერი პირის შესახებ არსებული ნორმა განთავსებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXXV თავში, რომელიც ეხება საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ეს ღონისძიებები, როგორცაა : ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; გ) ქონებაზე ყადაღის დადება; დ) დაადალებული ქონების რეალიზაცია; ე) საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალების წარდგენა; და ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება, საგადასახადო ორგანოს მიერ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი არ ან ვერ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს (როგავა, 2018, გვ. 393) და ამგვარი შეუსრულებლობა საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, სამართალდარღვევად არ განიხილება. მითუმეტეს, რომ განხილული ღონისძიებები, გარდა საგადასახადო იპოთეკის და გირავნობისა, მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ აღიარებულია საგადასახადო დავალიანება.

კიდევ ერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც საგადასახადო ორგანოს

გადასახადის გადამხდელის მიერ დავალიანების აღიარების გარეშე შეუძლია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება. ამ უფლებამოსილების გამოყენება საგადასახადო ორგანოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია. კერძოდ კი, თუ რეალურად არსებობს იმის საშიშროება, რომ გადასახადის გადამხდელი გეგმავს თავისი ქონების გასხვისებას, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება. ამ ვითარებაში გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება მკაცრად განსაზღვრულ იმპერატიულ რეგულაციებშია მოქცეული. საგადასახადო ორგანომ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში, ყადაღის დადებიდან 48 საათში უნდა მიმართოს სასამართლოს და უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა პირის ქონებაზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. და თუ სასამართლო არ გამოიტანს განჩინებას ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, ყადაღა ჩაითვლება გაუქმებულად.

განხორციელებული მსჯელობიდან მკაფიოდ იკვეთება, რომ აღნიშნული საგამონაკლისო რეგულაციების გარდა, გადასახადის გადამხდელის ქმედებებში სამართალდარღვევა არ იკვეთება. საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებული პირის გარდა სხვა პირებს, ე.ი. მესამე პირებს მხოლოდ 240-ე მუხლით შეიძლება დაეკისროთ საკუთარი ქონებით ვალდებულების შესრულება, თუმცა ეს ნორმა სამართალდარღვევით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს არ განიხილავს.

რაც შეეხება ცრუმაგიერ მფლობელობას, ის აერთიანებს ორი სხვადასხვა პირის შეთანხმებულ ქმედებას, რომლის მიზანია, დაუმალონ სახელმწიფოს საგადასახადო დავალიანების მქონე პირის ქონება. აღნიშნული პირების ნება ერთმანეთთან თანხვედრაშია და ცხადია, გაუფრთხილებელი ქმედების შედეგს არ გულისხმობს. ფაქტობრივ ურთიერთობებში გამოსატული ნება ამ პირთა ქმედებაში ყურადღების ღირსია და მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსი სუბიექტურ მხარეს ხშირად მნიშვნელობას არ ანიჭებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ის წარმოადგენს ამოსავალ ვითარებას. ცრუმაგიერ პირებს წინასწარ აქვთ განზრახული, იმოქმედონ ერთობლივი ძალისხმევით ისე, რომ სახელმწიფომ კუთვნილი თანხები ვერ მიიღოს. საგადასახადოსამართლებრივი ურთიერთობა უპირველეს ყოვლისა, გადასახადის გადახდაზე დაფუძნებული ურთიერთობაა და ყველა სხვა ვალდებულება მის გარშემო ტრიალებს (Kalinowski

& Prejs, 2021, p. 106). გადასახადების გადახდა საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ამგვარი ქმედება შეუძლებელია, მართლზომიერების ფარგლებში იქნეს განხილული.

ცრუმაგიერი პირების შემთხვევაში მარტო ქონების გადამალვას არ აქვს ადგილი, გადასახადების შემცირებაც ხორციელდება, რადგან, ლოგიკურად, თუ პირი მალავს ქონებას და ეს პირი გადასახადის გადამხდელია, შესაბამისად, მას ქონების გადასახადის გადახდაც უწევს. გამონაკლისი შემთხვევაა, როცა გადასახადის გადამხდელი სარგებლობს მიკრო ბიზნესის სტატუსით, მაგრამ ამ სტატუსის მქონე პირს ისედაც არ გააჩნია გადასახადების გადახის ვალდებულება და ამიტომ, მისთვის ცრუმაგიერი პირების ძებნა ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

ცრუმაგიერი მფლობელობა სახელმწიფოს მატერიალურ ზიანს აყენებს, რადგან, ამ ვითარებაში ადგილი აქვს გადასახადების შემცირებას, რაც გადასახადის გადამხდელის სხვა პირთან შეთანხმებით, წინასწარ დაგეგმილად და განზრახვით ხორციელდება. შესაბამისად, როდესაც გადასახადის გადამხდელი თავს არიდებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ამით ის საგადასახადო ორგანოს უმაღლავს თავის ქონებას და მასთან ერთად, გადასახადებსაც. ცხადია, ამგვარი ქმედება შეუძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა არ იცის, რომ გააჩნია საგადასახადო დავალიანება, ამიტომ, სუბიექტური მხარე, პირდაპირი განზრახვით მოქმედება, როგორც გადასახადის გადამხდელის, ასევე მისი ცრუმაგიერი პირის ქმედებაში, მკაფიოდ იკვეთება.

ცრუმაგიერი პირების გამოყენება გადასახადების შემცირებისკენაა მიმართული. ის არღვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს და გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობას აძლევს, გადაიხადოს კანონით განსაზღვრულზე ნაკლები ან საერთოდ არ გადაიხადოს გადასახადი. ასეთ ვითარებაში, გადასახადის გადამხდელი მოქმედებს დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ. სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და მას ადმინისტრაციულ გადაცდომად მიიჩნევს კანონმდებლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირითადი მიზნებია, დაიცვას საკუთრების უფლება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგი და ამასთანავე, მისი მიზანია: „მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების,

პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით” (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 1). ამის გარდა, მითითებული კოდექსის მეათე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ გადაცდომად ითვლება პირის ბრალეული (როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა. განსახილველ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი მოქმედებს ბრალეულად, პირდაპირი განზრახვით, მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ და არღვევს კანონის მოთხოვნას. ეს ყველაფერი კი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სამართალდარღვევა.

საგადასახადო სამართალდარღვევების საფუძველზე შესაძლოა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულიც იქნეს ჩადენილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 205¹ -ე და 218-ე მუხლები სწორედ ამგვარ საკითხებს ეხება. 205¹ -ე მუხლში არსებული რეგულაციით ისჯება ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე. აღნიშნული ნორმის თანახმად: „საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ან/და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით“, წარმოადგენს დასჯად ქმედებას და ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ან გამასწორებელი სამუშაოთი, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 205¹).

სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული ნორმა, რომელიც ქონების გადამალვისთვის სასჯელს აწესებს, საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიმართ მეტისმეტად მკაცრია. ასეთი სანქციის გამოყენება მნიშვნელოვანი საფრთხის ან ზიანის მიყენების შემთხვევებშია გამართლებული. სისხლის სამართლის კოდექსის 205¹ მუხლის გამოყენება ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრულ შემთხვევებშია მიზანშეწონილი. ე.ი. როდესაც ქონების გადამალვა ხდება წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ამავე მუხლის შენიშვნით განმარტებულია, რომ დიდ ოდენობად ითვლება, თუ გადამალული ქონების ღირებულება აღემატება 10.000 ლარს. ნორმის პირველი ნაწილი ქონების ღირებულებას არ აზუსტებს და შესაბამისად, ნებისმიერი ღირებულების ქონების გადამალვა შესაძლებელია იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისგებას,

რაც თანამედროვე ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფოების სამართლებრივპოლიტიკასარშეესაბამება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით უფრო მკაფიოდ დაზუსტდეს განხილული ნორმით დასჯადი ქმედება და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მცირე და დიდი ოდენობით ღირებულების ქონების გადამალვისთვის სანქციები. მითუმეტეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდება, ხოლო დიდ ოდენობად კი ითვლება, თუ გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ასი ათას ლარს.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღნიშნოს, რომ ცრუმაგიერი პირების ქმედება წინასწარგანზრახული, საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებობისკენ მიმართული არამართლზომიერი ქმედებაა, რომელიც ატარებს საგადასახადო სამართალდარღვევის ნიშნებს. საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება „პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა“. აქედან გამომდინარე, ამგვარი ქმედება, რაც ცრუმაგიერ პირთა ურთიერთობაში ვლინდება, უნდა რეგულირდებოდეს საგადასახადო კოდექსის იმ თავით, რომელიც სამართალდარღვევებს ეხება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილი აცხადებს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის მიმართ, ქონებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად სანქციის სახით უნდა გამოიყენებოდეს კონკრეტული ღონისძიება. სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად უნდა ითვლებოდეს პირის ქმედება იმ შემთხვევაში, თუ ის მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგალითად, როდესაც ქონების გადამალვა ხდება წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

განხილულ შემთხვევაში საგადასახადო სანქციის სიმკაცრე იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც ფაქტის დაფიქსირება. გადასახადების გადახდა სავალდებულო ხასიათის მატარებელია და სახელმწიფოს არსებობის გარანტს წარმოადგენს. შესაბამისად, ვისაც საგადასახადო ვალდებულება წარმოექმნება,

ყველამ უნდა შეასრულოს იგი, შეუსრულებლობა კი სამართალდარღვევად განიხილება და ისჯება კანონით. ცრუმაგიერი პირის შემთხვევაშიც უნდა გამოიყენებოდეს ჯარიმა და ამგვარი ქმედება უნდა მიიჩნეოდეს საგადასახადო სამართალდარღვევად, რადგან თუ ასეთი გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო სანქცია არ იქნება გამოყენებული, მას შესაძლებლობა ექნება, პატიოსანი გადამხდელის სტატუსიც მოიპოვოს და შემდეგში საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული შეღავათებითაც ისარგებლოს, რაც არათანაბარ მდგომარეობაში ამყოფებს მათ და იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც კანონის მოთხოვნათა ფარგლებში მოქმედებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. როგავა ზ., (2018), საგადასახადო სამართალი, წიგნი I, თბ. „იურისტების სამყარო“.
2. ურიდია გონერ, ცრუმადიერი პირი და შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი, როგორც საგადასახადო კატეგორიები, #6(150), 2012, <http://aaf.ge/index.php?menu=1&rubr=0&mas=1429> . [30.04.2024].
3. Kalinowski, M., Prejs, E. (2021). Developing the Concept of a Tax Law Relationship Assumptions Concerning Scientific Research on this issue. Financial Law Review. No. 24 (4)/2021 P. 103.
4. Kuney, G., Don't Mistake the Proxy for the Rule: Alter Ego Liability in Tennessee. The Tennessee Journal of Business Law, Vol.11, 2010.
5. Trissell, T.D. , A Uniform standard for Alter Ego and Nominee Tax Litigation. The Federal Lawyer, June 2011.
6. Vanistendael, F., (1996), Legal Framework for Taxation. Tax Law Design and Drafting (volume 1; International Monetary Fund: 1996; Victor Thuronyi, ed.) Chapter 2, Legal Framework for Taxation.
7. Small Business, Enterprise and Employment Act 2015. Part 7. Section 90. <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2015/26/contents>> [30.04.2024].
8. საქართველოს 15.12.1984 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=545>> [30.04.2024].
9. საქართველოს 22.12.2004 კანონი # 692, საგადასახადო კოდექსი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69> > [30.04.2024].
10. საქართველოს 17.09.2010 კანონი # 3591, საგადასახადო კოდექსი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=219>> [30.04.2024].
11. საქართველოს 05.04.2023 კანონი #2768-XIმს-XXმპ, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5771372?publication=0#DOCUMENT:1;> > [30.04.2024].
12. საქართველოს 22.07.1999 სისხლის სამართლის კოდექსი, 18.04.2024 მდგომარეობით. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=261>> [30.04.2024].

**სამომხმარებლო გამოცდილებაში Gen Z-ის პრეფერენციების ანალიზი
და ხელოვნური ინტელექტის პერსპექტივების შეფასება ფინანსური
სერვისების გამოცდილების გაუმჯობესებაში**

დოქტორი, ნათია ჯიბლაძე, დოქტორი, ნინო ჯღამაძე,

დოქტორანტი, ნანა ახოზაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

უკანასკნელ ათწლეულში სწრაფი ტემპებით ხდება წარმოებასა და სერვისზე დაფუძნებული ეკონომიკიდან გამოცდილებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე ტრანსფორმაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მომხმარებელსა და კომპანიებს შორის შემხებლობას და მომხმარებელს უფრო მეტად ჩართულს ხდის კომპანიის მომსახურების პროცესებში. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების და სოციალური პლატფორმების განვითარების ფონზე, დღეს მომხმარებელს გაცილებით დიდი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს კომპანიის იმიჯზე. ეს ახალი რეალობა კი სულ უფრო და უფრო მეტად აქტუალურს ხდის მომხმარებლის გამოცდილების (Customer Experience - CX) სწორ და ეფექტურ მართვას. დღესდღეობით, გამძაფრებული კონკურენციის გამო, მეტნაკლებად ერთგვაროვანი ტიპის, თუ ფუნქციონალის, პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება ხდება მომხმარებლისთვის, რეპლიკაციის რისკიც საკმაოდ მაღალია. ეს ყველაფერი კომპანიებისთვის ართულებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. CX არის ზუსტად ის ფაქტორი, რაც ბიზნესებისთვის კონკურენტული უპირატესობის მოპოვების და ჯანსაღი ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას ჰქმნის. თაობა Z-ისთვის (Gen Z), როგორც მომავლის მომხმარებლისთვის, კომპანიების მხრიდან დღეს მიწოდებული სერვისები და პროდუქტები არ არის დამაკმაყოფილებელი და მათი გამოცდილების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი არის ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence - AI) გამოყენება. ნაშრომში განხილულია მომხმარებლის გამოცდილების მნიშვნელობა, მისი მართვის კომპლექსურობა და ახალგაზრდა თაობის (Gen Z) პრეფერენციები. შესწავლილია Gen Z-ის მახასიათებლები, ინტერესები და სპეციფიკა. მოყვანილი და გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები მსოფლიოსა და საქართველოსათვის. კვლევა განხორციელებულია საქართველოს ფინანსურ სექტორში Gen Z-ის სამომხმარებლო გამოცდილების შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი (AI), მომხმარებლის გამოცდილება (CX), Gen Z.

Abstract

In the last decade, there is a rapid transformation from a production and service based economy to the experience economy, which significantly increases the contact between customers and companies and makes customers more involved in the company's service processes. However, taking into account development of modern technologies and social platforms, today the customer has the opportunity to have a much greater impact on the image of the company. This new reality makes the correct and effective management of Customer Experience (CX) more and more relevant. Nowadays, due to intensified competition, products and services with more or less homogeneous type and functionality are provided to the customers, the risk of replication is also quite high. All this makes it difficult for companies to remain competitive. CX is precisely the factor that creates the opportunity for businesses to gain competitive advantage and healthy growth and development. For Generation Z (Gen Z), as the customer of the future, the services and products provided by companies today are not satisfactory, and the use of Artificial Intelligence (AI) is important to improve their experience. The paper discusses the importance of customer experience, the complexity of its management and its importance for the younger generation (Gen Z). The characteristics, interests and specifics of Gen Z are explored. Statistical data for the world and Georgia are presented and analyzed. The research was carried out among the customers of the financial sector of Georgia to reveal the experience of Gen Z, namely.

Keywords: Artificial Intelligence (AI), Customer Experience (CX), Gen Z.

შესავალი

ბოლო რამდენიმე წელია, მსოფლიოს მასშტაბით, სწრაფი ტემპებით ხდება გამოცდილებაზე დაფუძნებული ეკონომიკაზე ტრანსფორმაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მომხმარებელსა და კომპანიებს შორის შემხებლობას და მომხმარებელს უფრო მეტად ჩართულს ხდის კომპანიის მომსახურების პროცესებში. ეს ახალი რეალობა სულ უფრო და უფრო მეტად აქტუალურს ხდის მომხმარებლის გამოცდილების (Customer Experience - CX) სწორ და ეფექტურ მართვას.

დღესდღეობით, ერთგვაროვანი ტიპის, თუ ფუნქციონალის პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება ხდება მომხმარებლისთვის, რეპლიკაციის რისკიც საკმაოდ

მაღალია. ეს ყველაფერი კი ართულებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას კომპანიებისთვის. CX არის ზუსტად ის ფაქტორი, რაც ბიზნესებისთვის ჯანსაღი ზრდისა შესაძლებლობას ჰქმნის.

კვლევებით დასტურდება, რომ მომხმარებლების 86% მზად არის გადაიხადოს უფრო მეტი კარგი სამომხმარებლო გამოცდილების მიღების შემთხვევაში (Newman, 2020), შედეგად კომპანიები აგენერირებენ 10-15%-ით მეტ შემოსავალს (SmartKarrot, 2020). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის გამოცდილების მართვა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რასაც უფრო მეტად ართულებს თაობა Z-ის (Gen Z), როგორც მომავლის მომხმარებლის, გაზრდილი მოთხოვნები. თაობას, რომლისთვისაც ტექნოლოგიები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, საკმაოდ მაღალი მოლოდინები აქვს კომპანიების მიმართ. აღნიშნულ მოლოდინებთან შეუსაბამობა კი ახალ თაობაში ტოვებს „გულგრილობისა და ინდიფერენტულობის განცდას“ (CXII, 2023)

Gen Z-სთვის კომპანიების მხრიდან მიწოდებული გამოცდილების მოლოდინებთან შესაბამისობაში მოყვანის ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხელოვნურ ინტელექტს (AI). AI-ის ინტეგრირება კომპანიის ბიზნესს პროცესებში ძალიან კარგი შედეგების მომტანი შესაძლოა იყოს მომსახურების ეფექტურობის ზრდის თვალსაზრისით, რაც შესაძლოა გადაიტარგმნოს ჩათ- და კონტექსტუალურ ბოტებში, პერსონიფიცირებულ რეკომენდაციების ავტომატიზაციაში, მომხმარებლის ქცევისა და პოტენციური სატკივარის პროგნოზირებაში და მრავალი სხვა მიმართულებით (Kriss, 2023).

კვლევის საგანი იყო მომხმარებლის გამოცდილების მნიშვნელობა, მისი მართვის კომპლექსურობა და ახალგაზრდა თაობის (Gen Z) პრეფერენციები. შესწავლილია Gen Z-ის მახასიათებლები, ინტერესები და სპეციფიკა. მოყვანილია Gen Z-ის სტატისტიკური მონაცემები მსოფლიოსა და საქართველოსათვის. კვლევა განხორციელებულია საქართველოს ფინანსურ სექტორში Gen Z-ის სამომხმარებლო გამოცდილების შესასწავლად, კერძოდ,

1. რამდენად არის კმაყოფილი Gen Z ფინანსურ სექტორში დღეს არსებული სამომხმარებლო გამოცდილებით;
2. რამდენად განიხილავს და როგორ აფასებს Gen Z AI-ის ინტეგრირებას სამომხმარებლო გამოცდილებაში;
3. როგორ შეიძლება შეცვალოს AI-იმ ფინანსურ სექტორში მიღებული სამომხმარებლო გამოცდილება.

მომხმარებლის გამოცდილება და მისი მართვის კომპლექსურობა

მომხმარებლის გამოცდილება, იგივე CX ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში გახდა მნიშვნელოვანი ცნება, როგორც აკადემიურ ლიტერატურაში, ასევე ბიზნეს პრაქტიკაში. ეს ტერმინი საწყისებს იღებს 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, როდესაც Carbone-სა და Haeckel-ის (1994) ნაშრომი აღწერდა „მომხმარებლის გამოცდილების ინჟინერია“, მომხმარებელში პოზიტიური ემოციების გამოსაწვევად. ხოლო Pine-ისა და Gilmore-ის (1998) ნაშრომი განმარტავდა „გამოცდილების ეკონომიკას“, როგორც ეკონომიკური პროგრესის მეოთხე ეტაპს - საქონლის, პროდუქტისა და მომსახურების ეკონომიკების შემდეგ. ექსპერტები განსაზღვრავენ CX-ს, როგორც მრავალგანზომილებიან კონცეფციას, რომელიც მოიცავს მომხმარებელსა და კომპანიას შორის ურთიერთობის შემდეგ ასპექტებს: რაციონალური, ემოციური, სენსორული, ფიზიკური (Gentile, Spiller & Noci, 2007). ამ ასპექტების კომბინაცია აყალიბებს მიღებული გამოცდილებით კმაყოფილების აღქმას, რაც საბოლოო ჯამში ითარგმნება, როგორც მომხმარებლისთვის შექმნილი დამატებითი ღირებულება და წარმოადგენს კომპანიის ჯანსაღი ზრდის წინაპირობას. კვლევებით დასტურდება, რომ CX-ის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების მომგებიანობაზე, განსაკუთრებით ფინანსური მომსახურების სექტორში (Gao, Melero-Polo, & Sese, 2020).

თუმცა, მომხმარებლის გამოცდილების მართვა თავისი მრავალგანზომილებიანი ბუნებიდან გამომდინარე (Gentile, Spiller & Noci, 2007) საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რასაც კიდევ უფრო მეტად ართულებს ის ფაქტი, რომ მომხმარებლის მოგზაურობა კომპანიასთან (ე.წ. Customer Journey) არ იწყება და არ სრულდება უშუალოდ სერვისის მიღების ან პროდუქტის შეძენის ნაწილით. CXM მოიცავს მომხმარებლის მოგზაურობის შემდეგ სამ ეტაპს: „შეძენამდე პერიოდი“ (Anticipation), „შეძენის პერიოდი“ (Interaction) და „შეძენის შემდგომი მომსახურება“ (Afterglow) (Schwartz, Dauner, Korn, 2018).

ამერიკული კრეატიული სააგენტო Lippincott-ის (2018) კვლევის თანახმად, მომხმარებელი ყველაზე ბედნიერი ბუნებრივად, ამ სამი ეტაპიდან, არის პირველ - ანუ „შეძენამდე პერიოდში“, მაშინ როდესაც იწყებს ფიქრებით თამაშს და ექმნება პოზიტიური მოლოდინი მის მიერ შეძენილი პროდუქტისა, თუ სერვისის მიმართ. მაგალითისთვის, როდესაც მომხმარებელი იღებს გადაწყვეტილებას ახალი სახლის შეძენაზე - იგი ფიქრობს იმაზე, თუ როგორი მყუდრო და კომფორტული იქნება მისი ახალი სახლი და არა იმაზე, თუ როგორ წარიმართება იპოთეკური სესხის აღების პროცესი. პირველი ეტაპის შემდეგ, მომხმარებლის ბედნიერების ხარისხი

ბუნებრივი ტემპებით იკლებს, რაც ნიშნავს იმას, რომ იმისთვის, რომ კომპანიებმა სულ მცირე არსებულ ნიშნულზე შეინარჩუნონ მომხმარებლის კმაყოფილება მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილონ მომხმარებლის მიერ წინასწარ შექმნილი მოლოდინები „შექნისა“ და „შექნის შემდგომი მომსახურებების“ ეტაპებზე.

მომხმარებლის მოლოდინებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით The CX Academy (2019), გამოყოფს ექვს წამყვან ფაქტორს:

1. ნდობა (*Trust*) - მომხმარებლის გამოცდილების ფუნდამენტური ემოცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კომპანიასა და მომხმარებელს შორის კავშირის დამყარებას. მომხმარებლები ურთიერთობენ ისეთ კომპანიებთან, რომლებიც აღიქმებიან სანდოდ, გამჭვირვალედ და საიმედოდ.
2. სიმარტივე (*Make it Easy*) - გულისხმობს კომპნიის მხრიდან მომხმარებლის დროის პატივისცემას და ძალისხმევას გაღების შემსუბუქებას, რაც გამოიხატება პროცესების გამარტივებაში, სისწრაფეში, სირთულეების შემცირებაში, მარტივ კომუნიკაციაში.
3. მომხმარებლის ცოდნა (*You Know Me*) - აღნიშნული ფაქტორი გულისხმობს კომპანიის მიდგომას მომხმარებლის, როგორც ინდივიდის მიმართ - მათი ისტორიის, პრეფერენციების და კონკრეტული საჭიროებების ცოდნას.
4. მომხმარებლის გაგება (*You Get Me*) - ასახავს კომპანიის უნარს, გააცნობიეროს და შეიგრძნოს მომხმარებლის ემოციური მდგომარეობა და დარჩეს ემპათიური მის მიმართ. აღნიშნული ფაქტორი მოიცავს მომხმარებლის ინდივიდუალური სიტუაციისადმი მორგებულ რეაგირებებს, გულწრფელ ზრუნვას, არაშაბლონურ მიდგომებს და არასტანდარტული სიტუაციების მართვას.
5. დანაპირების შესრულება (*You Deliver On Your Promise*) - გულისხმობს აუცილებლობას, რომ კომპანიებმა დააკმაყოფილონ ან გადააჭარბონ მომხმარებლის მოლოდინებს.
6. პრობლემების მართვა (*You Fix Things*) - აღნიშნული ფაქტორი მოიცავს ერთის მხრივ ხარვეზების პრევენციას კომპანიის მხრიდან, ხოლო მეორეს მხრივ მომხმარებლის მტკივნეული საკითხის დროულ და ეფექტურ მოგვარებას, პასუხისმგებლობის აღებით დაწყებული, გულწრფელი ბოდიშის მოხდითა და ცუდი გამოცდილების დადებითი გამოცდილებით (ე.წ. service recovery) ჩანაცვლებით დასრულებული.

არაერთი ექსპერტის კვლევებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან თანხვედრისთვის მნიშვნელოვანია კომპანიებს გააჩნდეთ მომხმარებლის გამოცდილების მართვის სტრატეგია. კვლევების თანახმად კომპანიები, რომლებსაც აქვთ კარგად განსაზღვრული მომხმარებლის გამოცდილების მართვის (CXM)

სტრატეგია 17%-ით ზრდიან გაყიდვებს (Wetzels & Wetzels, 2023).

CX სტრატეგიის შემუშავებაზე მნიშვნელოვანწილად მოქმედებს კონკრეტული თაობის მომხმარებლების პრეფერენციები. თაობა Z-ის (Gen Z) სამომხმარებლო ბაზარზე გააქტიურებამ შეცვალა აღქმები მომსახურების ხარისხზე - თუ ადრე მიწოდებული სერვისის ხარისხი (ე.წ. service plus) იყო საკმარისი, დღეს ეს უკვე ჰიგიენური ფაქტორია და მომხმარებელი მოითხოვს ე.წ. „მრავალარხულ“ (omnichannel) მიდგომას მომხმარებლის გამოცდილებაში (CXII, 2023). ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოიცავს მარტივი, უმტკივნეულო და ერთგვაროვნად ხარისხიანი გამოცდილების შექმნას მომხმარებლისთვის კომპანიის სხვადასხვა არხებში (ფილიალი, ვებგვერდი, კონტაქტ ცენტრი, ჩათი, თვითმომსახურების აპარატი, სხვ.). ამ ყველაფრის მიღწევა კი, სისტემების გამართულობასთან ერთად, საჭიროებს თითოეული ინდივიდუალური მომხმარებლის კარგ ცოდნას და ანალიზს, რაშიც უაღრესად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებისა, კერძოდ კი ხელოვნური ინტელექტის (AI)-ის როლი (Kriss, 2023).

Gen Z-ის მახასიათებლები და პრეფერენციები სამომხმარებლო გამოცდილებაში

თაობა Z, წარმოადგენს იმ ადამიანთან ჯგუფს, რომლებიც დაიბადნენ 1997-2012 წლებში. Gen Z შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 32%-ს (Britopian, 2023) და შესაბამისად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამომხმარებლო ბაზარზე. რაც შეეხება საქართველოს ბაზარს, ჯამში, სრულწლოვანი (12%) და არასრულწლოვანი (7%) Gen Z თაობის წარმომადგენლების რაოდენობა შეადგენს 696,938 ადამიანს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 19%-ია (საქსტატი, 2024).

Gen Z არის პირველი თაობა, რომელიც ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპის ეპოქაში დაიბადა და მთლიანად ციფრულ სამყაროში გაიზარდა. აღნიშნულის გამო მათ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „Digital First“ თაობას - ანუ თაობას, რომელსაც დაბადებისთანავე ჰქონდა ციფრულ ტექნოლოგიებთან შეხება. შესაბამისად, ეს თაობა პატარა ასაკიდანვე იმყოფება ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გავლენის ქვეშ და მათთვის როგორც ონლაინ, ასევე „ოფლაინ“ სამყარო თანაბრად კომფორტულია (McKinsey & Company, 2018). ინდივიდუალური გამოხატულება, თანასწორობა, ინკლუზიურობა, მდგრადობა და სოციალური საკითხები დიდწილად განსაზღვრავს Gen Z-ის პიროვნულ ფასეულობებს. ისინი უარყოფენ სტერეოტიპებს და მხარს უჭერენ მრავალფეროვნებას (McKinsey & Company, 2018). Gen Z-ისთვის, როგორც მომხმარებლისთვის „მომხმარებლობა“ არ არის მხოლოდ

პროდუქციის შექმნა, არამედ მათი იდენტიფიკაციის გამოხატვის საშუალება და მზად არიან გადაიხადონ უფრო მეტი იმ ბრენდების პროდუქტებსა თუ სერვისებში, რომლებიც თანხვედრაშია მათ ღირებულებებთან (McKinsey & Company, 2018).

Forrester-ის კვლევები აჩვენებს, რომ Gen Z-ის „ციფრული პირველობა“ (Digital First) მნიშვნელოვნად ცვლის მომხმარებლის გამოცდილების მართვას და მათი მაღალი მოლოდინი აიძულებს კომპანიებს, CX გახადონ პრიორიტეტი (Fromm, 2023). საერთო ჯამში, Gen Z აყალიბებს ახალ ბიზნეს მოთხოვნებს ავტენტურობის, პერსონალიზაციისა და ეთიკის ხაზგასმით. ისინი არიან არა მხოლოდ მომხმარებლები, არამედ აქტივისტები, რომლებიც აიძულებენ ბრენდებს შეინარჩუნონ მაღალი ეთიკური სტანდარტები და უზრუნველყონ მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება (McKinsey & Company, 2018; Fromm, 2023; Deloitte, 2020).

კვლევის მეთოდოლოგია

ფინანსურ სექტორში Gen Z-ის სამომხმარებლო გამოცდილების შესწავლისა და სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაში ხელოვნური ინტელექტის პერსპექტივების შეფასების მიზნით ჩატარდა კვლევა საქართველოს ბაზარზე. კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა რაოდენობრივი ტიპის კვლევა, რომლის გავრცელებაც მოხდა „CXHub-მომხმარებლების გამოცდილების მართვის სააგენტოს“ სოციალური გვერდის საშუალებით, Gen Z-ის ასაკობრივ აუდიტორიასთან. ამასთან მიზნობრივი აუდიტორიის უკეთესი ხელმისაწვდომობის მიზნით კვლევა გაზიარებული იქნა საქართველოს ბაზარზე არსებული რამდენიმე უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან (საქართველოს უნივერსიტეტი, ბიზნესია და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი). საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 184-მა რესპონდენტმა. კვლევის სანდოობის ინდექსისა და ცდომილების მაჩვენებლის განსაზღვრა მოხდა პლატფორმა www.raosoft.com-ზე და ცდომილების მაჩვენებელმა (margin of error) შეადგინა 7.22%. კვლევა დაყოფილ იქნა რამდენიმე სექციად:

პირველი სექცია

„ზოგადი“- რომლის ფარგლებშიც რესპონდენტებს უწევდათ ასაკის, სქესის და მათ მიერ შეფასებული ფინანსური სერვისების მითითება (საბანკო, სადაზღვევო)

მეორე სექცია

„არსებული სამომხმარებლო გამოცდილებით კმაყოფილება ფინანსურ სექტორში“

- აღნიშნული სექცია სრულად დაეფუძნა The CX Academy-ის ექვს წამყვან ემოციურ ფაქტორს, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტები აფასებდნენ ფინანსური სერვისების გამოცდილებას შემდეგ ჭრილებში:

1. „ნდობა“ - მე ვენდობი იმ ფინანსურ კომპანიებს, რომლის სერვისებითაც ახლა ვსარგებლობ
2. „მომხმარებლის ცოდნა“ - ფინანსური სერვისების პროვაიდერმა კომპანიებმა იციან ჩემი საჭიროებები და მთავაზობენ რელევანტურ პროდუქტებსა და სერვისებს
3. „სიმარტივე“ - ჩემთვის დღეს ფინანსური სერვისებით სარგებლობა მარტივია
4. „მომხმარებლის გაგება“ - ფინანსური სერვისების პროვაიდერი კომპანიები მიცნობენ მე, როგორც პიროვნებას და იჩენენ ემპათიას ჩემი, როგორც ინდივიდის მიმართ
5. „დანაპირების შესრულება“ - აღნიშნული კომპანიები ასრულებენ მათ დანაპირებს
6. „პრობლემების მართვა“ - აღნიშნული კომპანიები სრულიად იღებენ პასუხისმგებლობას და ოპერატიულად აგვარებენ ჩემთვის, როგორც მომხმარებლისთვის, მტკივნეულ საკითხებს

თითოეულ პარამეტრის შეფასება მოხდა 10 ქულიან შკალაზე, სადაც 0 იყო მინიმალურად დამაკმაყოფილებელი, ხოლო 10 მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი შეფასება.

მესამე სექცია

„ხელოვნური ინტელექტის სამომხმარებლო გამოცდილების მართვაში ინტეგრირების დამოკიდებულებები“ - აღნიშნულ სექციაში რესპონდენტები აფასებდნენ ოთხ პარამეტრს, ასევე 10 ქულიან შკალაზე (გარდა 3.3 პარამეტრისა, სადაც წინასწარ კატეგორიზირებული პასუხების ვარიანტებიდან ხდებოდა რესპონდენტების მხრიდან აზრის დაფიქსირება)

1. „რამდენად ენდობით ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ დღეს არსებულ ინსტრუმენტებს?
2. „რამდენად უსაფრთხოა თქვენთვის ფინანსურ სერვისებში სხვადასხვა ფორმით ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება“
3. „ადამიანთან დაკავშირების ნაცვლად, ამჯობინებდით, თუ არა ფინანსური სერვისების მიღებას ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვირტუალური ასისტენტის დახმარებით“

4. „რამდენად ფიქრობთ, რომ ხელოვნური ინტელექტი პოზიტიურ გავლენას მოახდენს ფინანსური სერვისების სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაზე“

მეოთხე სექცია

„მომხმარებლის მოლოდინები ხელოვნური ინტელექტის სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაში“ - აღნიშნულ სექციაში რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ხელოვნური ინტელექტის პოტენციური გავლენა ფინანსურ სერვისების სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაში The CX Academy-ის ექვსი ემოციური ფაქტორის ჭრილში:

1. კომპანიის მიმართ ნდობის ნაწილი (გამჭვირვალობა, სიზუსტე)
2. მომხმარებლის რეალური საჭიროებების ცოდნა და რელევანტური შეთავაზებები
3. მომსახურებითა და პროდუქტებით სარგებლობის სიმარტივე (სისწრაფე, ერთგვაროვანი მომსახურება ყველა არხში)
4. მომხმარებლის, როგორც პიროვნების ცოდნა და ემპათიურობა (არაშაბლონური, პერსონალური მიდგომები)
5. დანაპირების შესრულება (ბრენდის კომუნიკაციასთან შესაბამისობა, პირობების და ვადების დაცვა)
6. მომხმარებლის მტკივნეული საკითხების გადაჭრა (საკითხების სიღრმისეული ანალიზი, ოპერატიულობა, მოგვარებაზე ორიენტირებულობა)

თითოეული ფაქტორის შეფასება მოხდა სამი პასუხის ჭრილში: „არ გააუმჯობესებს“, „მეტნაკლებად გააუმჯობესებს“, „აუცილებლად გააუმჯობესებს“. რაოდენობრივი კითხვარის ბოლოს, ღია კითხვის ფორმატის საშუალებით, რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეზიარებინათ დამატებითი მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის ფინანსურ სერვისებში ინტეგრირების საკითხზე.

საბოლოო ჯამში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთდა მონაცემთა ანალიზი, სინთეზი და იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და მომავლის პერსპექტივებზე დაყრდნობით მიგნებების კომპონენტის ასახვა მოხდა კვლევის შედეგებში.


კვლევის შედეგები

ფინანსურ სექტორში CX შესწავლისა და ფინანსური სერვისების სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაში AI-ის პერსპექტივების შეფასებაში მონაწილეობა მიიღო Gen Z თაობის 184-მა რესპონდენტმა. მათი უმრავლესობა გახლდათ ბაკალავრისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, საიდანაც 39.7%-ს

მამრობით, ხოლო 59.2%-ს მდედრობითი სქესი წარმოადგენდა (დიაგრამა N1).

დიაგრამა N1.


კვლევაში მონაწილეთა სქესის გადანაწილება



თავდაპირველად მოხდა Gen Z-ის, როგორც მომავლის მომხმარებლის დამოკიდებულების შეფასება სამომხმარებლო გამოცდილების (CX) ემოციური ფაქტორების მიმართ (დიაგრამა N2). თითოეული ფაქტორის შეფასება გაკეთდა 10 ქულიან შკალაზე მომხმარებლის გამოცდილების ერთ-ერთი წამყვანი ინდექსის - NPS-ის (Net Promoter Score) დათვლის მეთოდოლოგიის შესაბამისად (Reichheld, F., Darnell, D., & Burns, M. (2021). ყველაზე დაბალი შეფასება (-46.2%) დაფიქსირდა „მომხმარებლის გაგების“ (You Get Me) პარამეტრში, რადგან რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ფინანსური ინსტიტუტები ნაკლებად იცნობენ და ნაკლებად გამოსატყვევებელი მათდამი, როგორც ინდივიდებისადმი ემპათიას. ასევე უარყოფითია „მომხმარებლის ცოდნის“ (You know me) პარამეტრის (-21.7%) და ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობის (-10.3%) პარამეტრები. მაქსიმალური შეფასება, 56% დაფიქსირდა ფინანსური „სერვისებით სარგებლობის სიმარტივის“ (You Make it Easy) პარამეტრში.

დიაგრამა N2.


ემოციური ფაქტორების შეფასება



რაც შეეხება Gen Z თაობისთვის ფინანსური სერვისების გამოცდილებაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირების საკითხს, დღეს არსებულ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ნდობისა და მეტ-ნაკლებად ნდობის ჯამური მაჩვენებელი 74.4%-ს შეადგენს (დიაგრამა N3). უსაფრთხოების აღქმა კიდევ უფრო დაბალია (დიაგრამა N4), თითქმის ნახევარი - 45.7% მიიჩნევს, რომ არ არის უსაფრთხო.


დიაგრამა N3.

„რამდენად ენდობით ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ დღეს არსებულ ინსტრუმენტებს (მაგ. ChatGPT, Google Cloud Natural Language API, Claude და სხვ.)“



დიაგრამა N4.


„რამდენად უსაფრთხოა თქვენთვის ფინანსურ სერვისებში სხვადასხვა ფორმით ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება (მაგ. ჩათბოტში კითხვებზე პასუხი, ტრანზაქციების განხორციელება, შეთავაზებების და რეკომენდაციების მიღება და სხვ.)“



ფინანსური სერვისების Gen Z მომხმარებლებმა ასევე დააფიქსირეს პოზიცია ფინანსური სერვისების გამოცდილებაზე ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური ზეგავლენის შეხებ. 19.6% თვლის, რომ AI მოახდენს პოზიტიურ გავლენას, 44.0%-ის აზრით მეტ-ნაკლებად სავარაუდოა პოზიტიური გავლენის ეფექტები, ხოლო 36.4% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ მოახდენს პოზიტიურ გავლენას (დიაგრამა N 5).

დიაგრამა N5.


„რამდენად ფიქრობთ, რომ ხელოვნური ინტელექტი პოზიტიურ გავლენას მოახდენს ფინანსური სერვისების სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაზე“



ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური გავლენის შესაძლო პერსპექტივებთან დაკავშირებით Gen Z მომხმარებლების აღქმაში გამოიკვეთა აუცილებლად გაუმჯობესების მეტი მოლოდინი ტოპ სამი მიმართულებით (დიაგრამა N6): „მომსახურებითა და პროდუქტით სარგებლობის სიმარტივე (სისწრაფე და ერთგვაროვანი მომსახურება არხებში)” -70%, „მომხმარებლის რეალური საჭიროების ცოდნა და რელევანტური შეთავაზებები” - 39% და ბრენდის კომუნიკაციის კონტექსტში „დანაპირებისა და რეალური გამოცდილების შესაბამისობა” - 35%. ყველაზე ნაკლები მოლოდინი მომხმარებლის, როგორც „პიროვნების ცოდნისა და ემპათიურობის, პერსონალური მიდგომების” ნაწილში გამოიკვეთა (საერთოდ არ გაუმჯობესებს -39%). რესპონდენტების 19% ასევე მიიჩნევს, რომ მომხმარებლისთვის მტკივნეული საკითხების სიღმისეული ანალიზის, მოგვარებაზე ორიენტირებულობისა და ოპერატიულად გადაჭრის ნაწილში ნაკლებად სავარაუდოა ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური გავლენა ფინანსურ სერვისებში.

დიაგრამა N6.


AI-ის გავლენით ემოციური ფაქტორების გაუმჯობესების პროცენტული მაჩვენებლები



რაც შეეხება ფინანსურ სერვისებში ადამიანთან დაკავშირების ნაცვლად ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვირტუალური ასისტენტის სერვისის პერსპექტივებს, რესპონდენტთა უმეტესობა - 71.7% მიიჩნევს, რომ ვირტუალური ასისტენტის გამოყენება სასურველი მხოლოდ ადამიანის ჩართულობის ხელმისაწვდომობასთან ერთად იქნებოდა მათთვის სასურველი (დიაგრამა N7).

დიაგრამა N7.

„ადამიანთან დაკავშირების ნაცვლად, ამჟობინებდით, თუ არა ფინანსური სერვისების მიღებას ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვირტუალური ასისტენტის დახმარებით“



კვლევის მიგნებები

კვლევის რაოდენობრივ შედეგებსა და კომენტარების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1. მომხმარებლის გამოცდილების სისტემური მართვის კონტექსტში, Gen Z თაობის აღქმიდან გამომდინარე, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სათანადო აქცენტი CX-ის გაუმჯობესების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებაზე და არც სათანადო პრაქტიკა არსებობს, თუმცა მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს მის დიდ სარგებელსა და პოტენციალს.
2. Gen Z თაობაში პროგრესულობისა და ტექნოლოგიებთან „მეგობრული“ დამოკიდებულების მიუხედავად ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ბარიერები ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ფინანსური გამოცდილების მიღებისათვის. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს უშუალოდ ფინანსური სერვისების სენსიტიურობით.

„AI-ის ჩაშენება, რასაკვირველია, კარგია. თუმცა მე, როგორც მომხმარებელს, მაინც ცოტა დისკომფორტი მიჩნდება“ (კვლევის მონაწილე 1, ოქტომბერი, 2024).

3. ადამიანური შეხების წერტილები (human touch) კვლავ აქტუალურია და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ფინანსური სერვისებისადმი მიმღებლობა მხოლოდ ადამიანური კონტაქტის შესაძლებლობასთან ერთადაა წარმოდგენილი.

“ვთვლი, რომ ხელოვნური ინტელექტი საგრძნობლად შეცვლის და გააუმჯობესებს ფინანსური სერვისებს. თუმცა არის საკითხები, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა ადამიანის დახმარება“ (კვლევის მონაწილე 2, ოქტომბერი, 2024).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Britopian. (2023). 2023 Gen Z trends, facts & statistics & media consumption. *Britopian*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://www.britopian.com/data/gen-z-trends-2023/>
2. Carbone, L. P., & Haeckel, S. H. (1994). Engineering customer experiences. *Marketing Management*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://www.scirp.org/reference/referencespapers?referenceid=2742305>
3. Deloitte. (2020). Understanding Generation Z in the workplace. *Deloitte*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://www2.deloitte.com/us/en/pages/consumer-business/articles/understanding-generation-z-in-the-workplace.html>
4. Fromm, J. (2023). Gen Z is impacting customer experience. *Forbes*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://www.forbes.com/sites/jefffromm/2023/03/16/gen-z-is-impacting-customer-experience-forrester-gartner-experience-dynamic-execs-share-insights/?sh=6a37869b7d38>
5. Gao, L., Melero-Polo, I., & Sese, F. J. (2020). Customer equity drivers, customer experience quality, and customer profitability in banking services: The moderating role of social influence. *Journal of Service Research*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 https://www.researchgate.net/publication/222655023_Customer_Experience_Creation_Determinants_Dynamics_and_Management_Strategies
6. Gentile, C., Spiller, N., & Noci, G. (2007). How to sustain the customer experience: An overview of experience components that co-create value with the customer. *European Management Journal*, მოძიებულია ოქტომბერი, 2024 <https://isiarticles.com/bundles/Article/pre/pdf/20885.pdf>
7. Kriss, S. (2023). *The AI empowered customer experience: A CX practitioner's guide to the possibilities and risks of AI*. Amazon Kindle Edition.
8. McKinsey & Company. (2018). True Gen: Generation Z and its implications for companies. *McKinsey & Company*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://www.mckinsey.com/industries/consumer-packaged-goods/our-insights/true-gen-generation-z-and-its-implications-for-companies>
9. Newman, D. (2020, June 23). 4 actionable customer experience statistics for 2020. *Forbes*. მოძიებულია ივლისი, 2024 <https://www.forbes.com/sites/danielnewman/2020/06/23/4-actionable-customer-experience-statistics-for-2020/>
10. Pine, B. J., & Gilmore, J. H. (1998). Welcome to the experience economy. *Harvard Business*

Review. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://hbr.org/1998/07/welcome-to-the-experience-economy>

11. Reichheld, F., Darnell, D., & Burns, M. (2021). Net Promoter 3.0. *Harvard Business Review*. მოძიებულია ოქტომბერი, 2024 <https://hbr.org/2021/11/net-promoter-3-0>
12. Schwartz, A., Dauner, L., & Korn, A. (2018). The happiness halo. *Lippincott, Marsh & McLennan Companies*. მოძიებულია ივლისი, 2024 https://www.marshmclennan.com/assets/insights/publications/2018/jun/TheHappinessHalo_June2018.pdf
13. SmartKarrot. (2020). Customer experience statistics for 2020 and beyond. *SmartKarrot*. მოძიებულია ივლისი, 2024 <https://www.smartkarrot.com/resources/blog/customer-experience-statistics/#:~:text=An%20organization%20can%20increase%20its,just%20on%20a%20favorable%20CX.>
14. The CX Academy. (2019). CX Excellence Framework [Unpublished certification material].
15. Wetzels, R. W. H., & Wetzels, M. (2023). There is a secret to success: Linking customer experience management practices to profitability. *Journal of Retailing and Consumer Services*. მოძიებულია სექტემბერი, 2024 <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0969698923000851>

პოსტსოციალისტური ჰიბრიდული რეჟიმების ავტორიტარული „დრეიფი“

დოქტორი, ოთარ ბალათურია, დოქტორი, ლიზა ამილახვარი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ქვეყნები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველმა ჯგუფმა, ხშირად მტკივნეული რეფორმებით, სწრაფად გაიარა ტრანსფორმაციის პროცესი, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. მეორე ჯგუფმა ღია საბაზრო ურთიერთობების პარალელურად კურსი თავიდანვე ავტორიტარულ მმართველობაზე აიღო, ხოლო მესამემ არათანმიმდევრული რეფორმებით და ცვალებადი კურსით შეფერხებული ტრანსფორმაციის ჯგუფი შეადგინა. ამ უკანასკნელი ჯგუფის ზოგიერთმა ქვეყანამ, ავტორიტარული ჯგუფის ზოგიერთ ქვეყანასთან ერთად ჰიბრიდული მმართველობა დაამყარა, რომელიც გულისხმობს დემოკრატიული პროცედურებით გაფორმებულ ავტორიტარულ მმართველობას.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ჰიბრიდული რეჟიმების ავტორიტარული „დრეიფი“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია, რომელიც ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც გადავიდნენ სოციალიზმიდან და ცდილობენ დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ელემენტების შერწყმას. ჰიბრიდული რეჟიმები, განსხვავებით სრულად დემოკრატიული ან ავტორიტარული სახელმწიფოებისგან, იბრძვიან პოლიტიკური ლეგიტიმაციისთვის და იშვიათად იცავენ დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპებს. აღნიშნული „დრეიფი“ - მოძრაობა დემოკრატიული ინსტიტუციონალური მმართველობიდან ავტორიტარული სკენ - ხშირი მოვლენაა არა მხოლოდ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, არამედ პოსტკოლონიალურშიც.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის, რომლებიც სოციოპოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესს გადიან, განსაკუთრებით საინტერესოა ჰიბრიდული რეჟიმების ავტორიტარული „დრეიფი.“ ჰიბრიდული რეჟიმები, როგორც შუალედური ფორმა დემოკრატისა და ავტორიტარიზმს შორის, ხშირად აერთიანებენ დემოკრატიული ინსტიტუტების ელემენტებს, თუმცა რეალურ მმართველობას ავტორიტარული პრინციპები განსაზღვრავს. პოსტსოციალისტური ქვეყნებში, სადაც საბჭოთა მემკვიდრეობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ავტორიტარიზმთან დაბრუნების

ტენდენცია განსაკუთრებით საშიშია.

აღნიშნული "დრეიფის" ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტე და კორუფცია, აგრეთვე საზოგადოებრივი ცნობიერების უმწიფრობა და ეგრეთ წოდებული „რესურსული წყევლა," რაც ართულებს დამოუკიდებელი ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ ვრცელ და ხანგრძლივ კვლევას გულისხმობს, რომლის ასახვაც დაგეგმილია საგანგებოდ აღნიშნულ თემაზე მიძღვნილ ვრცელ ნაშრომში. წინამდებარე სტატიის სახით წარმოდგენილია აღნიშნული (შექმნის პროცესში მყოფი) ნაშრომის მოკლე მიმოხილვა და შინაარსი

Authoritarian "Drift" of Post-socialist Hybrid Regimes

Abstract

Post-socialist transformation countries conventionally can be divided into three groups: The first group, having carried out often painful reforms, quickly underwent a transformation process in all the economic, political, social, and cultural spheres. The second group, along with open market relations, from the beginning, took a course toward authoritarian rule, and the third formed a group of delayed transformation hindered by inconsistent reforms and changing course. Some of the countries of the latter group, along with some of the countries of the authoritarian group, have established hybrid governance, which implies authoritarian governance with democratic procedures.

The authoritarian "drift" of hybrid regimes in post-socialist countries is an important political issue that concerns countries that have transitioned from socialism and are trying to combine elements of democracy and authoritarianism. Hybrid regimes, unlike fully democratic or authoritarian states, struggle for political legitimacy and rarely uphold the fundamental principles of democratic governance. The mentioned "drift" - the movement from democratic institutional governance to authoritarian one - is a frequent phenomenon not only for post-communist countries but also for post-colonial ones.

For post-socialist countries undergoing a socio-political transformation, an authoritarian "drift" of hybrid regimes is peculiarly interesting. Hybrid regimes, as an intermediate form between democracy and authoritarianism, often combine elements of democratic institutions, although the actual governance is determined by authoritarian principles. In post-socialist countries,

where the Soviet legacy has strongly influenced public and political life, the tendency to return to authoritarianism is specifically dangerous.

One of the main reasons for this “drift” is the weakness and corruption of political institutions, as well as the immaturity of public consciousness and the so-called “resource curse,” which makes it difficult to establish independent institutions, civil society, and democratic structures.

The mentioned issue implies a rather extensive and long-term research, which is planned to be reflected in an extensive work specially dedicated to the mentioned topic. In the form of the present article, a brief overview and content of the work in progress is presented

Key words: Post-socialist transformation, hybrid regime, authoritarian “drift,” authoritarianism, democracy.

შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა

პოსტსოციალისტური ქვეყნების და რეჟიმების განვითარების დინამიკა და ვექტორი, მათი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, წარმატებული თუ წარუმატებელი რეფორმები, მათი პერსპექტივები და პროგნოზები საკმაო ინტერესს იწვევს მსოფლიოს მკვლევარებში, და ხშირად საკმაოდ სწორი და დასაბუთებული პროგნოზებით ხასიათდება, რომლებიც სამწუხაროდ ნაკლებად აიახება ხოლმე კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკური აქტორების გრძელვადიან სტრატეგიებში პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებთან მიმართებაში.

ამჟამინდელ მსოფლიოში რუსეთის შეუნიღბავმა აგრესიამ ჯერ შოკი და პანიკა გამოიწვია, შემდეგ ენთუზიაზმი უკრაინის მედგარი წინააღმდეგობის და რუსეთის უნიათობის ფონზე, ახლა კი გადალლა და ამა თუ იმ ფორმით დაზავების სურვილი. რაც არ უნდა უცნაური იყოს ამან დამატებითი სტიმული მისცა დასავლურ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კონსერვატიულ და/ან ავტორიტარულ დრეიფს, ვინიდან თვალნათლივ აჩვენა ლიბერალურად წოდებული მემარცხენე (მარქსისტული) ბიუროკრატის უუნარობა თავი გაართვას მნიშვნელოვან გამოწვევებს და ეგზისტენცილურ კრიზისებს.

თუმცა მემარჯვენე „რევანშის“ დინამიკა აქამდეც შეიმჩნეოდა, ხოლო მისი ამჟამად გამოკვეთილი შედეგები შემდგომი რეფლექსიის და ანალიზის საგანი იქნება, ამჟამად კი მნიშვნელოვანია რომ ავტორიტარული დრეიფის პროგნოზირება შესაძლებელი იყო რასაც ადასტურებს ზოგი ავტორი, ისეთები როგორც სტივენ

ლევცივი, ლუკან ვეი, ჰენრი ჰეილი, სტივენ ფიში და სხვები.

მაგრამ განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი ავტორების კვლევები, რომელთაც დინამიკა წლების წინა, წინასწარ ამოიცნეს.

ჰენრი ჰეილის ორიათას თოთხმეტ წელს გამოქვეყნებულ „ევრაზიული რეჟიმების დინამიკა შედარებით პერსპექტივაში“ (Hale, H. E. (2014). „Patronal politics: Eurasian regime dynamics in comparative perspective“. Cambridge University Press).

კემბრიჯის შედარებითი პოლიტოლოგიის ((Cambridge Studies in Comparative Politics) მკვლევარი სტივენ ფიში ორიათას ხუთ წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „დემოკრატიის გადადება რუსეთში: ღია პოლიტიკის წარუმატებლობა“ (Steven M.Fish, (2005) „Democracy Derailed in Russia: The Failure of Open Politics“) ასაბუთებს რუსეთში დემოკრატიის შეფერხებას და წინასწარმეტყველებს მის დრეიფს მზარდი ავტორიტარიზმისკენ

მისი მტკიცებით მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა განიცადა დრამატული პოლიტიკური რყევები 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა მმართველობის ბორკილების მოხსნის შემდეგ, მან შემდგომში ვერ გააგრძელა პროგრესი დემოკრატიისკენ. იგი ხსნის პოსტსაბჭოთა რუსეთში რეჟიმის ცვლილების მიმართულების მიზეზებს ეყრდნობა რა ნაციონალურ შედარებით ანალიზს და ასევე რუსეთში ღრმა სავლე კვლევებს. ფიში ცხადყოფს, რომ რუსეთის დემოკრატიზაციის წარუმატებლობას აქვს სამი საფუძველი: ეკონომიკური დამოკიდებულება ნავთობზე (რესურსული წყევლა), ძალიან მცირე ეკონომიკური ლიბერალიზაცია (რაშიც არსებითად ცდება) და ძალიან სუსტი ეროვნული საკანონმდებლო ორგანო (რაც უფრო შედეგია ვიდრე მიზეზი). მიუხედავად იმისა რომ ზოგი მისი დებულება ზედაპირული ან გულუბრყვილოა, მთლიანობაში იქ ნათლად და მკაფიოდ ასაბუთებს რუსეთის ავტორიტარულ ვექტორს და წინასწარმეტყველებს მის გაძლიერება-გაღრმავებას, და ეს მაშინ როდესაც წამყვანი აქტორები დასავლურ და ზოგ პოსტსოციალისტურ პოლიტიკურ თუ მასტან დაახლოვებულ საზოგადოებაში პუტინს ჯერ კიდევ მოიაზრებს სტაბილურობის და შემდგომი განვითარების გარანტად ქოტური და არაპროგნოზირებადი ელცინის ფონზე.

ტორონტოს უნივერსიტეტის მკვლევარი ლუკან ვეი თავის ორიათას ხუთ წელს გამოქვეყნებულსტატიაში „ავტორიტარული სახელმწიფოსმშენებლობა დარეჟიმის კონკურენტუნარიანობის წყაროები მეოთხე ტალღაში: ბელორუსის, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის შემთხვევები“ (Way, L. A. (2005). Authoritarian state building and

the sources of regime competitiveness in the fourth wave: The cases of Belarus, Moldova, Russia, and Ukraine. *World Politics*, 57(2), 231-261) იკვლევს რეჟიმის კონკურენტუნარიანობის წყაროებს ცივი ომის შემდგომ ეპოქაში ბელარუსში, მოლდოვაში, რუსეთსა და უკრაინაში რეჟიმის ტრანსფორმაციების სტრუქტურირებული შედეგების გზით, 1992–2004 წლებში. ავტორის აზრით აღნიშნული ქეისების შესწავლით ვლინდება პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების ფუნდამენტური გადასინჯვის აუცილებლობა.

მან მიაქცია ყურადღება ავტორიტარული ტენდენციის მქონე გარდამავალი რეჟიმების შესწავლისას მათზე ფოკუსირება არა როგორც განვითარებადი დემოკრატიის, არამედ როგორც არაკონსოლიდირებული ავტოკრატიის ქვეყნებზე.

ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური კონკურენციის ძირითად წყაროებზე, რომლებიც ხშირად უგულვებელყოფილია კონკურენტული რეჟიმების კვლევისას. ამგვარად, კონკურენტული პოლიტიკა ბელარუსში, მოლდოვაში, რუსეთსა და უკრაინაში დაფუძნებული იყო არა იმდენად სამოქალაქო საზოგადოებაზე, ინსტიტუტებზე, ან ლიდერშიფზე, რამდენადაც მოქმედი მმართველების უუნარობაზე ან უნარზე შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და/ან პოლიტიკური კონტროლი.

1. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია:

კაცობრიობის ისტორია ზოგადად ტრანსფორმაციათა უწყვეტ სერიად წარმოჩნდება თუ ტრადიციული ისტორიოგრაფიის ცალკეული ფაქტებიდან ფოკუსი სამეურნეო, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, ტექნოლოგიური და პოლიტიკური პროცესებისკენ გადაინაცვლებს. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია ტრანსფორმაციათა ისტორიის თითქოს ერთ-ერთი, თუმცა შესაძლოა ფრიად სპეციფიური მოვლენა აღმოჩნდეს, ამდენად მას ცალკე ყურადღება ეთმობა.

1.1. დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია სსრკ-სა და სოც.ბანაკის ქვეყნებში

საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ადგილი ჰქონდა რეპრესიული რეჟიმის შესუსტებას და როგორც საზოგადოების ისე ადგილობრივი კმუნისტური ელიტების მხრიდან, ამა თუ იმ ფორმით ფარული თუ ღია წინააღმდეგობის ზრდას, რეჟიმის შედეგებით ლიბერალიზაციას და დემოკრატიზაციას. ეს პროცესები, სხვ და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილას, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და სტიქიურად ვითარდებოდა,

თუმცა სავარაუდოა რომ ერთმანეთზე გავლენას (სულ მცირე მორალურს მაინც) ახდენდა.

1.2. ხავერდოვანი რევოლუციები

ზემოაღნიშნული დინამიკის კანონზომიერი შედეგი იყო პერესტროიკა და ხავერდოვანი რევოლუციები, თუმცა მათი „პროგნოზირება“ პოსტ-ფაქტუმ არის ადვილი. პოსტ-ცოდნის ფონზე კანონზომიერი და გარდაუვალი, რეალობაში კი რანდომული და კანონზომიერი ფაქტორების ერთობლიობა სავსებით იძლეოდა სხვაგვარი განვითარების შესაძლებლობასაც და ამდენად დეტალების შესწავლა საინტერესო იქნებოდა და აუცილებლად დაიკავებს თავის ადგილს დაგეგმილ ვრცელ კვლევაში

1.3. სსრკ-ს დაშლის მიზეზები

საბოლოოდ კი სსრკ-ს დაშლა, რომელიც ერთი მხრივ სულაც არ იყო გარდაუვალი, თუმცა მეორე მხრივ არსებული დინამიკა მასაც კანონზომიერად აქცევდა, პისი წინასწარ პროგნოზირება იყო შეუძლებელი, მიუხედავად იმისა რომ შესაძლებლობები მის პოლიტიკურ სისტემაში იყო ცადებული, ხოლო ეკონომიკური არაეფექტიანობა ზრდიდა მის მოწყვლადობას და ამდენად პოსტ-ფაქტუმ ადვილასახსნელი და გარდაუვალი წარმოჩნდება

1.4. სსრკ-ს დაშლის აღქმა და ფსიქო-სოციალურ თუ სოციო-კულტურულ ფაქტორთა გავლენა პოლიტიკაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

მიუხედავად იმისა რომ სსრკ-ს დაშლის მომენტისთვის მისი შენარჩუნება თითქმის აღარავის უნდოდა, ყოველ შემთხვევაში არავის შესწევდა ძალა პროცესს წინ აღდგომოდა, და არავის ჰქონდა რწმენა რომ წინაღდგომა გამართლებული იყო, პოსტსაბჭოთა საზოგადოებაზე და ისტორიულ მეხსიერებაზე იგი სხვა და სხვა ნაირად აისახა: რუსებმა იმპერია დაკარგეს, ხოლო რესპუბლიკებმა სახელმწიფოებრიობა დაიბრუნეს, მაგრამ რუსეთში იმპერიის დაკარგვა თავდაპირველად კომპენსირებული იყო ახალი შესაძლებლობებით, რომელთა რეალიზაციის, ან იმედების გაცუდების შემდეგ დგება იმპერიის ნოსტალგია, განსაკუთრებით მათში ვინც იმპერიის დროს ახალგაზრდა და პერსპექტიული იყო, ხოლო შემდეგ ასაკოვანი და ან უპერსპექტივო, ან პერსპექტივებ რეალიზებული და მარადიულზე დაფიქრებული, მათში დაკარგული იმპერიის ფანტომური ტკივილი და ძველი დიდების აღდგენის ნარატივი გამოხმაურებას სულ უფრო და უფრო ადვილად ჰპოვებს.

მათგან თითქოს განსხვავებით დამოუკიდებლობა მოპოვებულ ქვეყნებში ეროვნულ სახელმწიფოსთან და კაპიტალიზმთან დაკავშირებული იმედების გაცრუების კვალ და კვალ ძლიერდება წარსული პერიოდის ნოსტალგია. რაც არსებითად დამახასიათებელია ოქროს მილიარდის ქვეყნებისთვის, და გარკვეულწილად განპირობებულია „დიდი ომის შემდგომი ბები ბუმერების“ და მათი შემდგომი თაობის დაბერების პარალელურად საზოგადოების, ეკონომიკის და დასაქმების სტრუქტურის, აგრეთვე კულტურული გარემოს ცვლილებით, თუმცა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სწრაფად და წარმატებულად განვლეს პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. აღნიშნულ კონტექსტში პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ქვეყნები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს

2. პოსტსოციალისტური ქვეყნების სამი ჯგუფი:

2.1. წარმატებული დემოკრატიული ტრანსფორმაციის პოსტსოციალისტური ქვეყნები

ბალტიისპირეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა, რომელთაც არა თუ სსრ კავშირის შემადგენლობაში ან მის ორბიტაზე მოხვედრამდე, ინტერბელუმში ჰქონდათ ეროვნული დემოკრატიის და კერძო მეწარმეობის გამოცდილება და კულტურა, არამედ მანამდეც, პირველ მსოფლიო ომამდე და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, მათ სწრაფად და ეფექტიანად, თუმცა არა უმტკივნეულოდ განიცადეს ტრანსფორმაცია, გადასვლა როგორც გეგმური ეკონომიკიდან საბაზროზე, ისე ერთპარტიული მმართველობიდან პლურალისტურ დემოკრატიაზე. აქ თავისი როლი ითამაშა მრავალმა ფაქტორმა და ადგილი აქვს ლოკალურ სპეციფიკას, განსხვავებებს ქვეყნებს შორის, რაზეც უფრო დაწვრილებით ვრცელ ნაშრომში იქნება საუბარი.

2.2. ავტორიტარული ტრანსფორმაციის პოსტსოციალისტური ქვეყნები

ცენტრალური აზიის ავტორიტარული ტრადიციის და კულტურის ქვეყნებმა, აგრეთვე აზერბაიჯანმა, თავიდან მკაფიოდ და შეუნიღბავად (ან თითქმის შეუნიღბავად) აიღეს გეზი ავტორიტარულ ტრანსფორმაციაზე, რომელიც ერთი მხრივ გულისხმობდა პარტიულ-იდეოლოგიური დიქტატურიდან პერსონალისტურ დიქტატურაზე, მეორე მხრივ კი გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე პერსონალისტური დიქტატურის პირობებში გადასვლას გულისხმობდა. პლუს აქ საინტერესოა მმართველი ჯგუფის, სახელმწიფო სექტორის, მსხვილი ადგილობრივი თუ საერთშორისო კაპიტალის და რეალურად თავისუფალი ბაზრის წილების ურთიერთმიმართება. ცხადია ესეც ერთგვარი

გამარტივებაა და არნიშნულ ქვეყნებს აქვს განმასხვავებელი სპეციფიკური ნიშნები, რომელთა აღწერა და ანალიზი არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, რაც აგრეთვე წარმოდგენილი იქნება ვრცელ ნაშრომში.

2.3. შეფერხებული ტრანსფორმაციის ქვეყნები და მეორე რიგის ხავერდოვანი რევოლუციები

განსაკუთრებით საინტერესოა ქვეყნების ჯგუფი, რომლებმაც პოლიტიკური რეჟიმების და ეკონომიკური სისტემის ცვლილება განიცადეს და დაიწყეს მოძრაობა დემოკრატიზაციისკენ, მაგრამ შეფერხებებით და/ან უკუქცევებით, ზოგან კი დემოკრატიზაციის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ დაიწყეს სვლა ავტორიტარიზმისკენ. ასეთ „შეფერხებული ტრანსფორმაციის“ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა მეორე და/ან მესამე ციკლის ხავერდოვანი რევოლუციებს, რომლებმაც წინააღმდეგობრივი შედეგები გამოიღო, ზოგან ავტორიტარიზმის ზრდა, ზოგან დემოკრატიზაციის, ზოგან „ახალი სამოქალაქო ერების დაბადება“ და არაა გამორიცხული ციკლის კვლავ გამეორება.

2.4. პოსტსოციალისტური სამოქალაქო ერების დაბადება

შეფერხებული ტრანსფორმაციის ქვეყნებში სოცბანაკის რღვევით და ახალი ეროვნული დემოკრატიის თავდაპირველი იმედების შემდგომ გაცრუებას ახალგარდა თაობა მიჰყავს ნიჰილიზმისკენ, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე ხდება მათი კონსოლიდაცია და გარდაქმნების მოთხოვნების ფონზე ახალი პოლიტიკური თაობის დაბადება არსებითად ახალ, პოსტსაბჭოთა სამოქალაქო ერთან ერთად, ესაა მეორე და ზოგან მესამე ციკლის ხავერდოვანი რევოლუციები ან ზოგან მათი წარუმატებელი მცდელობაც კი. ეს შეიძლება ითქვას 2011 წლის რუსეთში ბოლოტანაის პროტესტზე, 2014 წლის უკრაინის ევრომაიდანსა და ღირსების რევოლუციაზე, 2018 წლის ფაშინიანის გამარჯვებაზე სომხეთში, 2018 წლის ბასიანის პროტესტზე, 2019 წლის გავრილოვის ღამეზე, 2023-2024 წლების პროტესტზე საქართველოში

3. ტრანსფორმაციაში განსხვავებათა მიზეზები:

ტრანსფორმაციაში განსხვავებათა მიზეზების შესახებ მსჯელობისას, არა მხოლოდ პოპულარულსაზოგადოებრივდაპოლიტიკურდისკურსში, არამედ მეცნიერულშიც ხშირად შეინიშნება სუბიექტურ ფაქტორებამდე გამარტივების ტენდენცია, მაგრამ განსხვავებები რომ ცალსახად სუბიექტურ ფაქტორებზე ყოფილიყო დამოკიდებული დემოკრატიული, ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმების განფენა რანდომული იქნებოდა, რეალობაში კი მათი განფენა კომპაქტურია, რაც

გარკვეულ ტენდენციებს და განვიტარების ლოგიკას წარმოაჩენს, ან სულ მცირე მისი არსებობის ვარაუდის საფუძველს იძლევა.

3.1. გეოგრაფიული დეტერმინიზმის მიხედვით

გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიის თანახმად გადამწყვეტ როლს ამა თუ იმ ქვეყნის მდებარეობა განსაზღვრავს. აღნიშნულ თეორიას მრავალი ინტერპრეტაცია აქვს, აშკარად ფაშისტურ-რასისტულიდან და მარგინალურიდან საკმაოდ საინტერესო და ადეკვატურამდე. მათი გაცნობა მეტ-ნაკლები დეტალიზაციით შესაძლებელი იქნება ვრცელ ნაშრომში. აქ კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება რომ გეოგრაფია, როგორც ფიზიკური, ისე პოლიტიკური და ისტორიული გარკვეულ როლს შეიძლება თამაშობდეს.

3.2. რესურსული წყევლა

რესურსული წყევლა გულისხმობს რომ რესურსით მდიდარ ქვეყნებში ხელისუფლებანი დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო მონოპოლიებსა თუ ხელისუფლებასთან ინტეგრირებულ ოლიგარქიულ კაპიტალზე, და ამდენად დამოუკიდებელნი არიან სამოქალაქო გადასახადებისგან და მათი წარმომადგენლობისგან. ამავდროულად რესურსებზე წვდომა უზრუნველყოფს აღნიშნული ქვეყნების მმართველი რეჟიმების ეკონომიკური არაეფექტიანობის, კორუფციის და დიქტატურის პირობებში, პოზიტიურ ეკონომიკურ დინამიკას და გარკვეულ სოციალურ გარანტიებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერას და დემოკრატიის ილუზიას.

3.3. სუბიექტური ფაქტორები ანუ დამაარსებლის ეფექტი

ობიექტური ფაქტორების პარალელურად, ტრანსფორმაციის ვექტორსა და წარმატებაზე თავის გავლენას შესაძლოა ახდენდეს ე.წ. დამაარსებლის ეფექტი. ტრანსფორმაცია იწყება არსებული რეჟიმების რღვევით და მასთან დაკავშირებული ტურბულენტურობით, რაც ზოგჯერ რანდომული წესით ოლიმპის მწვერვალებამდე ალაზევებს საკმაოდ შემთხვევით პერსონაჯებს, ხოლო სისტემის ფორმირება თუ მისი შემდგომი ევოლუცია შეიძლება დამოკიდებული იყოს ახალი სისტემის არქიტექტორების პიროვნულ თვისებებზე, ხასიათის ბუნებაზე, განათლებაზე, მისწრაფებებზე, შეხედულებათა სისტემაზე, კომლექსებსა და ფობიებზე, სტერეოტიპებზე, პირად, კოლექტიურ თუ პოლიტიკურ ინტერესებზე, ამდენად ამგვარი სუბიექტური ფაქტორების მნიშვნელობის უგულვებელყოფა, განსაკუთრებით სუსტი ან არარსებული ინსტიტუტების, მათი მსენებლობის პირობებში, დაუშვებელია, თუმცა რთულია მათი წონის და გავლენის

იდენტიფიცირება და მითუმეტეს პროგნოზირება. თუმცა თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ სიტუაციებში ხდება ინსტიტუტების მორგება კონკრეტულ პერსონაჟებზე რაც გავლენას ახდენს ობიექტურ პროცესებზე და ცვლის მათ, ქმნის ახალ ობიექტურ რეალობას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ავტორიტარული ტენდენციები თავიდანვე განპირობებული იყო საბჭოური და მანამდელი პოლიტიკური ტრადიციით, ამავდროულად მას პარალელურად საფუძველს უმყარებდა კონსერვატიული იდეოლოგიების აღზევება უარყოფილ საბჭოურ ტრადიციაზე პასუხად. ამდენად ზოგმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფომ სწრაფად დაამყარა „სუვერენულ დემოკრატია“ წოდებული ღია თუ შენიღბული ავტორიტარული რეჟიმები ეთნონაციონალიზმის ან დიდებულ წარსულში დაბრუნების იდეოლოგიით. ზოგან ავტორიტარულ-კონსერვატიული ტენდენციები გამოიკვეთა თანდათანობით, როგორც პასუხი პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციით (პროცესით ან შედეგით) უკმაყოფილებაზე. ამდენად რიგ პოსტსოციალისტურ და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებათა სწრაფვას ავტორიტარიზმისკენ აქვს ძლიერი ელექტორალური საფუძველი კონსერვატიულად განწყობილ საზოგადოებაში, რომელთა ზრდა არაა გასაკვირი, უფრო საინტერესოა რომ კონსერვატიული ტენდენციები იკრებს ძალას ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებშიც, და აღნიშნული ორი დინამიკის თანხვედრა უფრო საინტერესოა.

საერთო ნიშნებში უნდა აღინიშნოს რომ ორივე ტენდენციის დრაივერი ომისშემდგომი ბუბიზუმერების და მათი მომდევნო თაობის მრავალრიცხოვნობა ოქროს მილიარდის ქვეყნებში. აგრეთვე საინტერესოა რომ პოსტინდუსტრიული ლიბერალიზმით იმედგაცრუებული ახალგაზრდობის წილი იზრდება კონსერვატიულ ფლანგზე.

ტრადიციულ დემოკრატიებში აღნიშნული პროცესი შინაარსობრივადაც და ფორმითაც სავსებით დემოკრატიულია, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კონსერვატიულ ტალღას იყენებენ ხელისუფლებანი ავტორიტარიზმის გასაძლიერებლად.

დასკვნის სახით ასევე შეიძლება ითქვას რომ კონსერვატიულ-ავტორიტარული დრეიფი გლობალური ხასიათის მოვლენაა, რომელიც დასავლეთის პოლიტიკური

კულტურის ფონზე შედარებით უკეთ ჩანს და ვლინდება, თუმცა ადგილი აქვს ყველგან, მათ შორის ტრადიციულად ავტორიტარულ და კულტურულად ფაშისტურ ქვეყნებშიც, თუმცა იქ ეს დინამიკა არ ჩანს გასაგები მიზეზების გამო.

საბოლოო დასკვნის სახით კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ წარმოდგენილი მოხსენება არის მხოლოდ მონახაზი ფუნდამენტური კვლევისა რომელიც დაგეგმილია და ეტაპობრივად ხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Levitsky, S., & Way, L. A. (2010). *Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War*. Cambridge University Press.
2. Hale, H. E. (2014). *Patronal politics: Eurasian regime dynamics in comparative perspective*. Cambridge University Press.
3. Fish, M. S. (2005). Democracy derailed in Russia: The failure of open politics. *Cambridge University Press*.
4. Way, L. A. (2005). Authoritarian state building and the sources of regime competitiveness in the fourth wave: The cases of Belarus, Moldova, Russia, and Ukraine. *World Politics*, 57(2), 231-261

**საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ანალიზი: ფინანსურ ზრდაზე
მოქმედი ძირითადი ფაქტორები**

**დოქტორი გიორგი აბაშიშვილი, დოქტორი თეა კასრაძე,
დოქტორანტი სალომე ლიპარტელიანი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ალტე უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ასახავს მათ უნარს მართონ რისკები, გამოიმუშაონ შემოსავლები და შეინარჩუნონ ფინანსური სტაბილურობა. წინამდებარე ნაშრომი ანალიზებს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსურ მაჩვენებელზე გავლენის ძირითად ფაქტორებს, ფოკუსირებულია სტრუქტურულ და მარეგულირებელ გამოწვევებზე, რომლებიც ზემოქმედებენ სექტორის განვითარებაზე. ნაშრომში შესწავლილია განვითარებადი ბაზრის დინამიკა, მათ შორის ეკონომიკური ზრდა, უცხოური ინვესტიციების და სამომხმარებლო ქცევის ცვლილებები და მათი გავლენა სადაზღვევო ლანდშაფტზე. საქართველოში მოქმედი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიების მუშაობის შესწავლით, ეს კვლევა ხაზს უსვამს იმ კრიტიკულ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბაზრის მდგრადობას, ზრდის პერსპექტივებს და რისკების მართვას. ნაშრომი მიზნად ისახავს ფინანსური ინდიკატორების, მარეგულირებელი ჩარჩოებისა და განვითარებადი ტენდენციების შესწავლის გზით წარმოაჩინოს ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ საქართველოს სადაზღვევო სექტორის ფინანსურ მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, ფინანსური მაჩვენებლები, წმინდა მოგება, ზარალი, ფინანსური ანალიზი, დაზღვევა

Analysis of the Georgian Insurance Market: The Main Factors Affecting Financial Growth

Abstract

The financial results of insurance companies' activities are affected by various factors that reflect their ability to manage risks, generate income and maintain financial stability. This paper analyzes the main factors affecting the financial performance of the Georgian insurance market, focusing on structural and regulatory challenges that affect the development of the sector. The paper examines emerging market dynamics, including economic growth, foreign investment and changes in consumer behavior and their impact on the insurance landscape. By examining the performance of both local and international insurance companies operating in Georgia, this study highlights the critical factors that contribute to market sustainability, growth prospects and risk management. The paper aims to present the factors that shape the financial sustainability and competitiveness of the insurance sector of Georgia through the study of financial indicators, regulatory frameworks and emerging trends.

Keywords: Insurance market of Georgia, Financial indicators, Net profit, Loss, Financial Analysis, Insurance

შესავალი

მიმდინარე სწრაფად ცვალებადი გარემო მაღალი გაურკვევლობით ხასიათდება, სადაც როგორც ადგილობრივი ასევე, საერთაშორისო რისკების მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი, თანაბრად აქტუალურია როგორც საცალო, ასევე კორპორატიული სეგმენტისთვის და გავლენას ახდენს ეკონომიკის გრძელვადიან სტაბილიზაციაზე, ინკლუზიურობასა და ფინანსურ მდგრადობაზე, რაც მზლვეკელთა მიერ ერთგვარი ბუფერების შექმნაში გამოიხატება.

გლობალური სადაზღვევო ბაზარი წარმოადგენს ფინანსურ სექტორს, რომელიც ეფუძნება რისკის მართვის, დანაზოგების მენეჯმენტისა და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობის მექანიზმს სხვადასხვა ეკონომიკებში. უახლესი შეფასებით, გლობალური სადაზღვევო ინდუსტრიის მოცულობამ დაახლოებით 7 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია 2023 წელს. ამასთან, განახლებული პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ბაზრის მოცულობა მნიშვნელოვანად გაიზრდება, სადაც მთავარი კონტრიბუტორი განვითარებადი ბაზრები იქნება. სადაზღვევო სექტორის განვითარებით ადაპტირება ხდება როგორც ფუნდამენტურ, ასევე

არაფუნდამენტურ რისკებთან. მოსალოდნელია, რომ მსოფლიო სადაზღვეო ბაზარი გაიზრდება წლიური 5.5%-იანი ტემპით მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, რაც შეესაბამება გლობალურ მშპ-ს ზრდას. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის დაზღვევა 8.4%-იანი ზრდით ხასიათდება, რაც თავის მხრივ ძირითადად აზიური ბაზრებითაა განპირობებული, ხოლო არასიცოცხლის სეგმენტი შესაბამისად 7%-იანი ზრდით. მსოფლიო ბაზარზე აშშ რჩება დომინანტად, რომელზეც გლობალური ბაზრის 44%-ზე მეტი მოდის.

ცალსახაა, რომ ინდუსტრიის ზომა, ხაზს უსვამს სექტორის მასშტაბს. ამასთან აღსანიშნავია ძირითადი ტენდენციები გლობალურ სადაზღვეო ბაზარზე - დაჩქარებული ციფრული ტრანსფორმაცია, ფოკუსირება კლიმატის მდგრადობაზე, რისკების დივერსიფიკაციის სტრატეგიებზე, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომები და რისკის პორტფელის გადანაწილება კაპიტალის მიხედვით.

საქართველოს სადაზღვეო ბაზარი სტაბილურად იზრდება, ისეთი ძირითადი ტენდენციების კვალდაკვალ, რომლებიც ყალიბდება მარეგულირებელი ცვლილებებით, დიგიტალიზაციისა და მომხმარებელთა მოთხოვნის პარალელურად ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევაზე ძირითადი ფოკუსით. არსებული პროგნოზით, ზრდა გაგრძელდება 2028 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ციფრული ტრანსფორმაცია ფუნდამენტური ტენდენციაა საქართველოს სადაზღვეო ინდუსტრიაში, რაც მზღველებს პროცესების ოპტიმიზაციაში ეხმარებათ. 2023 წელს, პირველად ისტორიაში, საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე მოზიდული პრემიის მოცულობამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა და 1,064 მლნ ლარი შეადგინა, რაც 17%-ით მეტია წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე. ამავე დროს, ეს მონაცემი პრაქტიკულად გაორმაგებულია ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2018 წელს მოზიდული პრემია გახლდათ 542.2 მლნ ლარი).

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ძირითადი ფინანსური ინდიკატორების გაანალიზებით შეისწავლოს საქართველოს სადაზღვეო ბაზრის მდგომარეობა, მასზე მოქმედი ფაქტორები და გააკეთოს დასკვნები, რომლებიც დაეხმარება დაინტერესებულ პირებს ინდუსტრიაში სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში.

ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და საქართველოს სადაზღვეო ინდუსტრიის მონაწილეების, კონკრეტულად კი დომინანტი და არადომინანტი მზღვევლების ურთიერთანამშრომლობის ფორმები და სპეციფიკა ზედამხედველობის, რეგულირების, ფინანსური სტაბილურობის, სახელმწიფო პოლიტიკის გატარების,

მზღვეველთა ზრდის, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის, ნორმატიული/საკანონმდებლობაზის შექმნის და მისი პრაქტიკული შესრულების თვალსაზრისით ნაშრომში შევეცდებით პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ საკვლევ კითხვებს: რა ტიპის რეგულირების მექანიზმები არსებობს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე და რამდენად ეფექტიანია ისინი? რა ფაქტორები განაპირობებს/ახდენს გავლენას საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ძირითადი მოთამაშეების სტაბილურად მზარდ ბაზრის წილზე? რა გავლენა აქვს აღნიშნულს მზღვეველთა ზრდის პერსპექტივაზე და რა როლი აქვს ამ მიმართულებით მარეგულირებელს? რა არის ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო ბაზრის რეგულირების გამოწვევებს და როგორ ახდენს ის გავლენას კომპანიების ზრდაზე? რა იქნება მარეგულირებლის ყველაზე ეფექტიანი სტრატეგია სადაზღვევო ბაზრის გასაჯანსაღებლად?

კვლევა იყენებს ფინანსურ მონაცემებს საჯაროდ ხელმისაწვდომი მაღალი სანდოობის მქონე წყაროებიდან. ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება მეორეული წყაროების ანალიზს. კერძოდ, გამოვიყენეთ: ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც მომგებიანობის, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და ეფექტურობის კოეფიციენტების შეფასება იძლევა ფინანსური მაჩვენებლების ყოვლისმომცველ ხედვას; ტენდენციის ანალიზი, რომელიც დაგვეხმარა დროთა განმავლობაში პრემიების, პრეტენზიების, ინვესტიციების და სხვა ფინანსური ინდიკატორების ტენდენციების შესწავლაში; ქართულ ბიზნესს გარემოზე მორგებულმა ხარისხობრივი და სცენარების ანალიზის მეთოდებმა მოგვცა სხვადასხვა სცენარების შესწავლის საშუალება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ბაზარზე. ნაშრომი ასევე მოიცავს ძირითადი ფინანსური და სტატისტიკური ინდიკატორების ანალიზს, ფინანსური საქმიანობისა და ზრდის პოტენციალის შესაფასებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა

იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო ბაზარი ხასიათდება ასიმეტრიული ინფორმაციით, მისი ეფექტურობა დიდწილად ეფუძნება რისკის კლასიფიკაციას. ამასთან ხშირად ბაზრის რეგულირება გარკვეული შეზღუდვების დაწესებად აღიქმება. სწორედ აღნიშნულს ანალიზებს ნაშრომი „რისკის კლასიფიკაციის ეფექტურობა და სადაზღვევო ბაზრის რეგულირება“ (Porrini, 2015). ტრადიციული ეკონომიკური თეორია განასხვავებს ორი ტიპის ასიმეტრიულობის პრობლემას.

ესენია, არარელევანტური შერჩევა და ინფორმაციის ნაკლებობა, სადაზღვევო კომპანიების ჭრილში. შესაბამისად, რისკის კლასიფიკაციის სისტემის მიზანია უზრუნველყოს რისკის დაჯგუფება იმგვარად, რომ პროცესი იყოს ეფექტური (Porri, 2015).

სადაზღვევო პროცესების სიმარტივე ინდუსტრიის მთავარ საკითხად და ერთგვარ გამოწვევად რჩება. კომპანიების მიერ წარმართული ანდერრაითინგის პროცესი ხშირად ხელისშემშლელი ფაქტორია ეფექტურობის მისაღწევად (Maier, et al., 2020). ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს, რომ ხელოვნური ინტელექტის (AI) ეთიკურ და პასუხისმგებლობით გამოყენებას შეუძლია გადაჭრას ზოგიერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა და ამასთან, ფართოდ გააუმჯობესოს საზოგადოების ფინანსური კეთილდღეობა; აღსანიშნავია, რომ სტატია ეწინააღმდეგება სტანდარტულ ანდერრაითინგის პროცესს და აფართოებს არსებულ ცოდნას ინოვაციური მიდგომის უპირატესობების ჩვენებითა და ტრადიციულისა და სიახლის ერთმანეთთან დაპირისპირებით. ნაშრომის ძლიერი მხარეა შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური ინოვაციურობა/სიახლე; აქცენტირება არატრადიციული ანდერრაითინგის პროცესის უპირატესობაზე. ნაკლია ნაკლები პრაქტიკულობა, ნაკლები აქცენტი კონკრეტულ პრაქტიკულ ქეისებზე (Maier, et al., 2020)

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის და მისი მახასიათებლების შესწავლაში განსაკუთრებული როლი აქვს თენგიზ ვერულავს, რომელიც აქტიურად მუშაობს საკითხზე და გამოქვეყნებული აქვს არაერთი წიგნი თუ პუბლიკაცია. აღნიშნულთაგან, გარკვეული მათგანი წამროდგენილი მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია - „ნაშრომში ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“ (ვერულავა, და სხვ., 2015). კვლევის შედეგი, რომლის მიხედვით ხაზგასმულია საქართველოს მოსახლეობის ცნობიერება და საჭიროებები სადაზღვევო პროდუქტების მიმართ; ამასთან, მომავალი მზაობა სადაზღვევო პროდუქტების მოხმარების თვალსაზრისით (ვერულავა, და სხვ., 2015). ნაშრომის მიხედვით, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მთავარ გამოწვევად კვლევ სადაზღვევო პროდუქტების მიმართ მოსახლეობაში არსებული უნდობლობა რჩება. (ვერულავა, და სხვ., 2015). თენგიზ ვერულავას ასევე ეკუთვნის ნაშრომი „დაზღვევის ისტორია“, სადაც საკითხი განხილულია ისტორიული რაკურსით და მოიაზრებს განვითარების ეტაპების დეტალურ მიმოხილვას. ისტორიული რეტროსპექტივის სწორად გასაანალიზებლად აღნიშნული ნაშრომისთვის განსაკუთრებით ღირებულია (ვერულავა, 2018). მეოცე საუკუნიდან დაზღვევამ მიიღო სრულად ეკონომიკური მნიშვნელობა და შესაბამისად იქცა ფინანსური

სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად, რომელიც თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო მეტ როლს იძენს (ვერულავა, 2018). დასახელებულ ავტორს ეკუთვნის ნაშრომი „საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა საქართველოში“ (ვერულავა & ელიაშვილი, 2015). ავტორების მიერ ხაზგასმულია, რომ ისტორიულად კრედიტის დაზღვევა ითვლებოდა სხვა ტიპის დაზღვევის სახეობებთან შეუთავსებულ კატეგორიად, რადგანაც მისი შინაარსობრივი მახასიათებლები მნიშვნელოვნად გამსხვავდებოდა დანარჩენებისაგან (ვერულავა & ელიაშვილი, 2015).

ადგილობრივი სამეცნიერო წყაროების მიმოხილვა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კვლევის ზოგადი ანალიზისთვის, თუმცა მასზე დაყრდნობით ჩვენ ვერ შევძლებთ სრულფასოვანი დასკვნების გამოტანას და რეკომენდაციების შემუშავებას, რადგან მსგავსი ფორმულირებით საკითხი შესწავლილი არ არის და არსებული კვლევები მეტად ფრაგმენტულია, რაც კვლევის საჭიროებას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ამასთან, უცნოული **სამეცნიერო წყაროების ანალიზი მნიშვნელოვანია ახალი პრაქტიკის, ცოდნის გაზიარებისთვის, საქართველოს რეალობასთან შედარების და შესაბამისობის დადგენისათვის.**


საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ანალიზი

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, ქვეყნის ისტორიაში პირველად სადაზღვევო ბაზარზე მოხიდულმა პრემიამ 1 მლრდ ლარზე მეტი შეადგინა, რაც ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ფაქტია (დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). აქვე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბოლო 5 წლის ტენდენციის მიხედვით დასახელებული მონაცემი გაორმაგებულია.


აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, 18 კომპანია ოპერირებს (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), რომელთაგანაც ყველა ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. საანალიზო პერიოდში მოხიდული სადაზღვევო პრემიამ, რომელიც გაანგარიშებულია პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1 063.6 მლნ ლარს გაუტოლდა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), აღნიშნული მაჩვენებელი 17%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (დიაგრამა 1). აქვე, ისიც უნდა ითქვას რომ ბაზრის განვითარების დინამიკა ბოლო 10 წლის მანძილზე საკმაოდ სტაბილურად

მზარდი მაჩვენებლით გამოირჩევა (გარდა პანდემიის არასტანდარტული და მაღალი გაურკვევლობით გამოხატული პერიოდისა) - 2014 წელს ბაზრის ზომა 303 მლნ. ლარით გამოიხატებოდა, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 3,5-ჯერ ნაკლებია (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ხოლო უშუალოდ მზღვეველთა სადაზღვევო მოგება 248.5 მლნ ლარი შეადგინა (დიაგრამა 2), წმინდა მოგებამ კი 73.5 მლნ ლარი (დიაგრამა 3). ამასთან, მნიშვნელოვანი ინდიკატორია კონკრეტულად მზღვეველთა აქტივების სრული/ჯამური მოცულობაც (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), რომელიც წარმოდგენილ საანალიზო პერიოდში 1 300.9 მლნ ლარს მიაღწია (დიაგრამა 4). დასახელებულის პარალელურად კი კაპიტალი 374.3 მლნ ლარის ოდენობით იქნა წარმოდგენილი (დიაგრამა 5), (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).


დიაგრამა 1




დიაგრამა 2




დიაგრამა 3



დიაგრამა 4



დიაგრამა 5



წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური


მეტი დეტალიზაციისათვის, ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების ჩამონათვალი

შემდეგნაირად გამოიყურება: ალდაგი, ნიუ ვიჟენი, იმედი L, ბბ დაზღვევა, ჯი პი აი ჰოლდინგი, საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი, ქართუ, გლობალ ბენეფიცი, ირაო, თიბისი დაზღვევა, არდი, გრინ, ალფა, ტაო, ევროინსი, პრაიმი, ჰსპ, უნისონი (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). აღსანიშნავია, რომ თითოეულ კომპანიას საკუთარი კონკურენტული უპირატესობა და ბაზარზე ინდივიდუალური ნიშაც უკავია. აქვე ისიც, უნდა ითქვას რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე საბროკერო საქმიანობაც განაგრძობს განვითარებას და უახლესი მონაცემებით ბაზარზე 25 სუბიექტი ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საშუაშალო საქმიანობის მიმართ ინტერესი მზარდია, რისი მარტივი ინდიკატორიც სწორედ რეგისტრაციის მსურველთა განაცხადების მზარდი მაჩვენებელიცაა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

ბოლო 10 წლის ანალიზით, საინტერესო ტენდენციები იკვეთება რამდენიმე მიმართულებით: პირველ რიგში აღსანიშნავია, 2014 წლის შემდგომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის შედარებით დამოუკიდებლად განვითარების მიმართულებით დაწყებული ძვრები, რაც გამოიხატებოდა იმ ფაქტორით რომ სწორედ დასახლებული წლის წინა პერიოდში, კონკრეტულად 2023 წელს ჯანმრთელობის სოციალური პროგრამების მართვის გადაცემა მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).. გამოკვეთილი ტრენდით სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება მომხმარებლებში ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები, რაც მეტწილად გამოხატულია კორპორაციული პაკეტებით, რაც რიცხობრივ ნაწილში ბაზრის უდიდეს წილს განაპირობებს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე და უნდა ითქვას რომ ამ მიმართულებით ჯანმრთელობის დაზღვევა 42%-იანი წილითაა წარმოდგენილი, რაც 447 მლნ ლარს უტოლდება (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). TOP 5 სექტორის ჭრილში შემდგომი მაქსიმალური მაჩვენებლით მას მოჰყვება სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევა 19%-იანი საბაზრო წილით, რაც რაოდენობრივ ჭრილში 205 მლნ ლარია; შემდგომ ქონება 126 მლნ ლარით ანუ 12%-იანი საბაზრო წილით, ავტო პასუხისმგებლობის დაზღვევა 7%-ითა და სიცოცხლის დაზღვევა 8%-იანი წილით, 90 მლნ ლარით. ეს უკანასკნელი, უმეტესწილად საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებულ პროდუქტს უკავშირდება, თუმცა დამოუკიდებელ ნაწილშიც აქვს მომხმარებლების მხრიდან მოხმარებაც უშუალოდ ჯანმრთელობის დაზღვევის კომპონენტშიც (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

დიაგრამა 6


სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა



წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

საგულისხმოა, რომ ამ ეტაპისათვის 2017 – 2023 წლის მაჩვენებლებით სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში სტაბილურად იზრდება 1.08%-დან შესაბამის 1.33%-მდე (დიაგრამა 7). თუმცა უნდა აღინიშნოს ის დეტალი, რომ 2023 წელი იყო პირველი, როდესაც საქართველოს სადაზღვევო სექტორის ზრდის / განვითარების ტემპი გამოხატული შესაბამის 17%-იანი მაჩვენებლით, აღემატება საქართველოს მშპ-ს ზრდის ტემპს გამოხატულს შესაბამის 12%-იანი მონაცემით (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). აღნიშნული, ცალსახად მოწმობს სექტორის განვითარების შესაძლებლობებს, პოტენციალს და ამასთან საზოგადოების ნდობის ამაღლებას უშუალოდ სადაზღვევო პროდუქტებთან მიმართებით, რაც ცალსახად პოზიტიური სიგნალია როგორც დარგის მოთამაშეების ასევე, უშუალოდ მარეგულირებლისათვისაც. თუმცა აქვე ისიც, უნდა ითქვას რომ საქართველოს სადაზღვევო სექტორში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ისეთი ტიპის მიმართულებები, სადაც ბაზრის პოტენციალი და უშუალოდ განვითარების შესაძლებლობები ჯერ კიდევ აუთვისებელი რჩება, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ინვესტორების მხრიდან როგორც ნდობის, ასევე მიმზიდველობის ჭრილში. მსგავს მიმართულებებს განეკუთვნება გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა, ამასთან სახმელეთო ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ. (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024)

დიაგრამა 7



წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური


აქვე, საანალიზოდ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს პანდემიის გავლენა საქართველოს სადაზღვევო სექტორის განვითარებაზე. , უნდა აღინიშნოს , რომ რეალურად დასახელებულმა ფაქტორმა ბაზარზე მნიშვნელოვანი რყევები მდგრადობისა და სტაბილურობის თვალსაზრისით ვერ მოახდინა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), რაც პანდემიის სრულად ამოწურვამდე პირვე რიგში გამოიხატა მიმართვიანობის ზრდით, ხოლო შემდგომ გაგრძელდა გაყიდვების ზრდის ტენდენციით. სწორედ დასახელებული ფაქტი და უშუალოდ წარმოდგენილი ფაქტორი მოწმობს სექტორის ფინანსურ სიმყარეს და ამასთან, მარეგულირებლის როლს შესაბამისი დირექტივებით დასახელებული სტაბილურობის შენარჩუნებაში (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). წარმოდგენილ ნაწილში, საგულისხმოა რომ გადაზღვევის კომპონენტი არ იზრდება დამოუკიდებლად და არ არის შეუსაბამობაში უშუალოდ სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის განვითარებასთან. არამედ პირიქით დასახელებული ორი ინდიკატორი ერთმანეთის პარალელურად ვითარდება (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), რაც კიდევ ერთხელ მოქმობს ამ თვალსაზრისით ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნდამენტური მექანიზმის ეფექტიანობას, რომელიც მათ შორის საერთაშორისო ბაზრებსთვისაც მნიშვნელოვანი მანევრის საშუალებაა სექტორში სტაბილურობის მიღწევისათვის. საინტერესოა, რომ აღნიშნული ტენდენცია უფრო ნათლად ვლინდება ქონებისა და პასუხისმგებლობის მიმართულების ნაწილში (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ამასთან, გადაზღვევის პრემიის გადანაწილება TOP 5 სადაზღვევო მიმართულებაზე შემდეგნაირია (დიაგრამა 9): ქონება 31%, სამედიცინო 27%, ავიაცია 10%, 9% სახმელეთო ტრანსპორტი და 7%

პასუხისმგებლობის დაზღვევა. აღნიშნული მაჩვენებელი კონკრეტულ რისკზე მზღვეველის მიერ აღებულ ვალდებულებას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ სადაზღვევო თანხის საჭიროებას განსაზღვრავს (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), შესაბამისად წარმოდგენილი მიმართულებები საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურულად გამომდინარე ლოგიკური და რელევანტურია.

დიაგრამა 8



დიაგრამა 9



წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

აღსანიშნავია ის საკითხიც რომ ბოლო 10 წლის მანძილზე საკმაოდ სტაბილური და მდგრადია გადაზღვევის %-ული მაჩვენებელი ჯამურ პრემიაში (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში წლიდან წლამდე ფაქტორბივად უცვლელიც კი არის. ზემოთ დასახელებული TOP 5 მიმართულება წარმოადგენს ისეთი ტიპის

დაზღვევებს, სადაც მაქსიმალურად დიდი რისკის აღება ხდება, „სტანდარტული“ რისკისაგან განსხვავებით. აქვე საგულისხმოა მინიმალური წილის მქონე ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულება, რაც თავის მხრივ განპირობებულია შემთხვევების მაღალი დადგომითა და საკმაოდ დაბალი მოცულობების არსებობით (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ნეტო ანაზღაურების თვალსაზრისით შემდეგი სურათია - 2023 წლის მონაცემებზე დაყრდობით დასახელებული მაჩვენებელი 445 მლნ ლარია, ხოლო ზრდა გასული წლის ანალოგიურ მაცვენებელთან მიმართებით 20%-ს უტოლდება. ამასთან, სტაბილურობით ხასიათდება ნეტო ზარალიანობის კოეფიციენტიც. თუმცა ამ თვალსაზრისით 2019 წლის მაჩვენებელი ტრენდიდან გადახრაა (ცხრილი 1), რაც გამოვწეულია ბაზარზე არსებული 2 უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის ზარალით, რომელიც ბუნებრივია აისახა მათ პორტფელში. უნდა ითქვას ისიც, რომ რომ არა გადაზღვევა დასახელებული მზღვეველები ვერანაირი რაციონალური გათვლით ვერ შეძლებდნენ ზარალის ანაზღაურებას და მათ ლიკვიდობას, გადახდისუნარიანობას მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრებოდა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

ცხრილი 1

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ზარალიანობის კოეფიციენტი (ბრუტო)	65%	60%	63%	61%	69%	91%	61%	60%	57%	66%
	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ზარალიანობის კოეფიციენტი (ნეტო)	65%	68%	66%	67%	60%	62%	60%	62%	62%	62%

წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ნაშრომით გასაზღვრული მიზნებისა და ამოცანებისათვის ლოგიკურია გაანალიზდეს სადაზღვევო კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ უახლესი მონაცემებით მზღვეველთა ქტივების მოცულობა 1301 მლნ ლარია, რაც 17%-ით აღემატება 2022 წლის იდენტურ მაჩვენებელს (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). წარმოდგენილი მაჩვენებლიდან 2023 წელს, 33% ნაწილდება ფულად სახსრებზე, 33% ინვესტიციებზე შვილობილ და დაკავშირებულ პირების კომპონენტზე, 5% მოდის ძირითად საშუალებებზე

(ცხრილი 2), 4% ნაწილდება წინანსურ აქტივებზე, ასევე 4% სხვა სადაზღვევო აქტივებზე (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).


ცხრილი 2

აქტივის დასახელება	თანხა (მლნ ლარი)
ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკ. დანეს. მიმართ	437
ფინანსური აქტივები	52
დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები, წმინდა*	434
სხვა სადაზღვევო აქტივები**	209
ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში	24
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	61
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა	37
სხვა აქტივები	48
სულ	1,301

წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

გარდა განხილულისა, საყურადღებოა ვალდებულებების სტრუქტურაც, რაც მოიაზრებს იმ ფაქტს, რომ 89% (დიაგრამა 10) გამოხატულია სადაზღვევო და გადაზღვევის საქმიანობით, აღნიშნული კი თავის მხრივ პირდაპირ მოიაზრებს სადაზღვევო / საპენსიო საქმიანობას (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

დიაგრამა 10



წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

გარდა ამისა, გლობალური ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ სადაზღვევო ბაზრები განვითარებად ეკონომიკებში განიცდიან ზრდის უნიკალურ შესაძლებლობებს, რომლებიც გამოწვეულია მარეგულირებელი ადაპტაციით, კაპიტალის მოთხოვნებით და ფინანსური სტაბილურობის ინიციატივებით (Chen

and Gao, 2018). კვლევები ხაზს უსვამს კაპიტალის ადეკვატურობის მნიშვნელობას ბაზრის გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით ბაზრებზე, სადაც ხშირია გარე შოკები (Anderson and Brown, 2022). კვლევაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი მარეგულირებელი მოთხოვნები ხელს უწყობს ბაზრის სტაბილურობას, მათ ასევე შეუძლიათ შეზღუდონ მოკლევადიანი ზრდის პოტენციური მზღვევლებისთვის შესაბამისობის მაღალი ხარჯების დაკისრებით.

მსგავსი განვითარებადი ბაზრების კვლევა, როგორცაა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ბაზრები, მიუთითებს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაცია, მიზნობრივი მარეგულირებელი კორექტირებით, ხშირად იწვევს სადაზღვევო სექტორის სწრაფ ზრდას. სახელმწიფოს მიერ დომინირებული სადაზღვევო ბაზრებიდან კონკურენტუნარიან კერძო სექტორზე ორიენტირებულ სადაზღვევო ბაზრებზე გადასვლა მნიშვნელოვანია ამ ზრდისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას მხარს უჭერს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ადგილობრივი კაპიტალის განვითარება (Smith & Jones, 2020).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას საქართველოს სადაზღვევო ბაზარი მაღალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. ბოლო პერიოდში სექტორში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა განვითარებისათკენ თუმცა ჯერ კიდევ მრავლადაა გამოწვევები და პროდუქტები, რომლებიც საჭიროებს განვითარებასა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებას. საგულისხმოა, რომ არსებული ეტაპის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა საკითხები რომელი საჭიროებს გამოკვლევას და შესწავლას ნაშრომით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ესენია: ბაზარზე არსებული ძირითადი შესაძლო კლასიფიკაციით ტოპ 5 კომპანიის დომინანტური მდგომარეობის შეფასება, არსებობის შემთხვევაში ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემის იდენტიფიცირება, სექტორის განვითარების ძირითადი მიგნებების და განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მარეგულირებლის, როგორც ხელისშემშლელი ან ხელისშემწყობი ფაქტორების გამოკვლევა შესაბამისი მეთოდოლოგიით.

გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ბაზარი მყისიერად რეაგირებს, რაც დასტურდება 2014 წლის შედეგებით (ჯანმრთელობის სოციალური პროგრამების მართვა გადაეცა სახელმწიფო სტრუქტურას).

2014 წლიდან ბაზარი დამოუკიდებლად ვითარდება

დღეს სამედიცინო მიმართულება ყველაზე მეტადაა განვითარებული (ბაზრის 42%), რაც ასევე ადასტურებს ცნობიერების მიმართულებით ბაზარზე არსებულ გამოწვევებს, რომლის პარალელურადაც ავტომობილთა დაზღვევა ბაზრის კვლავ გამოწვევად რჩება და ბაზრის 3%-ს იკავებს, სადაზღვევო სექტორის განვითარების ტემპი უსწრებს მშპ-ს განვითარების ტემპს, ბაზარზე აუთვისებელი რჩება ისეთი მიმართულებები როგორცაა დაგროვებითი/გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა. გარდა განხილულისა ფინანსურ ზრდაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია: მარეგულირებელი ჩარჩო და ინსტიტუციური სიძლიერე, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და მოთხოვნა, დიჯიტალიზაცია და ტექნოლოგიური ინტეგრაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ბაზარი და კონკურენცია, რისკ მენეჯმენტი და მდგრადობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Anderson, P., & Brown, T. (2022). Emerging markets and insurance growth dynamics. *International Journal of Economics and Finance*, 10(3), 198-213.
2. Baker, S., & Morski, D. (2021). Regulatory impacts on small-scale insurers in emerging markets. *Journal of Insurance Regulation*, 15(4), 312-327.
3. Chen, L., & Gao, Z. (2018). Financial growth factors in global insurance markets: An emerging markets perspective. *Journal of Finance and Insurance*, 9(1), 101-119.
4. Mikadze, G. (2021). Challenges in the Georgian insurance market: A regulatory perspective. *Georgian Journal of Economics*, 5(2), 45-58.
5. Smith, A., & Jones, M. (2020). Capital adequacy and insurance market stability. *Risk Management Review*, 8(4), 201-225.
6. Tsereteli, N., & Vakhtangishvili, L. (2022). Impact of EU regulations on Georgian insurance. *Caucasus Journal of Economics*, 6(3), 67-89
7. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. (2024). საქმიანობის ანგარიში 2023 წელი. <https://insurance.gov.ge/Files/ShowFiles?id=6bdc75af-e899-4fda-a3d7-fda3ef146150>
8. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. (2021). საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. <https://www.insurance.gov.ge/files/ShowFiles?id=7fd95926-81f9-49cb-929e-2f2609df61f9>.
9. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2024). მოპოვებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესახებ: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1257514?publication=0>-დან
10. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2004). "ზღვეველის, გადამზიდველის და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის სადაზღვევო საქმიანობის დაწყებამდე მომავალი 3 წლის ბიზნეს-გეგმის ძირითადი მონაცემების დამტკიცების შესახებ". მოპოვებული : <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/58234?publication=0>:
11. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. (2024). სტატისტიკა. სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა. მოპოვებული <https://insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/650?type=4>
12. ალდაგი. 2021. პირველი პერსონალური სადაზღვევო მომსახურება საქართველოში - პრიმო ალდაგისგან: <https://aldagi.ge/ka/siaxleebi/58/pirveli-personaluri-sadazgvevo-momsakhureba-saqartveloshi-primo-aldagisgan>
13. ანგარიშგების პორტალი. (2021ბ). ანგარიშგებების რეესტრი. სს სადაზღვევო

კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი. ინდივიდუალური. მოპოვებული: <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/29205>

14. ანგარიშების პორტალი. (2021გ). ანგარიშებების რეესტრი. სს თიბისი დაზღვევა. კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება. მოპოვებული: <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/23234>
15. ლიპარტელიანი, ს. (2023) კვლევის დიზაინი
16. Lehane, D. (2020). Deloitte. Impact of COVID-19 on the insurance industry . <https://www2.deloitte.com/ie/en/pages/covid-19/articles/impact-COVID-19-insurance-industry.html>. (მოპოვებული 19/06/2024)

პრეზენტაცია, როგორც საქმიანი ადამიანის საჯარო გამოსვლა

**ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, გულნარა დიასამიძე, ხათუნა
ტაბატაძე**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია პრეზენტაციის გამოყენების შესაძლებლობები არაენობრივი სპეციალობის მწონე სტუდენტებისთვის საქმიანი უცხო ენის სწავლებისას. პრეზენტაციის უპირატესობები საჯარო გამოსვლის მნიშვნელოვანი ელემენტია. პრეზენტაციის დაწყება დიდ გავლენას ახდენს მსმენელის პირველ შთაბეჭდილებაზე და ინტერესზე მომხსენებლის მიმართ (ჩვენს შემთხვევაში პედაგოგის). ნებისმიერი პრეზენტატორისთვის მთავარია მსმენელებთან კონტაქტის დამყარება და აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა. გარდა ამისა, პრეზენტაციის კარგი დასკვა-დასასრული იმაზე მიუთითებს, რომ თემა სრულად გახსნილია.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ პრეზენტაცია გახლავთ გახლავთ ერთგვარი წარმოდგენა. ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ეფექტური მეთოდი, რომელიც მოიცავს დინამიკას, ხმასა და გამოსახულებას. მისი მიზანია ინფორმაციის მიწოდება, სწავლება, მოტივაციის შექმნა. მისი წყალობით ხორციელდება ენის საკომუნიკაციო ფუნქციის რეალიზება.

საკუთარი აზრების სწორად ორგანიზება და საჯაროდ წარმოჩენა გახლავთ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის პირად და პროფესიულ წარმატებას, მის კონკურენტუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: პრეზენტაცია, ინფორმაცია, განათლება, კომპიუტერი, Power Point.

Presentation - as a Public Speech of a Business Person

Abstract

In this article, the possibilities of using the presentation when teaching a business foreign lan-

guage to students of non-language specialties are considered. Advantages of the presentation are important elements of public speech. The beginning of the presentation strongly affects the first impression of the listeners and interest in the speaker (in our case, the teacher). For any presenter, the main thing is to establish contact with the listeners and attract the attention of the audience. In addition, a good conclusion shows that the topic is completely covered.

Presentation is a kind of presentation. One of the most convenient and effective methods that combines dynamics, sound and image. The purpose of the presentation is to communicate information, to teach, to create motivation, and it gives an excellent opportunity to realize the communicative function of the language.

The ability to competently organize and present your thoughts in public is the most important factor that determines the personal and professional success of a person, his competitiveness.

Keywords: presentation, education, information, computer, Power Point.

შესავალი

უნებურად ჩნდება კითხვა: რა არის პრეზენტაცია?! ეს არის ერთგვარი საჯარო გამოსვლა - ზეპირი გამოსვლა აუდიტორიის წინაშე. იგი ძირითადად ბიზნეს კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია. საჯარო გამოსვლის მნიშვნელოვან ელემენტებს მისი შესავალი და დასკვნა წარმოადგენს. დასაწყისი პირელივე სიტყვიდან დიდ გავლენას ახდენს მსმენელის შთაბეჭდილებასა და მოსაუბრის ინტერესზე. როგორც წესი, პრეზენტაციის შესავალს ორი მიზანი აქვს: მსმენელებთან კონტაქტის დამყარება და აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა.

საიდუმლო არ არის, რომ საჯარო საუბრით ან პრეზენტაციით გამოსვლა ხშირად ბევრ ადამიანში შინაგან პანიკას იწვევს – სტუდენტებიდან დაწყებული და დამთავრებული გამოცდილი მენეჯერებით. აუდიტორიისადმი მიმართვის ასეთი შიშის შედეგად მომხსენებელი მომზადებულ ტექსტს მთელი პრეზენტაციის განმავლობაში ფურცლიდან კითხულობს, რასაც ხშირად ხელების კანკალიც თან ერთვის.

ეს სულაც არ არის სიახლე, რადგან ფსიქოლოგიის წიგნებში, სადაც ადამიანის ქცევაზეა საუბარი, ნათქვამია, რომ ადამიანისთვის საჯარო გამოსვლა მთავარ შიშს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ სიკვდილის შიში ამ არა ტრივიალურ სიაში მხოლოდ მეშვიდე ადგილს იკავებს. ნიშნავს ეს იმას, რომ ბევრს სიკვდილი ურჩევნია, ვიდრე სიტყვით გამოვიდეს კოლეგებისა და უფროსების წინაშე?

ინგლისურიდან თარგმნილი «პრეზენტაცია» ნიშნავს წარმოდგენას. ეს არის მოსახერხებელი და ეფექტური მეთოდი, რომელიც აერთიანებს დინამიკას, ხმასა და გამოსახულებას. პრეზენტაციის მიზანია ინფორმაციის გადმოცემა, სწავლება, მოტივაციის შექმნა და ასევე შესანიშნავი შესაძლებლობა განახორციელოს ენის საკომუნიკაციო ფუნქცია. მის მოსამზადებლად საჭიროა გამოიყენოთ ინფორმაციის დიდი რაოდენობა, რაც საშუალებას გაძლევთ, თითოეული ნამუშევარი ინდივიდუალური შემოქმედების პროდუქტად აქციოთ. (Коваленко А., 2010).

საკუთარი აზრების კომპეტენტურად ორგანიზებისა და საჯაროდ წარმოჩენის უნარი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ წარმატებას დამის კონკურენტუნარიანობას. ყოველივე ამის შემდეგ, ვიზუალი შესანიშნავი საფუძველია ნებისმიერი კარგი ბიზნეს პრეზენტაციისთვის. გარდა ამისა, შეიძლება დაგჭირდეთ ისეთი ცოდნა, როგორცაა Microsoft Office დიაპაზონის პროგრამებთან მუშაობის უნარი, განსაკუთრებით PowerPoint-თან მუშაობის უნარი. (Цыганкова Е., 2011).

PowerPoint - ი, როგორც ფართო მასებისთვისაა ცნობილი, არის ძირითადი პროგრამა პრეზენტაციების შესაქმნელად და მისაწოდებლად, იგი გახლავთ Microsoft Office-ის ნაწილი. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები ვიზუალურ ინფორმაციას უკეთ იმასსოვრებენ. ინფორმაციის 83% ადამიანი მხედველობით ღებულობს, 11% - სმენით, 6% - შეხებით; 2% - გემოთი და 1% სხვა გრძნობებით. თუ გეგმავთ ვიზუალური საშუალებების გამოყენებას, როგორცაა PowerPoint, ლეპტოპი, ცხრილები, სლაიდები ან სქემები, შეეცადეთ გახადოთ ისინი რაც შეიძლება ნათელი და ინფორმაციული (Пиз А., Пиз Б. 2013, გვ. 80).

ამიტომ, სტუდენტებს ვურჩევთ ჯერ დამოუკიდებლად შეისწავლონ თემები, შემდეგ წარმოადგინონ მიღებული ცოდნა პრეზენტაციის სახით PowerPoint საშუალებით. მათ პრეზენტაციის შესაქმნელად გარდა ამ პროგრამისა შეუძლიათ გამოიყენონ სხვა პროგრამებიც, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი.

PowerPoint-ის პრეზენტაციის გამოყენება სრულიად გამართლებულად ითვლება თემების შესწავლისას, როგორებიცაა: „ჩემი საოცნებო პროფესია“, „მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანები“, „ერთობლივი საწარმოები საქართველოში“, „ბიზნესის სფერო“ (ბიზნეს იდეა, მარკეტინგი, საბაზრო ეკონომიკის პერსონაჟები და ა. შ.).

პრეზენტაცია ჩვეულებრივ ესმით, როგორც პირველი ოფიციალური წარმოდგენა უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ინფორმაციის, პროდუქციის, მომსახურებისა და მათი შემქმნელების წარმოსადგენად. ექსპერტები გამოყოფენ პრეზენტაციის ოთხ მთავარ მიზანს:

- ინფორმაციის მიწოდება;
- სწავლება;
- მოტივაციის შექმნა;
- გართობა.

საკუთარი აზრების კომპეტენტურად ორგანიზებისა და საჯაროდ წარმოჩენის უნარიარისყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ წარმატებას და მის კონკურენტუნარიანობას (Pzaeva T. 2016, გვ. 133, **ელექტრონული რესურსი**).

თითოეულმა პრეზენტატორმა საჯარო გამოსვლამდე საკუთარ თავს რამდენიმე კითხვა უნდა დაუსვას და თავად შეძლოს მათზე პასუხის გაცემა:

1. რა არის საჯარო გამოსვლა?
2. რა მიზანს ემსახურება საჯარო სიტყვით გამოსვლა?
3. რაში მდგომარეობს საჯარო გამოსვლის დასკვნის არსი?
4. რას იწვევს პანიკა და აუდიტორიისადმი მიმართვის შიში?
5. რა იგულისხმება პრეზენტაციაში?
6. პრეზენტაციის, რომელი ძირითადი მიზნების გამოყოფა შეიძლება?

ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ რა უნდა გააკეთოთ პრეზენტაციის მომზადებისას? გამოსვლის თემის არჩევისას მნიშვნელოვანია შემდეგი პუნქტების გაგება:

1. მსმენელზე რამდენად უკეთ ხართ ინფორმირებული იმ საკითხის შესახებ, რომელზე მოგიწევთ საუბარი;
2. – გამოიწვევს თუ არა ინტერესს ის, რაზეც საუბარს აპირებთ;
3. – აქტუალურია თუ არა თქვენი გზავნილი მსმენელისთვის;
4. – რამდენად კარგად შეძლებთ პრეზენტაციის მასალის წინასწარ

შესწავლასა და ათვისებას;

5. – გააზრებული გაქვთ, თუ რა უნდა აითვისოს მსმენელებმა;
6. – გაწერეთ საუბრის გეგმა;
7. – დაფიქრდით პრეზენტაციის თანმიმდევრობასა და ლოგიკაზე;
8. – გამოსვლისთვის აუცილებლად უნდა მოამზადოთ რეფერატები ან ჩანაწერები;
9. – აუდიტორიის შემადგენლობა: - თქვენ უნდა იცოდეთ მსმენელები რამდენად ინფორმირებულნი არიან ამ საკითხთან დაკავშირებით;
10. – როგორ შეგიძლიათ დააინტერესოთ ისინი;

ჯონ როკფელერის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „ადამიანებთან კომუნიკაციის უნარი არის საქონელი, რომლის ყიდვაც შესაძლებელია ისევე, როგორც შაქარი ან ყავა. და მე უფრო მეტს გადავიხდი ამაში, ვიდრე ნებისმიერ სხვა პროდუქტში“.

მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტებმა კომუნიკაციის ფსიქოლოგიის დარგში გამოავლინეს რჩევები, რათა თქვენი პრეზენტაციები სრულყოფილი გახადოთ. ისინი ხაზს უსვამენ ხუთ ძირითად რჩევას.

ხუთი რჩევა, რომელიც თქვენს პრეზენტაციების სრულყოფილს გახდის.

1. არასოდეს არავის მისცეთ საშუალება, გაიგოს, მით უმეტეს, თქვათ, რომ საკუთარ თავში არ ხართ დარწმუნებული და გეშინიათ: ისინი, ვინც გისმენენ, მაშინვე დაიწყებენ სხეულის ენის შესაბამისი სიგნალების ძიებას და აუცილებლად იპოვიან. მათ აზრადაც არ მოუვათ ის, რომ თქვენ ნერვიულობთ, თუ ამას თავად არ იტყვიან.
2. დარწმუნდით, რომ თქვენი ქესტები საუბრის დროს იყოს მშვიდი და არა მოუსვენარი, მაშინაც კი, თუ პანიკაში ხართ. არავითარ შემთხვევაში არ გადააჯვარედინოთ გულზე ხელები.
3. მოერიდეთ ქესტიკულაციას, რომელიც დიდი ხანია უარყოფითად არის კლასიფიცირებული - არ გაიშვიროთ თითი, არ გადააჯვარედინოთ ხელები და ფეხები, არ შეეხოთ სახეს, ორივე ხელით ნუ ჩაეჭიდებით კათედრას.
4. იყავით ექსპრესიული, მაგრამ არ გადააჭარბოთ. ქესტიკულაციის დროს თითებს ზედმეტად ნუ აამოძრავებთ. არ ასწიოთ ხელი ნიკაპის დონეზე.
5. ეცადეთ გამოიყურებოდეთ მხიარულად. თქვენი სახის გამომეტყველება უნდა

შეესაბამებოდეს იმას, რასაც ამბობთ. ამ გზით თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ თქვენი მსმენელის გული. სახე და სიტყვა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს - ეს კანონია. და კიდევ: არ გადააჭარბოთ! (Пииз А., Пииз Б. 2013, გვ. 91).

ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ ერთ ნაშრომში ნაჩვენებია იყო, რომ ზეპირი პრეზენტაციის შემდეგ, რომელსაც შეიძლება ვერბალურიც ეწოდოს, ინფორმაციის მხოლოდ 10% ამახსოვრდებათ. ეს ნიშნავს, რომ ამბის თხრობისას მუდმივად მოგიწევთ ძირითადი ფრაზების და ცნებების გამეორება. შედარებისთვის: ვერბალურ-ვიზუალურად შეფასებული პრეზენტაციის დროს მსმენელებს უკვე ახსოვდათ ინფორმაციის 50%. ეს ნიშნავს, რომ ვიზუალური საშუალებების გამოყენება ბიზნეს პრეზენტაციის დროს მნიშვნელოვნად ზრდის მის ეფექტურობას (Пииз А., Пииз Б. 2013, გვ. 81).

ვინაიდან დასკვნა რჩება მსმენელთა მესხიერებაში, მომხსენებელი კვლავ უნდა შეეხოს ცენტრალურ იდეას. კარგი დასკვნა მსმენელს უჩვენებს, რომ თემა სრულადაა გაშუქებული.

ამრიგად, შეჯამებისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჯარო გამოსვლა მიზნად ისახავს მსმენელების ინფორმირებას და მათზე სასურველ ზემოქმედებას. თავისი ბუნებიდან გამომდინარე პრეზენტაცია მონოლოგურ მეტყველებათაა მიჩნეული. შესაძლებელია მოხდეს მისი კლასიფიკაცია, ანუ: ა) ზეპირი პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე; ბ) კომუნიკაციის თანამედროვე, სწრაფი და მოსახერხებელი გზა; გ) უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ინფორმაციის, პროდუქტების, სერვისების და მათი შემქმნელების პირველი ოფიციალური პრეზენტაცია; დ) შეხვედრა, რომელიც საშუალებას გაძლევთ უკეთ გაიცნოთ თქვენი ბიზნეს პარტნიორი არაფორმალურ გარემოში. ასევე, საჯარო გამოსვლა არის ლაპარაკი არა მხოლოდ მოედნებზე და სტადიონებზე, ტელევიზიით და დიდი აუდიტორიის წინაშე. საჯარო გამოსვლა შეიძლება იყოს მიმართვა ხელმძღვანელობასთან, საუბარი ახალ დამსაქმებულთან ან კომუნიკაცია მეგობრულ კამპანიაში. საჯაროდ გამოსვლა არის შესაძლებლობა წარმოაჩინო საკუთარი თავი ყველაზე ხელსაყრელად (მაგალითად, ახალ თანამდებობაზე განაცხადის დროს) და საკუთარი თავის წარმოდგენის უნარის დახვეწის შესაძლებლობა. ასევე ბევრი რამ არის დამოკიდებული კარგ საჯარო გამოსვლაზე:

- გაფორმებული ხელშეკრულება;
- ახალი კლიენტები;
- საკუთარი რეიტინგი და საზოგადოებაში აღიარება (Ильяхов М., Сарычева Л. 2023, გვ. 31).

დასკვნა

ნათელი და ძლიერი პრეზენტაცია მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც მაყურებელი იჭერს მოსაუბრეს თითოეულ სიტყვას, ჟესტსა და ინტონაციის შეცვლას. ეს არის ის მომენტი, როდესაც ხდება ადმიანების აღფრთოვანება სიტყვით ანუ მეტყველების მეშვეობით. საჯაროდ საუბრის უნარი, აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის უნარი საკუთარ თავსა და მეტყველებაზე დიდი ხელოვნებაა, რომელსაც სამწუხაროდ ყველას ვერ ეუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Коваленко А. Роль мультимедийной презентации на занятиях по иностранному языку. – (<http://ito.edu.ru/2010/Tomsk/II/II-0-31.html>).
2. Ильяхов М, Сарычева Л. Пиши, сокращай. Как создавать сильный текст. М.: Альпина Паблишер, 2023.
3. Пиз Аллан, Пиз Барбара. Язык телодвижений на работе. М.: Эксмо, 2013. 80 стр. 76
4. Рзаева Гюльнара, Намик Кызы. Русский язык для делового общения. Баку 2016. https://unec.edu.az/application/uploads/2015/02/rus_dili.pdf
5. Цыганкова Е. Использование мультимедийных презентаций при обучении иностранным языкам. – [http // science – bsea.narod.ru/2011/it_2011/cygankova_isp.htm](http://science-bsea.narod.ru/2011/it_2011/cygankova_isp.htm).

რისკის მართვის მოდელი ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორში

დათო კუჭაშვილი, ნინო ჯღამაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

რისკი ადამიანის და ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. რისკის წყარო არის ნებისმიერი მოვლენა, რომლის შემთხვევაში კომპანია განიცდის ფინანსურ დანაკარგს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მსყიდველუნარიანობის შემცირება და ლიკვიდურობის რისკის ზრდა, რაც ნეგატიურად აისახება კომპანიის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე.

ბიზნესისთვის კრიზისი ასოცირდება გაურკვეველ და მნიშვნელოვან მოვლენასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის საოპერაციო, რეპუტაციულ და ფინანსურ სტაბილურობას და უარყოფითად აისახება კომპანიის უწყვეტ განვითარებაზე. კრიზისულ პერიოდში ბიზნესის ფუნქციონირებადობის პრინციპის დასაცავად მნიშვნელოვანია მენეჯმენტის მხრიდან სწრაფი და ეფექტური რეაგირების განხორციელება და რისკის მართვის მოდელის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რისკის მართვის პროცესის ეფექტური წარმართვა.

კრიზისულ პერიოდში, ბიზნესისთვის არასასურველი შედეგების დადგომა დაკავშირებულია შიდა და გარე რისკებთან. ქვეყნის გარე რისკები განაპირობებს კომპანიების შიდა რისკების ზრდას. კერძოდ, გაზრდილმა კონკურენციამ, ეკონომიკის ზრდის დაბალმა მაჩვენებელმა და გაუარესებულმა სოციალურმა მდგომარეობამ შეიძლება განაპირობოს ტრანსპორტირების, მომარაგების, საწარმოო და საოპერაციო რისკების ზრდა, რაც გამოიწვევს ბიზნესის ფუნქციონირებადობის პრინციპის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. კრიზისულ პერიოდში კომპანიების დიდ ნაწილს უჭირს რისკების სწორი მენეჯმენტი, რადგან რისკების მართვა მრავალსაფეხურიანი და რთული პროცესია.

რისკის მნიშვნელობის დონეს განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი:

1. რისკის დადგომის ალბათობა;
2. რისკის გავლენა, ანუ ნეგატიური შედეგის გავლენა კომპანიის მიზნებზე და ამოცანებზე.

ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოში ალკოჰოლური სასმელების სექტორისათვის რისკების დადგომის ალბათობის და გავლენის კომბინაციის გათვალისწინებით, მათი კატეგორიზაცია პრიორიტეტების მიხედვით და შემუშავებულია შეფასების რაოდენობრივი მეთოდი, მოყვანილია დასაშვები რისკიანობის შკალა.

შეფასებულია:

1. რისკები, რომელთა დადგომის ალბათობა და გავლენა მაღალია კომპანიის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე. ისინი მიიჩნევა პრიორიტეტულ რისკებად და უნდა დაეთმოს დიდი ყურადღება;
2. რისკები, რომელთა დადგომის ალბათობა და გავლენა კომპანიის სტრატეგიულ მიზნებსა და ფუნქციონირებადობის პრინციპებზე მცირეა. ასეთი რისკები მიიჩნევა ნაკლებ პრიორიტეტულ რისკებად და მათ ნაკლები ყურადღება ეთმობა;
3. რისკები, რომელთა დადგომის ალბათობა მაღალია და გავლენა მცირეა და პირიქით, მოხდენის ალბათობა მცირეა და გავლენა მაღალი. მათი პრიორიტეტების რიგითობის განსაზღვრა უნდა ხორციელდებოდეს კომპანიის სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: რისკის მართვა, ალკოჰოლური სასმელები, კოვიდ-19

A Risk Management Model in the Wine and Spirits Sector

Risk is an integral part of people and business. A source of risk is any event, in the case of which the company experiences a financial loss, which may lead to a decrease in the company's purchasing power and increase the liquidity risk, what negatively affects the company's strategic goals and objectives.

For business, a crisis is associated with an uncertain and significant event that threatens the operational, reputational and financial stability of the company and has a negative impact on its continuous development. In order to protect the principle of business functionality during the crisis period, it is important to implement a quick and effective response by the management and develop a risk management model that should ensure the effective risk management process.

In the crisis period, the occurrence of undesirable consequences for the business is related to

internal and external risks. The external risks of the country lead to the increase of the internal risks of the companies. In particular, increased competition, low rate of economic growth and deteriorating social conditions may lead to an increase in transportation, supply, production and operational risks, which will lead to questioning the principle of business functionality. During the crisis, most of the companies find it difficult to properly manage risks, because risk management is a multi-step and complex process.

The level of risk importance is determined by two main factors:

1. Probability of risk occurrence;
2. The impact of risk, that is, the impact of a negative result on the company's goals and objectives.

Taking into account the combination of probability and impact of risks for the alcoholic beverages sector in Georgia, the paper proposes to categorize them according to priorities and develop a quantitative method of assessment and a scale of permissible risk is given.

The following are estimated:

1. Risks that are highly likely to occur and have a high impact on the goals and objectives set by the company. Those are considered as priority risks and should be given great attention;
2. Risks that have probability of occurrence and impact on the company's strategic goals and operational principles a little. Those are considered as less priority risks and less attention would be paid to them;
3. Risks that have a high probability of occurrence and a low impact, and conversely, a risks that have a low probability of occurrence and a high impact. Determining the order of their priorities should be based on the company's strategic goals and objectives.

Keywords: Risk management, Alcoholic beverages, Covid-19

შესავალი

ბიზნესის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად მნიშვნელოვანია რისკის მართვის მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ნეგატიური მოვლენების იდენტიფიცირებას და მათი დადგომის შემთხვევაში გავლენის შეფასებას. სტატიაში წარმოდგენილია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორისთვის რისკის მართვის მოდელი, რომლის მეშვეობითაც

შესაძლებელია არსებითი განუსაზღვრელობების შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკების ბიზნესის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე გავლენის შეფასება. ამასთანავე, აღნიშნული მოდელი შესაძლებელს ხდის განხორციელდეს რისკის მართვის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონის შეფასება კრიტერიუმებისა და ალგორითმების გამოყენებით.

რისკის მართვის მოდელის დაგეგმვის ეტაპები და რისკის შეფასების სისტემა

რისკის მართვის მოდელის დაგეგმვა განხორციელდა შემდეგი პროცედურების და რისკ ფაქტორების გათვალისწინებით:

1. არსებითი განუსაზღვრელობების იდენტიფიცირება - კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპზე გავლენის მქონე ინდიკატორებია:

- ფინანსური მოვლენები;
- საოპერაციო მოვლენები;
- სხვა მოვლენები.

2. თითოეული მოვლენის რისკის დონის განსაზღვრის მიზნით შესაბამისი რისკ ფაქტორის განსაზღვრა - თითოეული მოვლენისთვის იდენტიფიცირებულ იქნა რისკ ფაქტორის განსაზღვრის შემდეგი კრიტერიუმები:

ფინანსური მოვლენები:

1. ლიკვიდურობის შეფასება მოკლევადიან პერიოდში;
2. სწრაფი ლიკვიდურობის შეფასება;
3. სასაქონლო მარაგების ბრუნვა;
4. დებიტორული დავალიანების მდგომარეობა;
5. სესხის გადახდისუნარიანობა;
6. დაფინანსების წყაროების დინამიკები;
7. კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ნიშნები;
8. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების უარყოფითი ნაკადები;
9. მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალი, ან შემოსავლების მიღებისათვის განკუთვნილი აქტივების ღირებულების მკვეთრი გაუფასურება;
10. დივიდენდების გაცემის ვადის გადაცილება ან გაცემის შეწყვეტა;
11. მოგების მარჟა.

საოპერაციო მოვლენები:

1. საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულების ხარისხი;
2. რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი;

3. უკრაინის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი;
4. ძირითადი საექსპორტო ბაზრის დაკარგვა;
5. ძირითადი ნედლეულის მომწოდებლის ან ლიცენზიის დაკარგვა;
6. კონკურენტის გამოჩენის საფრთხე.

სხვა მოვლენები:

1. კომპანიის მიმართ აღძრული სასამართლო პროცესი;
 2. ცვლილებები კანონში ან სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც სავარაუდოდ ნეგატიურ გავლენას იქონიებს ბიზნესზე;
 3. სტიქიური უბედურებების არასაკმარისი დაფარვა დაზღვევით.
3. რისკ ფაქტორის განსაზღვრული კრიტერიუმის მნიშვნელობის დონის დადგენის მიზნით შერჩეულ რისკ ფაქტორებისთვის არსებობის წონის მინიჭება; ყველა რისკ ფაქტორის შეფასების კრიტერიუმების არსებობის წონის ჯამი უნდა უდრიდეს 100%.
 4. თითოეული რისკ ფაქტორისთვის კოეფიციენტის მნიშვნელობა განისაზღვრა 3 ქულიანი სისტემით, საიდანაც:
 - 1 ქულა დაბალ რისკიანი;
 - 2 ქულა ზომიერ რისკიანი;
 - 3 ქულა მაღალ რისკიანი.
 5. თითოეული რისკ ფაქტორის განსაზღვრული კრიტერიუმის არსებობის წონა მრავლდება თითოეული რისკ ფაქტორის რისკის კოეფიციენტის მნიშვნელობის დონეზე, რაც უდრის შეწონის კოეფიციენტს. რაც უფრო ახლოს იქნება შეწონის კოეფიციენტი ერთთან, მით უფრო ნაკლებ რისკიანია თითოეული რისკ ფაქტორის გავლენა ბიზნეს საქმიანობაზე და პირიქით.
 6. რისკის მართვის მოდელის მატრიცის აგება - განისაზღვრა მთლიანი ბიზნესის და თითოეული რისკ ფაქტორის შეფასების კრიტერიუმის არსებობის და რისკიანობის დონის გავლენა ფუნქციონირებადობის პრინციპზე.

რისკის მართვის მოდელის საბოლოო ეტაპზე ხორციელდება თითოეული რისკ ფაქტორის შეწონილი კოეფიციენტის დაჯამება. თუ:

- ჯამი 1-ზე ნაკლებია, ბიზნესი ნაკლებ რისკიანია და ფუნქციონირებადობის პრინციპს საფრთხე არ ემუქრება;
- ჯამი 1-დან 2-მდეა, ბიზნესის საშუალო რისკიანი და ფუნქციონირებადობის პრინციპს საფრთხე მოკლევადიან პერიოდში არ ემუქრება;
- ჯამი 2-დან 3-მდეა, ბიზნესი მაღალ რისკიანი და ფუნქციონირებადობის პრინციპი რისკის ქვეშაა.

რისკ ფაქტორების შერჩევა და შეფასება

რისკის დონის შეფასებისას კრიტერიუმებად გამოყენებულ იქნა 20 რისკ ფაქტორი (ჰოფკინი, 2021, ჰორნგრენი 2006, ჭილაძე, 2018). კომპანიის ფუნქციონირებადობის რისკის დონის განსაზღვრის მიზნით, ფოკუს ჯგუფების გამოყენების საფუძველზე, თითოეულ შერჩეულ რისკის ფაქტორების კრიტერიუმებს მიენიჭა არსებითობის წონის პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ჯამმა შეადგინა 100%:

ცხრილი 1. რისკ ფაქტორების შეფასების კრიტერიუმები (არსებითობის წონები)

N	რისკ ფაქტორების შეფასების კრიტერიუმები:	
	ფინანსური მოვლენები:	50%
1	ლიკვიდურობა მოკლევადიან პერიოდში	7%
2	სწრაფი ლიკვიდურობა	7%
3	სასაქონლო მარაგების ბრუნვა	4%
4	დებიტორული დავალიანების მაჩვენებელი	4%
5	სესხის გადახდისუნარიანობა	5%
6	დაფინანსების წყაროების დინამიკები	5%
7	კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ნიშნები	4%
8	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები	3%
9	შემოსავლების მიღებისათვის განკუთვნილი აქტივების ღირებულების ცვლილება	2%
10	დივიდენდების გაცემის ვადის გადაცილება ან გაცემის შეწყვეტა	2%
11	მოგების მარჟა	7%
	საოპერაციო მოვლენები	40%
12	საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულების ხარისხი	7%
13	რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი	8%
14	უკრაინის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი	5%
15	ძირითადი საექსპორტო ბაზრის დაკარგვა	8%
16	ძირითადი ნედლეული მომწოდებლის ან ლიცენზიის დაკარგვა	8%
17	კონკურენტის გამოჩენის საფრთხე	4%
	სხვა მოვლენები	10%
18	კომპანიის მიმართ აღძრული სასამართლო პროცესი	5%
19	ცვლილებები კანონში ან სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც სავარაუდოთ ნეგატიურ გავლენას იქონიებს ბიზნესზე	3%
20	სტიქიური უბედურებების არასაკმარისი დაფარვა დაზღვევით	2%
	სულ	100%

კვლევის მომდევნო ეტაპზე განხორციელდა კოეფიციენტების 3-ქულიანი სისტემის შერჩევა და თითოეული რისკ ფაქტორისათვის განისაზღვრა კოეფიციენტის

მნიშვნელობა:

1. ლიკვიდურობა მოკლევადიან პერიოდში

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ერთი ან ერთზე მეტი	0,6-0,9	0,1-0,5

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ერთი ან ერთზე მეტი	0,6-0,9	0,1-0,5

სასაქონლო მარაგების ბრუნვა

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ერთი ან ერთზე მეტი (საშუალოდ 360 დღეში ან უფრო სწრაფად ყიდის მარაგებს)	0,6-0,9 (საშუალოდ 400-600 დღეში ყიდის მარაგებს)	0,1-0,5 (საშუალოდ 720-3600 დღეში ყიდის მარაგებს)

დებიტორული დავალიანების მაჩვენებელი

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ერთი ან ერთზე მეტი (360 დღეში ან უფრო სწრაფად ეფარება დებიტორი)	0,6-0,9 (საშუალოდ 400-600 დღეში ეფარება დებიტორი)	0,1-0,5 (საშუალოდ 720-3600 დღეში ეფარება დებიტორი)

სესხის გადახდისუნარიანობა

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
1%-20% (აქტივების 1%-20% დაფინანსებულია სესხით)	21%-50% (აქტივების 21%-50% დაფინანსებულია სესხით)	51%-100% (აქტივების 51%-100% დაფინანსებულია სესხით)

დაფინანსების წყაროების დინამიკები

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
დაფინანსების წყაროებში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი აღემატება ვალდებულებების ხვედრით წილს	დაფინანსების წყაროებში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ტოლია ვალდებულებების ხვედრით წილისა	დაფინანსების წყაროებში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ნაკლებია ვალდებულებების ხვედრით წილზე

2. კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ნიშნები

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
არ შეინიშნება ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ნიშნები	კომპანიის მიერ დაფინანსების მოძიება გართულებულია, თუმცა შესაძლებელი	შეინიშნება კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტა

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
--------	--------	--------

ბიზნესის ძირითად შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი მეტია გასულ ფულად სახსრებზე	ბიზნესის ძირითად შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი ტოლია გასულ ფულად სახსრებზე	ბიზნესის ძირითად შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი ნაკლებია გასულ ფულად სახსრებზე
--	--	---

შემოსავლების მილებისათვის განკუთვნილი აქტივების ღირებულების ცვლილება (პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა დამოკიდებულია სექტორის თვისებებზე)

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
არ განხორციელებულა აქტივების გაუფასურება	აქტივები გაუფასურდა უმნიშვნელოდ (1%-10%)	შეინიშნება აქტივების გაუფასურების მკვეთრი ზრდა (11%>)

დივიდენდების გაცემის ვადის გადაცილება ან გაცემის შეწყვეტა

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
არ განხორციელებულა დივიდენდების გაცემის შეწყვეტა	განხორციელდა დივიდენდების ვადის გადაცილება	განხორციელდა დივიდენდების შეწყვეტა

მოგების მარჟა

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
20% > ყოველი გაყიდული 100 ლარის ღირებულების პროდუქტი ბიზნეს უტოვებს 20 ლარს და მეტს	10%-20% ყოველი გაყიდული 100 ლარის ღირებულების პროდუქტი ბიზნეს უტოვებს 10 ლარიდან 20 ლარამდე	0%-9% ყოველი გაყიდული 100 ლარის ღირებულების პროდუქტი ბიზნეს უტოვებს 9 ლარს და ნაკლებს

საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულების ხარისხი

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ბიზნესს გააჩნია დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები	პროდუქტის რეალიზაცია ხორციელდება ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა საექსპორტო ბაზრები არ არის დივერსიფიცირებული	პროდუქტის რეალიზაცია ხორციელდება მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე

რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
1%-29% (ექსპორტის 1%-29%-მდე მოდის რუსეთის ბაზარზე)	30%-49% (ექსპორტის 30%-49%-მდე მოდის რუსეთის ბაზარზე)	50% და მეტი (ექსპორტის 50%-ი და მეტი მოდის რუსეთის ბაზარზე)

უკრაინის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
1%-9% (ექსპორტის 1%-9%-მდე მოდის უკრაინის ბაზარზე)	10%-29% (ექსპორტის 10%-29%-მდე მოდის უკრაინის ბაზარზე)	30% და მეტი (ექსპორტის 30%-ი და მეტი მოდის უკრაინის ბაზარზე)

ძირითადი საექსპორტო ბაზრის დაკარგვა

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
არ განხორციელებულა ძირითადი საექსპორტო ბაზრის დაკარგვა	განხორციელდა არა ძირითადი საექსპორტო ბაზრის დაკარგვა	განხორციელდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ძირითადი საექსპორტო ბაზრის დაკარგვა

ძირითადი ნედლეულის მომწოდებლის ან ლიცენზიის დაკარგვა

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ა) ბიზნესი მიმართავს ვერტიკალური ინტეგრაციის სტრატეგიას ბ) ბიზნესის მიერ არ განხორციელებულა ლიცენზიის დაკარგვა	ბიზნესი მიმართავს ჰორიზონტალური ინტეგრაციის სტრატეგიას, გამოვლინდა საწარმოოდ საჭირო ნედლეულის მოწოდების ხარვეზები.	ბიზნესი იყენებს ჰორიზონტალური ინტეგრაციის სტრატეგიას და დაკარგა ძირითადი მომწოდებელი და ლიცენზია

კონკურენტის გამოჩენის საფრთხე

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
ბაზარი იზრდება მოთხოვნის ზრდის ხარჯზე	ბაზარზე არ შეინიშნება მოთხოვნის ზრდა	ბაზარი მცირდება მოთხოვნის კლების გამო

კომპანიის მიმართ აღძრული სასამართლო პროცესი

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
კომპანიის მიმართ არ არის აღძრული სასამართლო პროცესი	კომპანიის მიმართ აღძრულია სასამართლო პროცესი, თუმცა არ განხორციელებულა ჯარიმის დაკისრება	კომპანიის მიმართ აღძრული სასამართლო პროცესი და დაეკისრა დიდი რაოდენობის ჯარიმის გადახდა

ცვლილებები კანონში ან სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც სავარაუდოთ

ნეგატიურ გავლენას იქონიებს ბიზნესზე

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
არ განხორციელებულა ცვლილებები კანონში ან სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც ნეგატიურ გავლენას იქონიებდა ბიზნესზე	განხორციელდა ცვლილებები კანონში და სახელმწიფო პოლიტიკაში, რამაც უმნიშვნელო გავლენა იქონია ბიზნესზე	განხორციელდა ცვლილებები კანონში ან სახელმწიფო პოლიტიკაში, რამაც ნეგატიურ გავლენა იქონია ბიზნესზე

სტიქიური უბედურებების არასაკმარისი დაფარვა დაზღვევით

1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
არ ქონია ადგილი სტიქიურ უბედურებას	ადგილი ჰქონდა სტიქიურ მოვლენებს რამაც განაპირობა მოწოდების ხაზის შეფერხება, თუმცა განხორციელდა სტიქიური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ხარჯების დაფარვა დაზღვევის მიერ	ა) ადგილი ჰქონდა სტიქიურ მოვლენებს რამაც განაპირობა მოწოდების ხაზის შეფერხება; ბ) არ იყო დაზღვევის მექანიზმი გამოყენებული

რისკის მართვის მოდელის აგება სს „თბილღვინოს“ მაგალითზე

რისკის მართვის მოდელის ასაგებად გამოყენებულ იქნა „თბილღვინოს“ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება (<https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/31847>). 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება შეირჩა იქედან გამომდინარე, რომ პანდემიის თვალსაჩინო ეფექტი 2020 წელს გამოვლინდა. შესაბამისად, აღნიშნული მოდელის გამოყენებამ შესაძლებელი გახდა „თბილღვინოს“ ფუნქციონირებადობის პრინციპზე გავლენის მქონე რისკების იდენტიფიცირება.

„თბილღვინოს“ მაგალითზე თითოეული რისკ ფაქტორისათვის განისაზღვრა კოეფიციენტის მნიშვნელობის დონე (თანხები მოცემულია ათას ლარში, კონფიდენციალობის შენარჩუნების მიზნით გარკვეული კოეფიციენტის გამოყენებით):

1. ლიკვიდურობა მოკლევადიან პერიოდში= $37765/17619=2,14$. შესაბამისად, პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში მას შესწევდა უნარი დაეფარა მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდურობა მოკლევადიან პერიოდში შეფასდა 1 ქულით.
2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი= $(4701+8175)/17619=0,73$. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეფასდა 2 ქულით.
3. სასაქონლო მარაგების ბრუნვა.
მარაგების საშუალო რაოდენობა= $(24889+20007)/2=22448$; მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი= $19707/22448=0,87$ და $360/0,87=414$ დღეში, პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადზე მეტ დროში, ყიდდა მარაგებს. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.
4. დებიტორული დავალიანების მაჩვენებელი.
საშუალო დებიტორული დავალიანება= $(8175+8785)/2=8480$. დებიტორული ბრუნვის კოეფიციენტი= $39132/8480=4,6$. პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში დებიტორი იფარება $360/4,6=78,2$ დღეში. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.
5. სესხის გადახდისუნარიანობა.
ვალდებულებების ფარდობა საკუთარ აქტივებთან $(9512+17619)/70621=0,38=38,4\%$. პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში აქტივების 38,4% იყო დაფინანსებული ვალდებულებით. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.
6. დაფინანსების წყაროების დინამიკები.
დაფინანსების წყაროებში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი= $61,5\%$ -ს,

- ხოლო ვალდებულებების 38.5%. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.
7. კრედიტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ნიშნები. კომპანიის მიერ დაფინანსების მოძიება იყო გართულებული, თუმცა შესაძლებელი. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.
 8. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები. საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი წმინდა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 8847, რის გამოც აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.
 9. შემოსავლების მიღებისათვის განკუთვნილი აქტივების ღირებულების ცვლილება (პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა დამოკიდებულია სექტორის თვისებებზე). აქტივები გაუფასურდა უმნიშვნელოდ. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.
 10. დივიდენდების გაცემის ვადის გადაცილება ან გაცემის შეწყვეტა არ მომხდარა. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.
 11. მოგების მარჟა.
შემოსავალი რეალიზაციიდან=39132. საერთო მოგება=19425. მოგების მარჟა=49.6 %. პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში რეალიზაციის ყოველი 100 ლარიდან მოგების სახით რჩებოდა 49.6 ლარი. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.
 12. საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულების ხარისხი.
პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში „თბილღვინოს“ შემოსავალმა რეალიზაციიდან შეადგინა 39132, საიდანაც ადგილობრივი ბაზრის გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 6468 (17%), ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყიდვებმა 32664 (83%). აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.
 13. რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი.
ექსპორტის 50% და მეტი მოდის რუსეთის ბაზარზე. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 3 ქულით.
 14. უკრაინის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი.
ექსპორტის 10%-29% მოდის უკრაინის ბაზარზე. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.
 15. ძირითადი საქსპორტო ბაზრის დაკარგვა არ მომხდარა. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.

16. ძირითადი ნედლეულის მომწოდებლის/ლიცენზიის დაკარგვა.

„თბილღვინო“ ფლობს ქარხნებს თბილისსა და ყვარელში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე შეადგენს 8,3 მლნ. ლიტრს წელიწადში. კომპანიამ 2020 წლის I-IX თვეებში გაზარდა ყვარელში საწარმოო სიმძლავრეები 1104 ათასი ლიტრით, მოხდა ძირითადი და საბრუნავი საშუალებების მოდერნიზაცია, პროდუქციისთვის საჭირო ნედლეულის ნაწილი მიიღება გურჯაანის და ყვარლის რაიონებში მდებარე საკუთარი 298 ჰექტარი ვენახებიდან. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.

17. კონკურენტის გამოჩენის საფრთხე (პორტერი, 1980; ჩერუნილამ, 2017).

პანდემიის ფონზე ბაზარზე არ შეინიშნება მოთხოვნის ზრდა. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.

18. კომპანიის მიმართ აღძრული სასამართლო პროცესები.

2012 წლიდან გურჯაანის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე შპს „XX“-ის სარჩელის გამო „თბილღვინო“-ს მიმართ, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნით და „თბილღვინო“-ს შეგებებული სარჩელი შპს „XX“-ის მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამავე სასამართლოს წარმოებაშია შპს „XX“-ის ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილია „თბილღვინო“-ს კუთვნილი ღვინის ქარხნის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სამოქალაქო დავაზე საქმის წარმოება შეჩერებულია ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტამდე, რომელზეც თავის მხრივ სხდომები 2018 წლის შემდეგ არ ჩანიშნულა. შესაბამისად საქმის წარმოება არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციულ დავაზე დასრულებული არ არის. კომპანია არ მოელის ამ სასამართლო დავებიდან რაიმე სახის ნეგატიურ შედეგს, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული რაიმე სახის ანარიცხი. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.

19. ცვლილებები კანონში ან სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც სავარაუდოთ ნეგატიურ გავლენას მოახდენს ბიზნესზე.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო

ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 2 ქულით.

20. სტიქიური უბედურებების არასაკმარისი დაფარვა დაზღვევით.

არ ჰქონია ადგილი სტიქიურ უბედურებას. აღნიშნული რისკ ფაქტორის მნიშვნელობის დონე შეფასდა 1 ქულით.

დასკვნა

ჩამოყალიბებული მეთოდით გამოთვლილმა კოეფიციენტმა შეადგინა 1.52, რაც ნიშნავს, რომ ბიზნესი საშუალო რისკიანი იყო პანდემიის პერიოდში და ფუნქციონირებადობის პრინციპს საფრთხე მოკლევადიან პერიოდში არ დაემუქრა, თუმცა ყველაზე მეტი გავლენა ფინანსურ რისკებზე იქონია რუსეთის და საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cherunilam, F. (2017). *Business Policy and Strategic Management*. Mumbai: Himalaya Publishing House.
2. Hopkin, P., Thompson, C. (2021). *Fundamentals of Risk Management Understanding, Evaluating and Implementing Effective Enterprise Risk Management*. Kogan Page.
3. Horngren, C., Sundem, G., Elliott, J., & Philbrick, D. (2006). *Introduction to Financial Accounting*. New Jersey: Pearson Education.
4. Porter, M. (1980). *Competitive strategy: techniques for analyzing industries and competitors*. New York: Free Press.1.
5. ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
6. სს „თბილღვინოს“ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება. <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/31847>.

**ორჰან ფამუქის „შავი წიგნის“ პოსტმოდერნისტული ეპისტემა:
შეთხზული შეთხზულის თაობაზე**

ელენე ჯაველიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ორჰან ფამუქის შემოქმედების შესწავლისას შეიძლება გაჩნდეს შემდეგი კითხვა: შეგვიძლია კი ფრანგულ პოსტსტრუქტურალიზმში ჩამოყალიბებული კონცეპტების ძიება იმ მწერლის ნაწარმოებში, რომელიც არადასავლურ განსხვავებულ ეთნო-კულტურულ წრეს განეკუთვნება? ამ კითხვაზე არსებობს პასუხი: დიახ, შეგვიძლია. ფამუქის რომანები „თეთრი ციხე-სიმაგრიდან“ მოყოლებული პოსტმოდერნისტულ ესთეტიკაშია შექმნილი. ორჰან ფამუქის „შავი წიგნი“ მეტაფიქციური რომანია, რომელიც ვირტუოზულად აღგვიწერს წიგნის შექმნის ისტორიას. არაწრფივი თხრობის კორპუსის მრავალდონიანი ნარატივი, რომელიც უამრავი მინიშნებებისა და კავშირების გზით ფრაგმენტული თხრობის ელემენტებს აერთიანებს და რომანის აქსიოლოგიურ აზრობრივ ღერძს ქმნის. მწერალი „შავ წიგნში“ გამოყოფს პოსტმოდერნიზმის ფუნდამენტურ მახასიათებელს: „არაფერია ცხოვრებაზე უფრო გასაოცარი, გარდა ტექსტისა, გარდა ტექსტისა“. ეს არის ჟაკ დერიდას თეზისის პირდაპირი მითითება: „სამყარო არის ტექსტი“. შეიძლება ითქვას, რომ რომანში ხდება ბორხესის მეტაფორის „სამყარო-ბიბლიოთეკის“ რეალიზება. „შავი წიგნი“ ერთგვარ „ბაბილონის ბიბლიოთეკად“ იქცევა. ფამუქი აყალიბებს განსაკუთრებულ მხატვრულ რეალობას, წიგნების სამყაროს. ამ ჰიპერტექსტში კლასიკური სუფიური ნაწარმოებების ნარატიული კოდები შეფარდებულია დასავლური რომანის თავისებურებებთან და თანამედროვე ხედვებთან. შედეგად, ტექსტი იქცევა მეტარომანად - სხვა რიგის რომანად, სადაც მხატვრული მოდელირების ობიექტი არა ცხოვრებაა, არამედ ტექსტების სივრცე. პოსტმოდერნიზმის ალგორითმის მიხედვით, ფამუქის არაწრფივ რომანში იმპლიციტურად მკითხველიც მონაწილეობს. მკითხველმა უნდა ამოხსნას არა მხოლოდ გარე სიუჟეტური თავსატეხი, არამედ გაშიფროს წერის დაფარული, პოსტმოდერნისტული ფენა, დაინახოს ირონია ტრადიციული ხერხების გამოყენებაში. მკითხველთან შიდა, ფარული თამაში ხდება მთავარი.

რომანის ყველაზე პროდუქტულ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ,

განსხვავებული დისკურსებისა და პარადიგმული ჯაჭვების აგება. რომანის მხატვრულ თხრობაში იჭრება ესე და პუბლიცისტიკა, სუფიზმის ეზოთერული დოქტრინები, მისტიკურ-თეოლოგიური დისკურსები, კინო ინდუსტრია, პოლიტიკა. იდენტობის საკითხი არის მკვეთრად გამოხატული. დისკურსთა პოლილოგი, ანუ მრავალი მონაწილის დიალოგი ვითარდება რომანის სხვადასხვა პლასტში. აპოკალიფსური სურათი ჰურუფიზმის ესთეტიკით არის გაჯერებული და მიზნად ისახავს ნარატივის ესქატოლოგიურ დრამატიზაციას. რომანის ჩარჩო თხრობაში ჩართული მრავალი ფრაგმენტული დისკურსის შიდაშრეობრივი კავშირები აყალიბებს მის უნიკალურ მთლიანობას, რომელიც ამ ფრაგმენტებით ორგანიზებულ პარადიგმებში ვლინდება, ხოლო რომანის სინტაგმური აღქმა პოსტმოდერნისტული „დალაგებული ქაოსის“ შთაბეჭდილებას ქმნის. რომანის ჩარჩო პარადიგმა მოიცავს სტამბოლის ქუჩების დეტალურ აღწერას. ამ ნატურალისტური მონაცემების კხვედრითი წილი რომანში იმდენად დიდია, რომ ცხადია, ავტორისთვის მნიშვნელოვანია გეოგრაფიული ავთენტურობა. ეს უკვე თხრობის ინდიკატორია, რომელიც ორჰან ფამუქის ყველა ნაწარმოებშია გამოვლენილი.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, მეტაფიქცია, ფრაგმენტულობა, არაწრფივი თხრობა, დისკურსი

Postmodernist Episteme of Orhan Pamuk's "Black Book": Fiction about Fiction

Abstract

When studying the work of Orhan Pamuk, the following question may arise: can we look for the concepts formed in French post-structuralism in the work of the writer who belongs to a different non-western ethno-cultural circle? There is an answer to this question: yes, we can. Pamuk's novels since "White Castle" are created in postmodernist aesthetics. Orhan Pamuk's "Black Book" is a metafictional novel, which virtuosically describes the history of the creation of the book. The multi-level narrative of the non-linear narrative corpus, which combines the elements of the fragmentary narrative through numerous hints and connections, forms the axiological axis of the novel. In the "Black Book", the writer singles out a fundamental feature of postmodernism: "There is nothing more amazing than life, except the text, except the text." This is a direct reference to Jacques Derrida's thesis: "The world is a text." It can be said that in the novel Borges's metaphor "world-library" is realized. "Black Book" becomes a kind of "Library of Babylon". Pamuk creates a special artistic reality, the world of books. In this hypertext, the narrative codes of classical Sufi works are compared with the characteristics and modern visions of the Western novel. As a result, the text becomes a meta-novel - a novel of another order, where the object of artistic modeling is not life, but the space of texts. According to the algorithm of postmodernism, the reader implicitly participates in Pamuk's non-linear novel. The reader must solve not only the external plot puzzle, but also decipher the hidden, post-modernist layer of writing, see the irony in the use of traditional techniques. The inner, hidden game with the reader becomes the main one.

The construction of different discourses and paradigmatic chains can be considered the most productive feature of the novel. Essays and journalism, esoteric doctrines of Sufism, mystical and theological discourses, film industry, politics are embedded in the artistic narrative of the novel. The issue of identity is strongly expressed. A polylogue of discourses, i.e. a dialogue of many participants develops in different parts of the novel. The apocalyptic image is saturated with the aesthetics of Hurufism and aims at the eschatological dramatization of the narrative. The intra-layer connections of many fragmented discourses included in the frame narrative of the novel form its unique whole, which is revealed in the paradigms organized by these fragments, and the syntagmatic perception of the novel creates the impression of postmodernist "ordered chaos". The framing paradigm of the novel includes a detailed description of the streets of Istanbul. The proportion of these naturalistic data in the novel is so great that it is clear that geographical authenticity is important for the author. This is already an indicator of

the narrative, which is revealed in all the works of Orhan Pamuk.

Key words: postmodernism, metafiction, fragmentation, non-linear narration, discourse

შესავალი

ორჰან ფამუქის რომან „შავი წიგნი“ ფართოდ არის გამოყენებული პოსტმოდერნისტული კონცეპტები, მეთოდები და ტექნიკა. ნაწარმოების სტრუქტურულ ქსოვილში აქტუალიზებული ეს იდეოლოგიები, ფრაგმენტულ თუ ფრაქტალურ პერსპექტივაში, მწერლის საავტორო პროექტს წარმოაჩენს. ფამუქი აშენებს სპეციფიკურ ნარატიულ სტრუქტურას 90-იანი წლების თურქეთის შესახებ. აერთიანებს დროისა და სივრცის სხვადასხვა ასპექტს ერთიან პარადიგმაში. ეს ქმნის განსაკუთრებულ დისკურსს, სადაც რეალური და ირეალური, ფაქტობრივი და ვირტუალური საერთო განზომილებაშია და იერარქიის მიღმაა. აქ ყოველი გამოსახულება პოტენციურად ექვემდებარება ხელახალ ინტერპრეტაციას, დაშლას და აღსანიშნთან მყარ კონოტაციას მოკლებულია. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დიაგრამა ხდება ავტონომიური და აყალიბებს არასტაბილურ დისკურსს, რომელიც არსებობს სიმულაკრებისა და თავისუფალი გამოსახულებების საფუძველზე.

ორჰან ფამუქი იმგვარად აშენებს ნარატიულ სქემებს, რომ შესაძლებელს ხდის რომანის შეთხზული სამყაროს მრავალგვარ სემანტიკურ გააზრებას. დიეგეტიკური სივრცის განლაგებაში და ტრანსფორმაციაში უმთავრესი როლი ეკუთვნით როგორც პროტაგონისტებს, ასევე ტექსტის მკითხველს. ამ ვითარებაში აქტუალური ხდება ფამუქის პროზის ძირითადი იდეოლოგიური ცნებების ფორმირებისა და ლეგიტიმაციის გზების გააზრება დიეგეზისის ჩარჩოს ფარგლებში. ტრანსცენდენტური დომინანტა რომანის უნიკალურ ეზოთერულ სივრცეს მისტიკური შარავანდედით მოსავს, გამოკვეთს ინტერტექსტუალური კავშირების დინამიკას რომანის პარადიგმულ ქსელში.

კვლევის მიზანია წარმოვადგინოთ ორჰან ფამუქის „შავი წიგნი“ ნარატიული სტრუქტურისა და დიეგეტიკური სივრცის აგების პრინციპები. იკვთება შემდეგი ამოცანები: განისაზღვროს პროტაგონისტების ფაქტორი ნარატივის განვითარებაში; ავტორის, მთხრობელის, პროტაგონისტისა და მკითხველის ფაქტორი სათხრობი სქემების შექმნაში, „შავი წიგნი“ ორჰან ფამუქის მეოთხე რომანია. გარკვეული თემატიკა, რომელიც გამოკვეთილი იყო მის წინა ნაწარმოებებში (აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიქტომია იდენტობის საკითხი, დოპელგანგერის თემა) ამ რომანში ფართოდ არის გამოვლენილი. ჩარჩო თხრობის ხაზი ამგვარია: ერთ დღეს

გალიფი აღმოაჩენს, რომ ის ცოლმა, რუიამ (სახელი ნიშნავს სიზმარს, ოცნებას) მიატოვა. გალიფი ხვდება, რომ რუია შეიძლება იყოს მხოლოდ თავის ძმასთან, ჯელალ სალიქთან. ჯელალის საგაზეთო ესეები პოპულარულია სტამბოლში, ის გაურბის მკითხველებს, თაყვანისმცემლებს, ოჯახის წევრებსაც კი არ უმხელს ადგილს, სადაც ის ცხოვრობს (მას აქვს რამდენიმე ბინა სტამბოლში). ეს ართულებს გალიფის ამოცანას, ის გადაწყვეტს მოძებნოს მინიშნებები ჯელალის წერილებში. გალიფი ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან ეძებს თავის ბიძაშვილებს. აგნებს ჯელალის ბინას სახლში, რომელიც ადრე მათ ოჯახს ეკუთვნოდა, ინკოგნიტოდ სახლდება იქ, იწყებს ჯელალის ტანსაცმლის ტარებას, პასუხობს მის ტელეფონს როგორც ჯელალი და საბოლოოდ წერს წერილებს ჯელალის სახელით.

რომანის სათხრობი სივრცე ორ პირობით პლასტს მოიცავს: ფაქტობრივსა და ფიქტიურს. ნაწარმოების ქსოვილში გამოკვეთილ „კვანძებში“ სოციოკულტურული მოვლენები რელიგიურ-მითოლოგიურ და ეპოთერულ ფენომენებთან კავშირში წარმოჩენილი („კაფის მთა“, შემზარავი ჭა, ღრეჩო, სტამბოლის ქვეშ არსებული „მანეკენების ჯოჯოხეთის“ ლაბირინთი, აპოკალიფსის ნიშნები: ბოსფორის წყლების უკანდახევა და სხვა). ეპოთერული კონტექსტით გაჯერებული თხრობა ქმნის მრავალდონიან ნარატიულ სტრუქტურას, იდუმალი ნიშნებით აგებული სამყაროს შთამბეჭდავ მოდელს, რომელსაც ვეცნობით რომანის ვირტუალური პროტაგონისტ, ჯელალის ნაწერებში. რომანის ფაქტიური პროტაგონისტი გალიფი ჯელალის ესეებს უღრმავდება, იწყებს საიდუმლო ნიშნების ამოცნობას და ხდება ამ უცნაური სისტემის ნეოფიტი მკვლევარი. ადვოკატი გალიფი ჯელალის ნაწერების გააზრებისას თანდათანობით ეუფლება ჰურუფიზმის საიდუმლო ნიშანთა სისტემას, თუმცა ერთი ხელის მოსმით ანგრევს ამ იერარქიულ პირამიდას.

რომანში სტამბოლის ქუჩები ტოპოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი, როგორც ჯეიმს ჯოისის „ულისეშია“. „ულისე“ „შავი წიგნის“ ერთ-ერთი ინტერტექსტია, ეს პერსონაჟების დონეზეც თვალსაჩინოა: გალიფის პროტოტიპი სტივენ დედალუსია, ჯელალის - ლეოპოლდ ბლუმი, რუიას - მოლი ბლუმი. ეს რომანის ერთ-ერთი შრეა. ფამუქის მიერ გამოყენებული პერსონაჟების სახელები ფარული მნიშვნელობის მატარებელია, გალიფის სახელი უკავშირდება XVIII საუკუნის პოეტ, შეიხ გალიფს, რომელიც ჯელალედინ რუმის მოსწავლედ აღიქვამს თავს, რასაც იგი თავის სუფიურ მესნევიში (პოემა) აღნიშნავს. მწერალი გვიჩვენებს ჯელალის ამბიციას მოძღვრავდეს საზოგადოებას მეკლანა ჯელალედინ რუმის დარად. ეს „უხერხული“ ფარდობითობა პოსტმოდერნისტული თამაშისა და ირონიის გამოვლინებაა. პრაქტიკულად ყველა მკვლევარი სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას უთმობს

რომანის სუფიურ განზომილებას (Moran 2010: 95-106; Ever 1992, 115-127; Bayrav 1996: 75; Şene, 1996: 111; Kalpaklı 1999: 46; Kim 1996: 241; Parla 1996: 103). „შავ წიგნში“ ავტორი მკითხველს სთავაზობს დეტექტიური გამოძიების ისტორიას მკაფიო დასასრულის გარეშე, რათა მან აირჩიოს შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთი. ეს დიაქრონია ისეთი დემონსტრაციული არ არის როგორც ჯონ ფაულზის „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელში“, მაგრამ ჯელალისა და რუიას მკვლელობის გამოძიება უშედეგოდ მთავრდება, თუმცა დაკვირვებული მკითხველი ხვდება, ვინ არის მკვლელი. მწერალი მას თვალსაჩინო მინიშნებას აწვდის.

რომანის შესწავლისას თვალსაჩინოა ჟილ დელოზისა და ფელიქს გვატარის ფუნდამენტური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოსტმოდერნისტული ლიტერატურა „რიზომის“ კულტურაზეა აღმოცენებული. თუ ტრადიციულ ლიტერატურაში მწერალი აღწერს ცხოვრებას და შთაგონებულია მისი ასახვის მიმეზისის თეორიით, „რიზომის“ კულტურაში მიმეზისთან ერთად წიგნის სემანტიკური ცენტრიც ქრება, სხვა ტიპის კავშირების რეალიზაცია ხდება: მისი ყოველი პუნქტი ტელეოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულია. ამ ონტოლოგიურ ლაბირინთში წარმოუდგენელია სამყაროს დანახვა საბოლოო, მიზნობრიობის დახმარებით. რომანში არ დგას ამოცანა გამოვლინდეს „რატომ, რა მიზნით?“ ხდება პროტაგონისტ გალიფის ასეთი დამცირება, რაც მას ნამდვილად არ დაუმსახურებია. რატომ ხვდებიან რუია და ჯელალი მკვლელს სწორედ იმ ადგილას, სადაც გალიფმა მას რანდევე დაუნიშნა? პოსტმოდერნიზმი არ განიხილავს მიზეზ-შედეგობრივ მექანიზმებს. ტრადიციული მიზეზობრიობის სქემისგან განსხვავებით ეს კავშირები განმარტებით სტრუქტურას მოკლებულია, მაკავშირებელი ძაფები და მარყუჟები მრავალჯერადია, აბნეული და მოულოდნელად წყდება. პოსტმოდერნის „რიზომის“ კულტურა წერის ახალი ტიპის დაბადებას განასახიერებს, რომელშიც მკითხველისთვის მთავარი არა ნაწარმოების შინაარსის გაგება, არამედ მისი მექანიზმის დანახვა, შემოქმედებით ექსპერიმენტში მონაწილეობაა. ამას ორჰან ფამუქი ბრწყინვალედ ახორციელებს.

დეტექტიური რომანის გამოძიების კვესტზე აგებული ეს ნაწარმოები შეიცავს დეტალებს, რომელსაც დეტექტიური რომანი სერიოზულად არ აღიქვამს, ხოლო პოსტმოდერნისტული „მეტაფიზიკური დეტექტივი“ კი ფართოდ იყენებს. „შავი წიგნის“ ინტერტექსტუალური სუბსტრატი მოიცავს დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებს. რომანს აქვს ალეგორიული დისკურსი, გვხვდება აღმოსავლური დივანის ლიტერატურის მითითებები, სავსეა დაფარული, იდუმალი ნიშნებით და მნიშვნელობებით, ფამუქი საშუალებას გვაძლევს წავიკითხოთ

აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების სიმბოლოები, ხან როგორც დაპირისპირებული, ხან შერწყმული. რომანი განიხილავს ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის პრობლემას. გამოკვეთილია ისეთი თავისებურებები, როგორცაა: ინტერტექსტუალობა, წარსულის ტრადიციული ღირებულებებისა და ავტორიტეტების არაკლასიკური ინტერპრეტაცია ირონიით, თამაშით და პაროდით. ორჰან ფამუქი „ლიტერატურული ცენტრიზმის“ მოშლით ახდენს ისეთი „ნაციონალური მეტანარატივების“ დეკონსტრუქციას, როგორცაა: „რელიგიური ტელეოლოგია“ „ნაციონალიზმი“, „თურქული იდენტობა“. ტექსტში გამოვლენილია თურქული საზოგადოებისთვის ტრადიციული „მარადიული“ საკითხები არატრადიციული ხერხებით. რომანში დეკონსტრუქცია არის წერის მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელსაც შეუძლია აღწეროს პოსტმოდერნის მოუწესრიგებელი, არასტაბილური და ჰიპერრეალური სამყარო ფრაგმენტულად. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ორჰან ფამუქის ტექსტის ადეკვატური აღქმისა და შეფასებისთვის.

ჯელილი თავის ესეში: „ვინ მოკლა შემსი თებრიზი?“ გვარწმუნებს, რომ „მევლანა მთელი ცხოვრება ეძებდა იმ „სხვას“, რომელიც აალებდა და ამოძრავებდა; იმ სარკეს, რომელშიც მისი სახე და სული აირეკლებოდა» (ფამუქი 2013: 246). გავრცელებული ვერსიის თანახმად, რუმი და შემსი თებრიზი ექვსი თვე მედრესეს საკანში განმარტოვდნენ და გარეთ არ გამოდიოდნენ, რამაც რუმის მიმდევრების აღშფოთება და შემსის მკვლელობა გამოიწვია. რუმი გამუდმებით დაეძებდა მას, თუმცა ბოლოს გაიაზრა მათი ერთიანობა: „რადგან მე „ის“ ვარ (...) მაშ, რატომ ვეძიებ?“ (ფამუქი 2013: 252), მევლანამ იმ პერიოდში შექმნილ ლექსებს „შემსი თებრიზის დივანი“ უწოდა. თავის ესეში ჯელალი პარადოქსულ მოსაზრებას გამოხატავს: „შემსის მოკვლისა და მისი გვამის ჭაში ჩაგდების ინიციატორი თავად მევლანაა“ (...) ჯელალი აცხადებდა, რომ შეყვარებულის სიკვდილი ყველაზე მომგებიანი მევლანასთვის აღმოჩნდა, რადგან იგი უბრალო მასწავლებლიდან უდიდეს მისტიკოს პოეტად იქცა, შესაბამისად, მკვლელობამ მას აშკარა სარგებლობა მოუტანა“ (ფამუქი 2013: 252). თუამ პროვოკაციულ ლოგიკას გავყვებით (რუმიმ მოაკვლევინა შემსი), გალიფიც ხდება ჯელალისა და რუიას მკვლელობის ინიციატორი, რადგან „შავი წიგნის“ შექმნასთან ერთად მათი ფუნქცია ამოიწურა. ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტად ისარგებლა ჯელალის მკვლელობით, არის გალიფი, რომანის რეალობაში იგი წერას იწყებს ჯელალის დაკარგვის შემდეგ.

მოკლული ჯელალის ცხედარის აღწერიასას მესამე პირის მთხრობელი გალიფ-ჯელალის კონტამინაციას ეწევა: „მახსოვს, მახსოვს, მახსოვსო, იმეორებდა ჯელალი“

(ფამუქი 2013:423). მთხრობელი ახსენებს ჯელალს, სინამდვილეში გულისხმობს გალიფს, რადგან ეს ნაწილი მოთხრობილია გალიფის ფოკალიზაციით, ჯელალი კი მკვდარია. ეს დეტალი გვიჩვენებს, რომ მესამე პირის მოთხრობელისთვის ჯელალი გალიფის იდენტურია. უფრო მეტიც, როგორც კი გალიფმა ჯელალის გვამი დაინახა, განაცხადა: „მე მე ვარ!“ (ფამუქი 2013:423). ჯელალის გვამზე დაფარებულ გაზეთ „მილიეთში“ ჯელალის ფოტოს ნახვისას აღნიშნა: „სახე ფოტოზე მე მეკუთვნის. ჩემს სახეზე რომ სახეა - ისიც“ (ფამუქი 2013: 423) ჩანს, რომ რომანის „ფსევდო ფაქტიური“ ხაზი, რომელშიც გალიფი ცოლსა და ცოლისძმას ეძებდა დასრულდა. რომანის დასასრულს მკითხველმა მოულოდნელად შეიძლება გაიაზროს, რომ ჯელალისა და რუიას პერსონაჟები არსებობენ მხოლოდ გალიფის გონებაში. ეს არის რომანის ყველაზე გამაოგნებელი დისკურსი.

იურგენ ჰაბერმასი ხაზს უსვამს, რომ დეკონსტრუქციის რევოლუციური პრაქტიკა მიზნად ისახავს გაყინული იერარქიებისა და ურთიერთობების განადგურებას (Хабермас 2003:115). ფამუქი ეხოთერულ-ეგზოთერული მეტანარატივების იერარქიულ მოდელებს დაუნდობლად ანგრევს, შეიძლება ასეც ვთქვათ: ჯერ აგებს იერარქიებს, შემდეგ ანგრევს. ამ პოსტმოდერნისტულ ტექსტში არ მოიძებნება მკაფიო სემანტიკური დაყოფა, ვინაიდან რომანში ხდება ნიშნების უწყვეტი გაცვლა-გამოცვლა. ნიშნების მუდმივი ფარდობითობა შლის განსხვავებას „საკუთარ და „სხვის“ სიტყვებს შორის; უმბერტო ეკო ხაზს უსვამს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების სემანტიკურ გაურკვევლობას, რომელშიც „მოვლენათა ცალსახა და აუცილებელი თანმიმდევრობის ნაცვლად ვლინდება პირობითობის ველი, სიტუაციის „ორაზროვნება“, რომელსაც ყოველ ჯერზე შეუძლია ახალი აქტიური ინტერპრეტაციული არჩევანის სტიმულირება“ (Эко 1976: 26).

ფამუქის „პოსტმოდერნისტული მგრძნობელობის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი სამყაროს როგორც ქაოსის გააზრებაა, რომელსაც არ გააჩნია ღირებულებები და სემანტიკური კრიტერიუმები. სამყარო დეცენტრირებული, ფრაგმენტული და მოუწესრიგებელია, მოკლებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირებს. მწერლის პოსტმოდერნული აღქმის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი არის ნებისმიერი იერარქიის უარყოფა. ეს პრინციპი ნიშნავს ტექსტში ენობრივი ელემენტების დახვეწილი შერჩევის იგნორირებას (Fokkema 1986:81). ფრედრიკ ჯეიმისონი პოსტმოდერნიზმის თავისებურებად მიიჩნევს ტრადიციული ჟანრებისა და დისკურსების კატეგორიების ნივილირებას. (Jameson 1991).

რომანში ეპიგრაფები მეტაფიქციური ტექნიკის კიდევ ერთი ელემენტია. ფამუქი აიძულებს მკითხველს ყურადღება გაამახვილოს ეპიგრაფებზე, რომელიც

კლასიკური მწერლობის ტრადიციული ელემენტია და არა თანამედროვე ლიტერატურის. ეპიგრაფი ემსახურება ინტერტექსტუალურ კომპონენტს, რომელიც მეტაფიქციის დერივატივია. ამით მკითხველი ეცნობა მწერლის ლიტერატურული ინტერესების სფეროს, რომანის თეზაურუსს. ფამუქი, რა თქმა უნდა, მხოლოდ თურქი ან აღმოსავლელი მკითხველისთვის არ წერს, მას დასავლელი მკითხველიც არანაკლებად ინტერესებს, მითუმეტეს ის აპრიორულად ვარაუდობს, რომ დასავლელი მკითხველი ვერ ერკვევა აღმოსავლური ეზოთერული აზროვნების სიღრმეში, შესაბამისად, ეპიგრაფებიც „აღმოსავლურ-დასავლური დივანის“ შთაბეჭდილებას ტოვებს და მკითხველის ინტელექტუალური დონის ინდიკატორსაც წარმოადგენს. ეს იმპლიციტური ინტელექტუალური მკითხველის პარამეტრებია. რომანის პირველი ნაწილის მეხუთე თავში არის დანტეს ეპიგრაფი და ის დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ ცოდნას გულისხმობს, მეორე ნაწილის მეთოთხმეტე თავში არის შეიხ გალიფის ეპიგრაფი, ეს კი მისი მესნევის „ჰუსნუ აშქის“ ცოდნას ვარაუდობს. მომზადებული მკითხველი, რომელიც ამ ეპიგრაფებში ჩადებულ „გზამკვლევ“ მითითებებზე რეფლექსირებს, ინტერტექსტუალურ კავშირებსაც ხედავს და ტექსტის მრავალშრიან სტრუქტურასაც აცნობიერებს.

ფამუქის რომანში ინტერტექსტუალური კომპონენტების სიუხვე მკითხველს განსხვავდასხვა ტექსტის ცოდნას მოითხოვს. ის, რასაც უბირი მკითხველი მეტ-ნაკლებად გაიგებს, არ შეესაბამება ინტელექტუალური მკითხველის წინაშე არსებულ კვესტს: „აბა გამოიცანი?“. პოსტმოდერნისტული რომანის სტრუქტურის დომინანტური ელემენტი მკითხველია. სწორედ მკითხველზეა გათვლილი ნაწარმოებში იმპლიციტური ძველი ტექსტები და ამ ძველი ტექსტების შემოტანილი დამატებითი ღირებულებითი ასპექტები. პოსტმოდერნისტულმა ლიტერატურამ მკითხველის ყურადღება მეტაფიქციური თხრობის ტექნიკაზე მიმართა. მეორე ელემენტი, რომელსაც მეტაფიქციური თხრობის ტექნიკა იყენებს, არის თხრობაში თხრობის, ანუ ამბავში ამბავის გადმოცემის ტექნიკა. ფამუქის მეტაფიქციური რომანის თითოეულ თავში განსხვავებული პერსონაჟი და პრობლემური რკალი ჩნდება. „მეტაფიქციურ ტექსტებში, სადაც წერის აქტი აქცენტრებულია, რომანის გმირები მუდმივად ქმნიან ტექსტებს. ეს რომანები სავსეა ამბავში ამბავის თხრობით“ (Ecevit 110).

ჩარჩო თხრობის მიღმა მწერალი გვაწვდის უამრავ განსხვავებულ ისტორიას. თხრობის რეკურსიული ხერხი, რა თქმა უნდა, პოსტმოდერნიზმის ნოუ ჰაუ არ არის, აღმოსავლელი მკითხველი მას იცნობს „ათას ერთი ღამიდან“, ათარის „ფრინველთა საუბრიდან“ და ა.შ.. დასავლურ მწერლობაში უკვე ჰომეროსის „ილიადაში“;

შექსპირის „ჰამლეტი“, სერვანტესის „დონ კიხოტში“ გვხვდება. თავში „თოვლიანი ღამეების სასიყვარულო ისტორიები“ შვიდი ადამიანი ყვება სხვადასხვა ისტორიას. თხრობის ეს ტექნიკა პირდაპირ კავშირშია ბოკაჩოს „დეკამერონთან“. ეს ისტორიები არ უკავშირდება რომანის ჩარჩო თემას, თუმცა პოსტმოდერნისტულ თეზას: რეალობის გამოგონილ ხასიათზე ნათლად წარმოაჩენს. ამ თავში ყველაზე მნიშვნელოვანი „მაღალი სიმპატიური სათვალეებიანი მწერლის“ ისტორიაა, რომელშიც ფამუქი თავის „ფსევდობიოგრაფიულ“ სურათს აყალიბებს და პოსტმოდერნიზმის ეპისტემოლოგიას გვაცნობს: „მწერალი ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში, ლამპიონ ჩამსხვრეულ მიყრუებულ უბნებში, ბიზანტიელებისგან შემორჩენილ მიწისქვეშა ლაბირინთებში, ნარკომანთა და უსახლკაროთა კაფეებში, სამიკიტნოებსა და ღამის კლუბებში დაეხეტებოდა და აღმოაჩინა, რომ ცხოვრება „ჩვენს ქალაქში“ ისეთივე რეალური იყო, როგორც წარმოსახვითი სამყარო. ის კი იმას ადასტურებდა, რომ სამყარო წიგნია“ (ფამუქი 2013: 162). ჟაკ დერიდას უმთავრესი პოსტულატის, „სამყარო არის ტექსტი“ წარმოჩენის შემდეგ ფამუქი პოსტმოდერნისტული რომანის მთავარ ნარატიულ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას: „მწერლის ნაამბობს მსმენელები მდუმარედ შეხვდნენ, რადგან სიყვარულებზე მეტად მარტოობაზე, ისტორიის შინაარსზე მეტად კი თხრობის სტილზე ამახვილებდა ყურადღებას“ (ფამუქი 2013: 162). თავში: „მოთხრობა სარკეში აირეკლა“ გადმოცემულია გალიფის მიერ რუიას შეყვარების იმპულსი, ფაზები. აქ ინტერტექსტუალური ბმული იქმნება შეიხ გალიფის პოემასთან და ხორციელდება შეიხ გალიფის „ჰუსნუ აშქის“ სქემით. ამ თავში ავტორი მკითხველს სუფიური ნარატივის ეზოთერულ ელემენტებს უჩვენებს: მურშიდისა და მურიდის ინსტიტუტს: მასწავლებელისა და მოწაფის მოდელში. რომანში ჯელაღი ოსტატია, ხოლო გალიფი შეგირდი. მესწავლეში არსებული ტრანსცენდენტური „გულთა ქვეყნის“ ანალოგი რომანში „ქალაქის გულის“ სახელწოდების სახლია, სადაც ჯელაღისა და გალიფის ოჯახი ცხოვრობდა. ეს მათი ოჯახის დაკარგული სახლია, აქვეა შავბნელი ჭის სიმბოლოც.

როლან ბარტის აზრით, მწერალი „თუ საკუთარი თავის გამოხატვას მონდომებს, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ შინაგანი არსი, რომლის გადმოცემასაც აპირებს, სხვა არაფერია, თუ არა მზა ლექსიკონი“ (Барт 1994: 388). ბარტმა და მიშელ ფუკომ ისეთი ენთუზიაზმით გამოაცხადეს „ავტორის სიკვდილი“ თითქოს ამ დესტრუქციით შვება მოჰგვარეს მკითხველს. ღმერთს რომ მოკლავ, ამის ფონზე ავტორის სიკვდილი რა გასაკვირია... ფამუქის ამ ურთულესი სტრუქტურის მრავალრიანი ტექსტში ტრადიციული ავტორი „კვდება“ და ყველა ფუნდამენტური საკითხი „ბაბილონის გოდოლივით“ იშლება. რომანში „ავტორის ჭეშმარიტება“

რელატიური ხდება, ითქვიფება ფოკალიზაციის მრავლდონიან დიალოგში. თავში „მთხრობელი კი არა მოთხრობა“ გვარწმუნებს, რომ „მთავარი ისტორიაა და არა მისი მთხრობელი“ (ფამუქი 2013, 394). თუ მწერლობაში თემატური და ჟანრობრივი თვალსაზრისით ორიგინალური არაფერია და შემოქმედის სტატუსი უკიდურესად ნივლირებულია, მაშინ ფამუქი პოსტმოდერნიზმის მთავარ მახასიათებელზე - ნაწარმოების აგების, მისი ნარაჯის რეჟიმებსა და სტრუქტურაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს მეტაფიქციის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

მწერალი ზოგჯერ დიალოგში შედის მკითხველთან (რა თქმა უნდა, ეს ხერხი კლასიკურ მწერლობაშიც გვხვდება), მაგრამ კორტასარის „კლასობანას“, პავიჩის „ხაზარული ლექსიკონისგან“ განსხვავებით: რა თანმიმდევრობითაც გინდა ისე წაიკითხე რომანიო, არსთავაზობს მკითხველს. ფამუქის ინტერაქცია მკითხველთან უფრო უშუალო და უპრეტენზიოა, მკითხველი მინიშნებების ლაბირინთში ხვდება. მხოლოდ რომანის დასასრულს ირკვევა ამ წიგნის მეტაფიქციური ავტორის ვინაობა, ეს კი ცოტა შოკისმომგვრელია, რადგან თუ ვინმეს ნაწერებს ეცნობა მკითხველი რომანში, არის ჯელალი, მაგრამ როგორც ფამუქი იტყვის „ფოკუს-მოკუს“, რომანი გალიფმა დაწერა, რეალურად კი ორჰან ფამუქმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Барт Р. (1994). Смерть автора // Барт Р. Избранные работы: Семиотика. Поэтика. Москва: Прогресс
2. Bayrav, S. (1996). "Kara Kitap ve Kendi Olmak". Der. Nüket Esen. Kara Kitap Üzerine Yazılar, İstanbul: İletişim Yayınları. 73-79.
3. Ecevit, Y. (1996). Orhan Pamuk'u Okumak. İstanbul: Gerçek Yayınevi.
4. Enginün İnci (2001) Cumhuriyet Donemi Türk Edebiyatı, İstanbul, Dergah Yayınları
5. Ever, M. (1996). "Adlar ve Kitaplar". Der. Nüket Esen. Kara Kitap Üzerine Yazılar, 115-37. İstanbul: İletişim Yayınları.
6. Fokkema, D. (1986). The Semantic and Syntactic organization of Postmodernist Texts (81-91) in Approaching Postmodernism, Utrecht Publications in General and Comparative Literature 21
7. Jameson F. (1991). Postmodernism or, The Cultural Logic of Late Capitalism. Duke University Press,
8. Kalpaklı, M. (1999, Temmuz-Ağustos). "Divan Şiirinde Aşk". Gösteri, 212, 46-47.
9. Kim, S. (1996). "Mürşid ile Mürid: Kara Kitap'ı Bir Yorumlama Çerçevesi Olarak Tasavvuf". Der. Nüket Esen. Kara Kitap Üzerine Yazılar, İstanbul: İletişim Yayınları. 233-255.
10. Korkmaz, R. (2000, Mayıs-Haziran). "Kara Kitap'taki Simgesel Dönüş İmgelerinin Postmodernist Açıdan Yorumu". Türk Yurdu, Cilt 20, sayı:153-154, 311-317.
11. Moran, B. (2010) "Üstkurmaca Olarak Kara Kitap", Türk Romanına Eleştirel bir Bakış 3, İstanbul: İletişim Yayınları.
12. Parla, J. (1996). "Kara Kitap Neden Kara?". Der. Nüket Esen. Kara Kitap Üzerine Yazılar, (102-109) İstanbul: İletişim Yayınları.
13. Şener, S. (1996). "İşaretleri Değerlendirme Kitabı". Kara Kitap Üzerine Yazılar, 110-114 Der. Nüket Esen. İstanbul: İletişim Yayınları.
15. ფამუქი, ო. (2013). „შავი წიგნი“, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
16. Хабермас Ю. (2003). Философский дискурс о модерне. М.: Весь мир.
17. Эко У. (1976). Открытость произведения искусства // Некоторые проблемы современной зарубежной эстетики: Сб. переводов и рефератов. В 2-х ч. М., Ч. 2

**საგანმანათლებლო ღონისძიებების მნიშვნელობა მოზარდის პიროვნების
ფორმირებისათვის კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში**

**დოქტორი, ეფემია ხარაძე, დოქტორი, თამარ გოგოლაძე,
დოქტორი, ჟანა ჭითანავა**

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და აღორძინება ყველა დროის და ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტი იყო და იქნება. ერთმნიშვნელოვანია, რომ ამ თვალსაზრისით, ის მიემართება საგანმანათლებლო სფეროს, სკოლას, რადგან მომავალი მოქალაქის აღზრდას აქ ეყრება საფუძველი. პედაგოგიკის ფუნდამენტურ იდეას მოზარდის პიროვნებად ფორმირებაში, ჰარმონიული აღზრდა წარმოადგენს. ამ კონტექსტში, ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, გარდა ესგ-ით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნებისა, მათი პატრიოტული გრძნობების ჩამოყალიბებისა და სულიერი განვითარების საშუალებაა. ამ მიზნით, მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო პროცესი დაეგმოს ისე, რომ სწავლება მიემართებოდეს მოსწავლის ჰარმონიულ პიროვნებად და განათლებულ ახალგაზრდად განვითარებას. აღნიშნულის მისაღწევად პედაგოგი სწავლების სხვადასხვა მეთოდს მიმართავს და სწორედ ამ მეთოდთაგან, წარმოდგენილ ნაშრომში, ყურადღება გამახვილდება საგანმანათლებლო პროექტებსა (მაგ., საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმთან, გორის №9 საჯარო სკოლის უფროსკლასელთა მიერ მინი-პროექტის განხორციელება, რაც ეძღვნება „ოქონის“ ძველთაძველი ხატისა და ტაძრის ისტორიას და სხვ.) და სასკოლო ექსკურსიებზე, ვინაიდან ისინი დიდ როლს ასრულებენ და ეხმარებიან მასწავლებელს არა მხოლოდ ესგ-ით გათვალისწინებული კონკრეტული საგნის სწავლების მიზნების მიღწევაში, არამედ ამაღლებენ მოზარდის ინტელექტს, განაპირობებენ მათში გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური ცნობიერების უნარების გამომუშავებას, ამასთან,

ემსახურებიან ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის არა მარტო გაცნობას, არამედ მათი შენარჩუნების, მოფრთხილების საჭიროების შემეცნებას და, შესაბამისად, ესთეტიკურ-ზნეობრივ განვითარებას. ექსკურსიების პროცესში, გათვალისწინებულია როგორც მუზეუმების, სახლ-მუზეუმების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებად აღიარებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტების, ძეგლებისა და ადგილების დათვალიერება, რომელთა დაცვა სახელმწიფო კანონმდებლობით რეგულირდება. კერძოდ, კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, ნათქვამია: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და **საგანმანათლებლო ღონისძიებათა** ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა“ (კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, №4708 2007:მუხლი 3, პუნქტი მ).

ნაშრომის მიზანი მიემართება, ექსკურსიების (მათ შორის, ვირტუალური) და სასკოლო პროექტების, როგორც კლასგარეშე მუშაობის ფორმების, გამოყენების პრაქტიკის მნიშვნელობის განსაზღვრას, მოზარდის ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარებისათვის კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში. ამ მიზნით, საკითხის თეორიული მიმოხილვის შემდგომ, ნაშრომში წარმოდგენილია ჩვენ მიერ განხორციელებული მცირემასშტაბიანი თვისებრივი კვლევა, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები.

საკვანძო სიტყვები: კულტურული მემკვიდრეობა, მდგრადი განვითარება, ჰარმონიული აღზრდის იდეა, მოზარდის პიროვნებად ფორმირება, ეკოლოგიური ცნობიერება, ექსკურსია, სასკოლო პროექტი, საგანმანათლებლო ღონისძიებები

The importance of educational measures for the formation of the adolescent's personality in the context of cultural heritage

Abstract

Preservation and revival of cultural heritage has always been and will be the priority of all states. It is unequivocal that from this point of view, it refers to the educational field, the school, because the foundation for the education of the future citizen is laid here. The fundamental idea of pedagogy in the formation of a teenager's personality is harmonious upbringing. In this context, getting to know the national and world cultural heritage, in addition to the educational goals provided by the National Educational Plan (National Curriculum), is a means of forming their patriotic feelings and spiritual development. For this purpose, the teacher is obliged to plan the educational process in such a way that the teaching is aimed at the development of the student as a harmonious personality and an educated young person. In order to achieve this, the teacher applies different teaching methods, and it is from these methods that, in the presented work, attention will be focused on educational projects (for example, the creation of an educational center near the house-museum of Tsinandli al. " the history of the ancient icon and temple, etc.) and on school excursions, since they play a great role and help the teacher not only to achieve the goals of teaching a specific subject provided by the ESS, but also raise the intelligence of the teenager, cause them to develop the skills of environmental and ecological awareness, in addition, They serve not only to familiarize with the national and world cultural heritage, but also to recognize the need for their preservation and care and, accordingly, aesthetic and moral development. In the process of excursions, it is envisaged to visit museums, house-museums, as well as tangible and intangible objects, monuments and places recognized as objects of cultural heritage, the protection of which is regulated by state legislation. In particular, the Law "On Cultural Heritage" states: "Protection of cultural heritage - a set of legal, scientific-research, rehabilitation, informational and educational measures, the purpose of which is to preserve cultural heritage in full diversity and ensure its sustainable development" (Law "On Cultural Heritage" , No. 4708 2007: Article 3, Clause m).

The aim of the paper is to determine the significance of the practice of using excursions (including virtual ones) and school projects as forms of extracurricular work for the moral and aesthetic development of adolescents in the context of cultural heritage. For this purpose, after the theoretical review of the issue, the paper presents a small-scale qualitative research carried out by us, the target group of which are teachers of secondary schools.

Key words: cultural heritage, sustainable development, the idea of harmonious upbringing, adolescent personality formation, ecological awareness, excursion, school project, educational events.

შესავალი

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და აღორძინება ყველა დროის და ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტი იყო და იქნება. ერთმნიშვნელოვანია, რომ ამ თვალსაზრისით, ის მიემართება საგანმანათლებლო სფეროს, სკოლას, რადგან მომავალი მოქალაქის აღზრდას აქეყრება საფუძველი. პედაგოგიკის ფუნდამენტურ იდეას მოზარდის პიროვნებად ფორმირებაში, ჰარმონიული აღზრდა წარმოადგენს. ამ კონტექსტში, ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, გარდა ესგ-ით გათვალისწინებული უშუალო საგანმანათლებლო მიზნების, გამჭოლი უნარების მიღწევისა და ღირებულებების დამკვიდრებისა, მოსწავლეში პატრიოტული გრძნობების ჩამოყალიბებისა და სულიერი განვითარების საშუალებაა. ამ მიზნით, მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო პროცესი დაგეგმოს ისე, რომ სწავლება მიემართებოდეს მოსწავლის ჰარმონიულ პიროვნებად და განათლებულ ახალგაზრდად განვითარებას. აღნიშნულის მისაღწევად პედაგოგი სწავლების სხვადასხვა მეთოდს მიმართავს, და სწორედ ამ მეთოდთაგან, წარმოდგენილ ნაშრომში, ყურადღება გამახვილდება სასკოლო ექსკურსიებსა და საგანმანათლებლო პროექტებზე, ვინაიდან ისინი დიდ როლს ასრულებენ და ეხმარებიან მასწავლებელს არა მხოლოდ ესგ-ით გათვალისწინებული კონკრეტული საგნის სწავლების მიზნების მიღწევაში, არამედ ამაღლებენ მოზარდის ინტელექტს, განაპირობებენ მათში გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური ცნობიერების უნარების გამომუშავებას, ამასთან, ემსახურებიან ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის არა მარტო გაცნობას, არამედ მათი შენარჩუნების, მოფრთხილების საჭიროების შემეცნებას და, შესაბამისად, მოზარდის ესთეტიკურ-ზნეობრივ განვითარებას. გარდა უსაფრთხოების ნორმების დაცვისა, საჭიროა პედაგოგები იყვნენ მომზადებული და სწორად ჰქონდეთ დაგეგმილი გასვლითი აქტივობა. თუმცა, ხშირად მასწავლებლები არასათანადოდ აფასებენ კლასგარეშე პროცესის მნიშვნელობას, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ ორგანიზებით და უბრალო დამთვალეიერებლების როლში გვევლინებიან.

ექსკურსიების პროცესში, გათვალისწინებულია როგორც მუზეუმების, სახლ-მუზეუმების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებად აღიარებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტების, ძეგლებისა და ადგილების

დათვალიერება, რომელთა დაცვა სახელმწიფო კანონმდებლობით რეგულირდება. კერძოდ, კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ნათქვამია: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და **საგანმანათლებლო ღონისძიებათა** ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა“ (კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, №4708 2007: მუხლი 3, პუნქტი მ).

დ. ლორთქიფანიძის მიხედვით, „ექსკურსია ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მოვლენებისა და საგნების უშუალო აღქმის საფუძველზე შესწავლას, მიღებული ცოდნა-ჩვევების განმტკიცებას, პრაქტიკული შრომა-საქმიანობისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებას, ცხოვრებასთან თეორიული სწავლების დაკავშირებას, მოსწავლეთა საერთო მომზადების ჰორიზონტის გაფართოებას. ექსკურსია თვალსაჩინოების პრინციპის განხორციელების საუკეთესო საშუალებაა. ექსკურსია ხელს უწყობს მოზარდში მაღალმორალურ თვისებათა ჩამოყალიბებას. ამიტომაც სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ექსკურსია არა მარტო სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმაა, არამედ აღზრდის ძლიერი ფაქტორიც“ (ლორთქიფანიძე 1983: 191). სასწავლო ექსკურსიის სახეებია: სამხარეო-გეოგრაფიული, საწარმოო ექსკურსია, ისტორიულ-ფილოლოგიური, საბუნებისმეტყველო და სხვ. (ხუხუა 2009). თავისი დანიშნულების მიხედვით კი, ექსკურსია შეიძლება იყოს სასწავლო-დაკვირვებითი და საილუსტრაციო. ეს ორი ფორმა ერთმანეთს ავსებს, მაგრამ იმის მიხედვით, კონკრეტულ ექსკურსიაში სჭარბობს შესწავლა თუ შესწავლილის განმტკიცება, მათ შორის შესაძლებელია ზღვრის გატარება. ორივე შემთხვევაში კი ის, ზემოთ აღნიშნულთან ერთად, განაპირობებს პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის, აღქმის უნარსა და სურვილს. მით უმეტეს, რომ ახალი დადგენილების თანახმად, ექსკურსია სავალდებულო არაფორმალურ აქტივობად მოიაზრება. მოგეხსენებათ, სასკოლო ექსკურსიები არ გულისხმობს მხოლოდ ლანდშაფტური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დათვალიერებას, არამედ მუზეუმების გაცნობა/დათვალიერებასაც. საგულისხმოა, რომ დაახლოებით 100 წლის წინ საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „სამუზეუმო პედაგოგიკას“, რამაც ხელი შეუწყო მუზეუმისა და სკოლის დაკავშირებას (ტუნაძე 2009). კერძოდ, მათი ტანდემი განაპირობებს მოზარდში არა მარტო სკოლის კედლებში შექმნილი ცოდნის განმტკიცებას, არამედ ახლის შემეცნების პროცესის განვითარების ჰარმონიზაციას, ეროვნული იდეოლოგიის ფორმირების ხელშეწყობას, ტრადიციული კულტურული

მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. „სამუზეუმო პედაგოგიკა“ საქართველოში, ჯერ კიდევ, განვითარების საწყის სტადიაშია. კერძოდ, მხოლოდ ზოგიერთი მუზეუმის სამუშაო გეგმებსა და საგანმანათლებლო კურიკულუმებში შედის კვირეულები მოსწავლეებისათვის, სკოლებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და სხვ. ასე მაგალითად, როგორც დედაქალაქში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მუზეუმებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მოქმედი საგანმანათლებლო ცენტრები, რომელთა მიზანია პარტნიორული ურთიერთობის დამყარება სასწავლო დაწესებულებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საშელავათო პაკეტების შექმნა და შეთავაზება, ერთობლივი პროექტების განხორციელება და სხვ.: თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისის ზოოლოგიური პარკი, წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახ-მუზეუმი (ცენტრის ბაზაზე მოქმედ საგანმანათლებლო სალონში ტარდება ხელოვნების თანამედროვე მოღვაწეთა და სკოლის მოსწავლეთა შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები) და სხვ. ანალოგიური საგანმანათლებლო პროექტების ძირითად ინიციატორებად, მუზეუმებთან შედარებით, მაინც რჩებიან როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების სკოლები (მაგ., გორის №9 საჯარო სკოლის უფროსკლასელთა მიერ მინი-პროექტის განხორციელება, რაც ეძღვნებოდა „ოქონის“ ძველთაძველი ხატისა და ტაძრის ისტორიას და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პერიოდმა თუმცა მუზეუმებში ვიზიტების შეზღუდვა გამოიწვია, მაგრამ საფუძველი ჩაუყარა მუზეუმების ვირტუალური დათვალიერების პრაქტიკას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ექსკურსიების ჩატარების ახალი რეგულაციების პირობებში, რომლის ფარგლებშიც აიკრძალა ექსკურსიების განხორციელება ძირითადი ლოკაციიდან 150-ზე მეტი კილომეტრის მანძილზე (კანონი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ №719 2019: ელექტრონული რესურსი).

მუზეუმების ვირტუალური დათვალიერების პრაქტიკამ სხვა დანიშნულებაც შეიძინა. მოზარდებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებსაც, რაც განსაკუთრებულ დანიშნულებას იძენს ისეთი სასკოლო დისციპლინების სწავლებაში, როგორებიცაა: ხელოვნება, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია და სხვ. როგორც ცნობილია, ვირტუალური ექსკურსია გულისხმობს სამგანზომილებიან ინტერნეტ-სივრცეს, რომელიც განთავსებულია შესაბამისი მუზეუმის ან საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდზე. ვირტუალური მუზეუმები პირველად 1991 წელს გამოჩნდნენ ინტერნეტ-სივრცეში და ისინი ისეთი სრულყოფილი და

მრავლისმომცველი არ იყვნენ, როგორც დღეს (გონაშვილი 2018: ელექტრონული რესურსი). დღესდღეობით, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში უამრავი მუზეუმი არსებობს, რომელთაც ვირტუალური ექსკურსიის ჩატარების შესაძლებლობა გააჩნიათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანი მიემართება, ექსკურსიების (მათ შორის, ვირტუალური) და სასკოლო პროექტების, როგორც კლასგარეშე მუშაობის ფორმების, გამოყენების პრაქტიკის მნიშვნელობის განსაზღვრას, მოზარდის ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარებისათვის კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში. ამ მიზნით, ჩვენ მიერ განხორციელდა მცირემასშტაბიანი თვისებრივი კვლევა, კერძოდ, სიღრმისეული ინდივიდუალური ინტერვიუ, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები (14 საჯარო სკოლის 26 მასწავლებელი). იმისათვის, რომ ინტერვიუ სწორად წარმართულიყო, თავიდანვე განისაზღვრა მისი ჩატარების პირობები. რესპოდენტები წინაწარ გაეცნენ კვლევის მიზანსა და ინტერვიუს საკვანძო კითხვების თემატიკას. ასევე, მათი სურვილიდან გამომდინარე, დაცული იყო კონფიდენციალობა. ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების შემდეგ, განხორციელდა მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და შედეგების საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საკითხზე მასწავლებლების მხრიდან ერთნაირი მოსაზრებები დაფიქსირდა, ხოლო გარკვეულ საკითხებთან მიმართებით გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა, კერძოდ:

კითხვაზე, სასწავლო წლის განმავლობაში რამდენად ხშირად ეწყობა სასკოლო ექსკურსიები, ინტერვიუერების აბსოლუტურმა უმრავლესობამ გვიპასუხა, რომ ქალაქგარე ექსკურსიებს წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ, მაქსიმუმ კი ორჯერ ახორციელებენ, ხოლო რაც შეეხება ქალაქში მოწყობილ ექსკურსიებს, მათი რაოდენობა 3-5-მდე მერყეობს.

რესპოდენტებმა, კითხვაზე, უფრო ხშირად რომელი სასკოლო დისციპლინების ფარგლებში ხორციელდება მიზნობრივი ექსკურსიები, ყველამ დაასახელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან - ბიოლოგია და გეოგრაფია, ხოლო ჰუმანიტარულიდან - ქართული და ისტორია, ასევე, ხელოვნება.

შემდეგი კითხვა წინა კითხვის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა: ატარებთ კომპლექსურ ექსკურსიებს სხვადასხვა საგნების ინტეგრირების თვალსაზრისით და რამდენად გეხმარებათ მიზნობრივი ექსკურსიები სასკოლო დისციპლინების უკეთ სწავლებაში. გამოკითხულთა 23%-მა გვიპასუხა, რომ კომპლექსური

ექსკურსიები ჯერჯერობით არ ჩაუტარებიათ. 77 %-მა დადებითი პასუხი გაგვცა და დაგვიზუსტა, რომ ინტეგრირებულად ატარებენ შემდეგ საგნებში: ბიოლოგია-გეოგრაფია, ბიოლოგია-ისტორია, გეოგრაფია-ისტორია, ბიოლოგია-ქართული, ისტორია-ქართული, ბიოლოგია-ხელოვნება, ხელოვნება-ქართული. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს შესწავლილი მასალა ასე უკეთესად ამახსოვრდებათ და ამ ფორმით გამყარებული ცოდნა უფრო პროდუქტიულია.

შემდეგი კითხვა მიემართებოდა, თუ ესგ-ით და სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ მისაღწევ შედეგებზე გავყავართ ექსკურსიას? რესპოდენტთა აზრით, იგი ერთ-ერთი საუკეთესო დამხმარე საშუალებაა ესგ-ის მიზნებისა და გამჭოლი უნარების მიღწევისათვის, რადგან განაპირობებს მოსწავლის არა მარტო გონებრივი, ემოციური, სოციალური, არამედ თანამშრომლობით-კომუნიკაციური უნარების, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ამაღლებს და აფართოვებს მის თვალსაწიერს.

კითხვაზე, ექსკურსიას, როგორც სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რა სასწავლო მიზნების მისაღწევად იყენებთ, გამოკითხულებმა მრავალფეროვანი პასუხები გასცეს. მაგალითად, მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისათვის, ბავშვების ერთმანეთთან და პედაგოგთან დაახლოვების/გახსნილი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის და რაც ჩვენთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო, გამოკითხულთა 82%-მა დაასახელა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებისა და ღირსშესანიშნეობების გაცნობა, რამაც მოზარდებში ჩვენი ქვეყნის ისტორიისადმი სიამაყისა და სიყვარულის გრძნობის გაძლიერების მოტივაცია გამოიწვია.

კითხვაზე, ხშირად იყენებთ ვირტუალურ ექსკურსიებს, პასუხები რამდენადმე მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის - მასწავლებელთა დაახლოებით 40%-მა არაფერი იცოდა აღნიშნულ თემასთან მიმართებით! რაც შეეხება დანარჩენ 60%-ს, განაცხადეს, რომ პანდემიის პერიოდში აქტიურად იყენებდნენ ექსკურსიის ამ ფორმას და შედეგიანადაც. დღესდღეობით კი, ნაკლებად. პასუხის ამ ნაწილმაც არ დაგვაკმაყოფილა, ვინაიდან ვირტუალური ექსკურსიების გამოყენების პრაქტიკა სულაც არ უნდა შემოიფარგლებოდეს პანდემიით გამოწვეული იზოლაციით. აღნიშნული 60%-დან 72%-მა დაგვიდასტურა, რომ დღესაც წარმატებით იყენებს ვირტუალურ ექსკურსიებს სწავლების პროცესში.

შემდეგი კითხვა ეხებოდა საგანმანათლებლო პროექტებსა და თანამშრომლობით ურთიერთობებს სკოლებსა და მუზეუმებს შორის. რესპოდენტთა 52%-მა დადებითი პასუხი გაგვცა და დააზუსტა, რომ მათ სკოლებს დამყარებული

აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები მუზეუმებთან და პერიოდულად ახორციელებენ მათთან ერთად ან დამოუკიდებლად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს, რომელთა ფარგლებში მოსწავლეები ინტერესით მუშაობენ პროექტზე, ეცნობიან შესაბამის ლიტერატურულ წყაროებს, ხოლო ლანდშაფტური და ისტორიული ღირსშესანიშნაობების ან მუზეუმების დათვალიერების შემდეგ ახდენენ პრეზენტაციებს, ქმნიან ვებ-გვერდებს და ა.შ. გამოკითხულთა 27%-მა აღნიშნა, რომ ახლო მომავალში გეგმავენ მემორანდუმების გაფორმებას მუზეუმებთან, ხოლო დარჩენილმა 21%-მა განაცხადა, რომ არ გააჩნიათ ასეთი პრაქტიკა.

კითხვაზე, გთხოვთ გაგვიზიაროთ პრაქტიკული გამოცდილება, ფაქტიური (ცოცხალი) და ვირტუალური ექსკურსიების, ასევე მათთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების შედეგები თუ რა გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე, მის პიროვნებად ფორმირებაზე, ძალზე მრავალფეროვანი პასუხები დაფიქსირდა. კერძოდ: „უვითარდებათ შემეცნებითი უნარ-ჩვევები“, „ყალიბდებიან უფრო მეტად ერუდირებულ ახალგაზრდებად“, „უვითარდებათ მოსმენისა და მოსმენილის გააზრების კულტურა“, „ხდებიან მეტად კომუნიკაბელურნი“, „შესწავლილი მასალა გადადის პრაქტიკაში, რაც უზრუნველყოფს მის უკეთ გაგება/გააზრებასა და დამახსოვრებას“, „უვითარდებათ ჯანსაღი დისკუსიის წარმართვის კულტურა“, და, რაც საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენთვის ყველაზე საგულისხმო აღმოჩნდა: „განაპირობებს ბუნების, ხელოვნების შესახებ ესთეტიკური კულტურის განვითარებას“, „უვითარებთ ჯანსაღი პატრიოტიზმის გრძნობასა და, ამასთანავე, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობებისადმი დამოკიდებულებას“ და სხვ.

დასკვნა

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ექსკურსიების მიზნობრივად და სწორად დაგეგმვის, კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, ვირტუალური ექსკურსიების ორგანიზებისა და ჩატარების, მუზეუმებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს ჯერ ისევ ბევრი ხარვეზი გააჩნია. არადა, მიზნობრივად დაგეგმილ ექსკურსიებსა და შესაბამის საგანმანათლებლო პროექტებს არა მარტო აღმზრდელობითი, არამედ შემეცნებითი მიზნებიც აკისრიათ. სასწავლო პროცესის კვალდაკვალ, ისინი განაპირობებენ ახალგაზრდა თაობაში

თეორიული ცოდნის პრაქტიკულით განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლანდშაფტური ღირსშესანიშნაობების გაცნობას, მათი მოფრთხილებისა და დაცვის სურვილის აღძვრას, პატრიოტული და ზოგადად, ზნეობრივი, ესთეტიკური თვისებების ჰარმონიულ განვითარებას პიროვნებად ფორმირების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გონაშვილი რ. (2018). ვირტუალური ექსკურსია, როგორც ლიტერატურის გაკვეთილზე სასწავლო პროცესის ორგანიზების ერთ-ერთი ეფექტური ფორმა. ელექტრონული რესურსი: <https://mastsavlebeli.ge/?p=19718>;
2. კანონი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, №719. (31/05/2019). საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ელექტრონული რესურსი: <https://mes.gov.ge/content.php?id=9156&lang=geo>;
3. კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, №4708. (08/05/2007). საქართველოს პარლამენტი. ელ.რესურსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=21>;
4. ლორთქიფანიძე დ. (1983). დიდაქტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
5. ტუნაძე თ. (2009). სამუზეუმო პედაგოგიკის პრაქტიკა და პერსპექტივა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. თბილისი: გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენციის („ახალი მიმართულებები განათლებასა და კვლევაში“) მასალები;
6. ხუხუა გ. (2009). პედაგოგიკა. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რბილი უნარები კარიერის განვითარებაში: გრძელვადიანი პროფესიული წარმატების გასაღები

დოქტორანტი, თამარ კაჭარავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გლობალური ეკონომიკის სწრაფმა ევოლუციამ, რომელიც გამოწვეულია ტექნოლოგიური პროგრესით, შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებით და გლობალიზაციის ზრდით, რბილი უნარები გადამწყვეტ ფაქტორად აქცია ინდივიდის კარიერული წარმატებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი (ტექნიკური) უნარები მნიშვნელოვანია, შრომის ბაზრის ცვალებადობის და გაურკვევლობის პირობებში, ისინი აღარ იძლევიან პროფესიული მდგრადობის გარანტიას. სანაცვლოდ, საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა რბილ უნარებზე და World Economic Forum-ის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, 2027 წლისთვის დასაქმებულთა ნახევარს მაინც დასჭირდება გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ტექნოლოგიების დაჩქარებული ზრდის და ბაზრის მიერ წამოყენებული მოთხოვნების გამო. ამ კონტექსტში, რბილი უნარები წარმოიშვა როგორც კრიტიკული აქტივი იმ დასაქმებულთათვის, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ და მართონ თავიანთი კარიერა მიმდინარე შრომის ბაზარზე.

ავტომატიზაციამ და ხელოვნურმა ინტელექტმა მრავალი ტრადიციული როლი მოძველებულად აქცია, პარალელურად კი, შეიქმნა მოთხოვნა ახალი ტიპის სამუშაოებზე, რომელიც მოითხოვს ინტერდისციპლინურ ცოდნას და ძლიერ შემეცნებით შესაძლებლობებს. დისტანციური, დროებითი, გეოგრაფიული საზღვრების გარეშე სამუშაოების და თავისუფალი ეკონომიკის ზრდამ, გააძლიერა ისეთი პერსონალის საჭიროება, რომლებიც სწრაფად ადაპტირდებიან ცვალებადი ორგანიზაციული კულტურის და ციფრული პლატფორმების სირთულეებთან და ინარჩუნებენ პროდუქტიულობას არსებულ პირობებში.

21-ე საუკუნე მოითხოვს პერსონალს, რომელიც არა მხოლოდ ტექნიკური ცოდნებით არის აღჭურვილი, არამედ ფლობს იმ ესენციურ უნარებს, რაც მოქნილს ხდის მას სწრაფი ცვლილებების პირობებში. რბილი უნარები არის ის ფუნდამენტი, რომელზეც იგება კარიერული მდგრადობა, რაც საშუალებას აძლევს ინდივიდებს გადალახონ თანამედროვე სამუშაო გარემოს გამოწვევები და დარჩნენ

კონკურენტუნარიანები გლობალურ შრომის ბაზარზე. კომუნიკაციის, ემოციური ინტელექტის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, გუნდური თანამშრომლობისა და ადაპტაციის უნარების განვითარებაში ინვესტიციებით, პროფესიონალებს შეუძლიათ უზრუნველყონ პერსონალური და გრძელვადიანი კარიერული წარმატება და ამასთან, წვლილი შეიტანონ თავიანთი ორგანიზაციების ზრდაში. შესაბამისად, რბილი უნარების ფლობა არის როგორც ინდივიდუალური, ასევე ორგანიზაციული კარიერული მდგრადობის გასაღები.

საკვანძო სიტყვები: რბილი უნარები, კარიერა, კარიერული მდგრადობა, განვითარება, შრომის ბაზარი.

Soft Skills in Career Development: Key for Long-Term Professional Success

Abstract

The rapid evolution of the global economy, driven by technological advancements, shifting labor market demands, and increased globalization, has made soft skills a crucial factor for career success. Hard skills, while essential, no longer guarantee professional resilience in the face of uncertainty. Instead, the demand for soft skills has risen significantly. The World Economic Forum estimates that by 2027, half of all employees will need to reskill or upskill due to the accelerated adoption of technology and shifts in market demand. In this context, soft skills have emerged as critical assets for professionals aiming to sustain their career trajectory.

Automation and artificial intelligence have rendered many traditional roles obsolete, while simultaneously creating demand for new types of work that require interdisciplinary knowledge and strong cognitive abilities. The rise of remote work, freelancing, and the gig economy has intensified the need for workers who can adapt quickly to new environments and remain productive in uncertain conditions. The modern workplace requires individuals who navigate the complexity of shifting organizational cultures, digital platforms, and collaborative networks.

The 21st century demands a workforce that is not only technically proficient but also resilient and adaptable in the face of rapid change. Soft skills are the foundation upon which career resilience is built, enabling individuals to navigate the challenges of modern work environments and remain competitive in the global labor market. By investing in the development of communication, emotional intelligence, problem-solving, collaboration, and adaptability,

professionals can ensure their long-term success and contribute to the growth of their organizations. So, the mastery of soft skills will serve as the key to both individual and organizational resilience.

Key words: career, self-determination, skill development, management, labor market.

შესავალი

სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლის, გლობალიზაციისა და სამუშაო ადგილის დინამიკის ცვლილების ეპოქაში, კარიერის განვითარების კონცეფცია გასცდა ტექნიკური ცოდნისა და ძლიერი უნარების საზღვრებს, რითაც ხაზი გაესვა რბილი უნარების მნიშვნელოვან როლს. რბილი უნარები, რომლებიც მოიცავს ინტერპერსონალურ, ემოციურ და კოგნიტურ შესაძლებლობებს, სულ უფრო ხშირად აღიარებენ კარიერული მდგრადობის, ადაპტაციის და გრძელვადიანი პროფესიული წარმატების ფუნდამენტურ ქვაკუთხედად. ძლიერი უნარებისგან განსხვავებით, რომლებიც გაზომვადია და ხშირად სპეციფიკურია კონკრეტული სამუშაო როლისთვის, რბილი უნარები უფრო აბსტრაქტულია, მაგრამ ფასდაუდებელია პროფესიული ზრდის, ეფექტიანი თანამშრომლობისა და ლიდერობისთვის.

დღევანდელ კონკურენტულ გარემოში, სადაც ტექნიკური უნარები შეიძლება სწრაფად მოძველდეს ავტომატიზაციისა და დიჯიტალიზაციის სწრაფი განვითარებისგამო, ყოველდღიურად იზრდება აქცენტი ადამიანზე ორიენტირებულ ისეთ უნარებზე, როგორცაა კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი, ადაპტირობა და პრობლემების გადაჭრა (Fitzgerald R., 2020), რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს ნავიგაცია გაუწიონ კარიერულ ტრაექტორიას, ადაპტირდნენ რთულ სოციალურ გარემოში, მოერგონ მრავალფეროვან სამუშაო გარემოს და დარჩენენ კონკურენტუნარიანები თანამედროვე შრომის ბაზარზე. დამსაქმებლები მეტად აფასებენ პოტენციურ თანამშრომლებსა და უკვე არსებულ თანამშრომლებში ყველაზე მოთხოვნად რბილ უნარებს, მიუთითებენ მათ მნიშვნელობაზე კარიერის განვითარების ყველა ეტაპსა და სექტორში, თუმცა, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, რბილი უნარები ხშირად ნაკლებად არის წარმოდგენილი ფორმალური განათლების საფეხურებზე, რაც ქმნის უფსკრულს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სამუშაოს მაძიებლის შესაძლებლობებს შორის, რომელიც ინდივიდებმა და ორგანიზაციებმა უნდა აღმოფხვრან მდგრადი პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის.

უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები ხაზს უსვამს კარიერის ტრაექტორიებზე რბილი უნარების სასიცოცხლო ზეგავლენას. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმზე მოცემული 2023 წლის ანგარიშში, განსაზღვრულია პრობლემების გადაჭრის, თვითმენეჯმენტის და ადამიანებთან მუშაობის უნარები, როგორც მომავლის მთავარი უნარები, რაც მიუთითებს სხვადასხვა პროფესიაში, ადამიანებზე ორიენტირებული უნარების შეფასებისკენ გლობალურ სკლას. ეს კომპეტენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ როლებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მომხმარებელთან ხშირ ურთიერთობასა და ურთიერთქმედებას, რაც ხაზს უსვამს ადაპტირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებლობას (World Economic Forum 2023).

ეროვნული რბილი უნარების ასოციაციის (National Soft Skills Association) მიხედვით, რბილი უნარები, რომლებიც მოიცავს კომუნიკაციას, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას, ადაპტაციის უნარს, ემოციურ ინტელექტსა და დროის მენეჯმენტს, აუცილებელია სამუშაო ადგილზე თანამშრომლობის, ურთიერთობისა და გუნდური მუშაობისათვის. თუმცა რბილი უნარების ნაკლებობა მწვავე გამოწვევაა თანამედროვე შრომის ბაზარზე, რომელიც განსაკუთრებით სახიერად ჩანს ინდივიდების განათლებიდან სამუშაო ბაზარზე ტრანზიციის დროს, რაც გავლენას ახდენს მათ დასაქმებასა თუ ორგანიზაციულ კულტურაში ინტეგრაციაზე. ეს უფსკრული ხშირად აფერხებს პროფესიულ ზრდას, რადგან ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ ძლიერი ფსიქო-სოციალური უნარები, შეიძლება გაუჭირდეთ გუნდების ხელმძღვანელობა, ინოვაციების მართვა ან სწრაფი ტემპით ეფექტიანი ადაპტირება სამუშაო გარემოში. რბილი უნარები წარმოადგენს კარიერული განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს და თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, მათი განვითარების გარეშე შეუძლებელია პროფესიონალურ სფეროში წარმატების მიღწევა. (National Soft Skills Association, 2021).

ეს სტატია გთავაზობთ რბილი უნარების შესახებ უახლესი ლიტერატურის ანალიტიკურ მიმოხილვას, რომლებშიც ხაზგასმულია რბილი უნარების მნიშვნელოვანი როლი გრძელვადიანი კარიერული წარმატების ხელშეწყობაში. წამყვანი მკვლევარების შეხედულებების სინთეზის მეშვეობით, კვლევა განიხილავს, თუ როგორ მოქმედებს და რა გავლენას ახდენს კარიერულ ტრაექტორიებსა და ორგანიზაციულ შედეგებზე რბილი უნარები, ისეთი როგორებიცაა კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ემოციური ინტელექტი, ადაპტირობა, პრობლემების გადაჭრა და გუნდური მუშაობა. ამ სტატიაში ასევე

ვიკვლევთ რბილი უნარების გაზომვისა და განვითარების კუთხით არსებულ გამოწვევებს, ვთავაზობთ განათლების სფეროსა და სამუშაო ადგილზე მათი განვითარების მეთოდებს და სამომავლო კვლევების მიმართულებებს რბილი უნარების კარიერული განვითარების ჩარჩოში ინტეგრირებისთვის, როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციულ კონტექსტში.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

კვლევა ხაზს უსვამს რბილი უნარების მნიშვნელობას კარიერული წარმატებისა და სამუშაოთი კმაყოფილებისთვის. Robles, M. M (2021) მიერ ჩატარებულმა ცნობილმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანური რესურსების მენეჯერების 80%-ზე მეტმა, რბილი უნარები განიხილა, როგორც დასაქმებისა და პროფესიული წინსვლის პოტენციალის აუცილებელი კომპონენტები, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა მენეჯმენტი და ადამიანური რესურსები. ანალოგიურად, D. Goleman (2019) ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ემოციური ინტელექტი მნიშვნელოვნად აძლიერებს ლიდერობის ეფექტიანობას და წარმოადგენს თანამშრომელთა ჩართულობისა და პროდუქტიულობის კრიტიკულ პრედიქტს.

კვლევებმა ასევე გამოავლინა, რომ ადაპტიურობის უნარი, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით გლობალურ სამუშაო გარემოში სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით. დარგებსშორის კვლევაში, Narayan-a and Narayan-b (2022) ხაზს უსვამდნენ, რომ თანამშრომლები, რომლებიც აჩვენებდნენ ადაპტაციის უნარს, უკეთესად ახერხებენ კრიზისებზე რეაგირებას, გუნდურ გარემოში ინტეგრირებას და ნერგავენ ინოვაციებს ზეწოლის პირობებში. უფრო მეტიც, სამუშაო ადგილები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ადაპტირებას, მეტად მდგრადი იყო COVID-19 პანდემიის დროს.

Adams and Doyle (2018) განგრძობადი კვლევის მიხედვით, კარგად განვითარებული რბილი უნარების მქონე სპეციალისტები, გაცილებით მოქნილად გადაადგილდებიან კარიერულ ტრაექტორიებზე, იქნება ეს დაწინაურება, ინდუსტრიის ცვლილება თუ სხვადასხვა პროფესიული როლზე გადასვლა. ეს გამძლეობა ხაზს უსვამს ისეთი უნარების მნიშვნელობას, როგორცაა ემოციური ინტელექტი, რომელიც ეხმარება ურთიერთობების მართვასა და თვითრეგულირებაში (C. Cherniss, 2020). გარდა ამისა, ადაპტიურობა და პრობლემების გადაჭრის უნარები დაკავშირებულია კარიერული ზრდის უფრო მაღალ ტემპთან და გაურკვეველი ეკონომიკური კლიმატის პირობებში სამუშაოს სტაბილურობასთან (Bhattacharya & Sen, 2023).

რბილი უნარების გაზომვა რთული საკითხია, რომლიც ფართოდ არის განხილული ბოლოდროინდელ კვლევებში, რადგან შრომის ბაზარზე ამ უნარებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძნელია მათი რაოდენობრივი შეფასება თანდაყოლილი სუბიექტური და კონტექსტზე დამოკიდებული ბუნების გამო. ტექნიკური უნარებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად შეიძლება შეფასდეს სტანდარტიზებული ტესტების გამოყენებით, რბილი უნარები მოითხოვს შეფასების უფრო ნიუანსურ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ ინდივიდუალურ ქცევას, სიტუაციურ ფაქტორებს და ინტერპერსონალურ დინამიკას. Robles, M. M (2020), მიხედვით, რბილი უნარების გაზომვა გულისხმობს ინდივიდუალური კომპეტენციების შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში, რაც ართულებს სტანდარტიზებული კრიტერიუმების ჩამოყალიბებას. ის ამტკიცებს, რომ ამ უნარების შეფასების სანდო მეტრიკა არ არის საკმარისად განვითარებული და არსებული შეფასებები ხშირად არათანმიმდევრულია და დიდწილად ეყრდნობა შემფასებლების სუბიექტურ დასკვნებს. რბილი უნარების საზომ ინსტრუმენტებში ობიექტურობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მიკერძოებული შეფასებები, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ ვალიდობას და სანდოობას. Meyer et al (2021) ამტკიცებენ, რომ რბილი უნარები ხშირად ყალიბდება პიროვნული ღირებულებებით, გამოცდილებით და სოციალურ-კულტურული გავლენებით, რაც იმას ნიშნავს, რომ შესწავლის მიმართ მიდგომა, რომ ყველა ერთი საზომით გაიზომოს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეფექტიანი იყოს.

ზოგიერთი მკვლევარი, შეეცადა ამ საკითხების მოგვარებას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით და გამოთქვას ვარაუდი, რომ AI-ს შეუძლია რბილი უნარების უფრო ობიექტური გაზომვა ქცევითი, შესრულების და უკუკავშირის გაანალიზებით, რამაც შეიძლება შეამციროს შეფასების დროს ადამიანის მიკერძოებული გავლენა. თუმცა, აქვე აღიარებენ, რომ AI -ს ჯერ კიდევ არ შეუძლია სრულად აითვისოს რბილი უნარების რთული ინტერპერსონალური ბუნება და ამასთან, არსებობს ეჭვი კონფიდენციალობის დაცვის, მონაცემთა უსაფრთხოების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური შედეგების სანდოობის მიმართ.

ასევე სირთულეს წარმოადგენს სწავლებისა და ტრენინგის შემდგომ დასაქმებულთა რბილი უნარების რაოდენობრივი გაზომვა სტანდარტიზებული საზომი ხელსაწყოების არარსებობის გამო. Santos and Almeida (2021) ხაზს უსვამენ, რომ ბევრ ორგანიზაციას უჭირს რბილი უნარების ტრენინგებში (ROI) შეფასება, რადგან ცოდნის ზრდა რბილი უნარების განვითარება არ არის მყისიერად

გაზომვადი შედეგები. ისინი ამტკიცებენ, შედეგების გასაზომად აუცილებელია გრძელვადიანი დაკვირვება და კვლევები, თუმცა ბევრ ორგანიზაციას არ აქვს რესურსი მსგავსი შეფასების სისტემის დასანერგად.


Jackson, D., & Hancock, P. (2021) მიხედვით, რბილ უნარებს მნიშვნელოვანი წვლილს შეაქვს სამუშაოთი კმაყოფილებასა და თანამშრომელთა შენარჩუნებაში, ძლიერი ინტერპერსონალური და ემოციური უნარების მქონე ადამიანები, ხშირად უკეთესად არიან აღჭურვილი კონფლიქტების გადაჭრასა და მოქნილობაზე შიდაორგანიზაციული როლების ცვლილებების დროს. რბილი უნარების მზარდმა აღიარებამ განაპირობა ესენციური უნარების განვითარების კომპონენტების ჩართვა საგანმანათლებლო და კორპორატიულ ტრენინგ პროგრამებში. მიუხედავად იმ გამოწვევების, რომელიც თან ახლავს რბილი უნარების გაზომვა-შეფასებას, ამ კომპეტენციების განვითარების მზარდი საჭიროება მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს შეფასების მეთოდების, ვალიდობისა და სანდოობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, Narvaez (2021) შემოიტანა ჰოლისტიკური მოდელი, რომელიც აერთიანებს მაინდფულნესის, ემოციური ინტელექტის და გუნდური მუშაობის სიმულაციის სავარჯიშოებს. ნარვაეზის მოდელმა, რომელიც დანერგილია მრავალეროვნულ კომპანიებში, გააუმჯობესა გაზომვის შესაძლებლობები როგორც ინდივიდუალური პროდუქტიულობის, ასევე გუნდური თანამშრომლობის თვალსაზრისით.

ანალიზი და დისკუსია

უახლესი ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ რბილი უნარები, მეცნიერების და მკვლევარების ლიტერატურაში ხაზგასმულია, როგორც ესენციური უნარები და მთლიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიული ორიენტირების დასახვასა და კარიერის განვითარებაში, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებები პრიორიტეტული რიგითობის შესახებ. მაგალითად, D.Goleman et al. (2017) პრიორიტეტს ანიჭებენ EI-ს, ხაზს უსვამენ მის როლს ემოციურ მდგრადობასა და სტრესის მართვაში. ამის საპირისპიროდ, Fitzgerald R(2020) მხარს უჭერს ადაპტიურობის მნიშვნელობას EI-სთან ერთად და აცნობიერებენ მის მნიშვნელობას სწრაფად ცვალებად სამუშაო ლანდსაფტზე. ანალოგიურად, კომუნიკაცია, რჩება ფუნდამენტურ უნარად, რომელსაც Mosquera et al. (2023) აფართოებს და ამატებს ციფრული კომუნიკაციების უნარსაც. უფრო მეტიც, სანამ პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარები უმნიშვნელოვანესია, ეჭვგარეშეა, რომ კრიტიკული აზროვნებისა და ადაპტიურობის უნარების კომბინაცია იწვევს უკეთეს

კარიერულ შედეგებს, განსაკუთრებით ეკონომიკური რყევების, შრომითი ბაზრის თუ კარიერული გაურკვევლობის დროს. მდგრადობის თვალსაზრისით, ასევე ეჭვგარეშეა, რომ გამძლეობა შეუცვლელია მდგრადი კარიერული ზრდისთვის, განსაკუთრებით მაღალი წნეხის პროფესიული როლებში ყოფნის დროს.

ცხრილი 1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წლიური ანგარიში, 2023წ.



World Economic Forum-ზე გამოქვეყნებული უნარების გლობალური ტაქსონომიის მიხედვით, Future of Jobs Report 2023-ის კვლევაში, რვა ჯგუფად კლასიფიცირებულია რბილი უნარები და მოყვანილია ვარაუდი მათი მნიშვნელობის მოსალოდნელი ზრდის ან შემცირების თაობაზე მომდევნო ხუთი წლის მანძილზე.

ამ კვლევაში გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან ესენციურ უნარს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2023 წლის ანგარიშში და განხილული ლიტერატურის მონაცემებით პრიორიტეტულია კარიერული განვითარებისა და მდგრადობისთვის.

კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ფორმებს, არის ურთიერთობების დამყარების, მოლაპარაკებისა და ეფექტიანი თანამშრომლობის საფუძველი ორგანიზაციებში. კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნარები საშუალებას აძლევს ადამიანებს მკაფიოდ გადმოსცენ

იდებენ, მოუსმინონ აქტიურად სხვებს და შინაარსიანად ურთიერთქმედებდნენ სხვებთან. კომუნიკაცია არის დინამიური უნარი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის ციკლს, რომლებიც საჭიროა უწყვეტი სწავლის, კვალიფიკაციის ზრდისა და პროდუქტიულობისთვის.

ემოციური ინტელექტი, რომელიც განსაზღვრულია გოლემანის მიერ, როგორც ემოციების გაგების, მართვისა და გამოყენების უნარი საკუთარ თავსა და სხვებში, არის კარიერული წარმატების და სამუშაოთი კმაყოფილების ძლიერი პრედიქტი. EI მოიცავს თვითცნობიერებას, თვითრეგულირებას, სოციალურ ცნობიერებას და ურთიერთობების მართვას, რაც გადამწყვეტია სამუშაო ადგილზე ინტერპერსონალური ეფექტიანობისთვის. Cherniss (2020) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი EI დაკავშირებულია თანამშრომლების უფრო დიდ კმაყოფილებასთან, გამძლეობასთან, დაბალ გადინებასთან, კონფლიქტების კონსტრუქციულ მართვასა და პოზიტიურ სამუშაო ურთიერთობებთან, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს გუნდის პროდუქტიულობას და ორგანიზაციულ კულტურას.

ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციის სწრაფმა ტემპმა **ადაპტირების უნარი** კარიერული უნარების წინა პლანზე გადმოანაცვლა. ადაპტაცია, ანუ ახალ პირობებთან და მოთხოვნებთან ადაპტაციის უნარი საშუალებას აძლევს ადამიანებს განვითარდნენ გაურკვეველ და ცვალებად კონტექსტში. მოქნილი თანამშრომლები, კრიზისის ან ტექნოლოგიური ცვლილებების დროს წარმატებით პასუხობენ გამოწვევებს და იყენებენ ახალ შესაძლებლობებს. Narayan-a and Narayan-b (2022) ასევე დაადგინეს, რომ ადაპტირებადი თანამშრომლები უფრო ინოვაციურები არიან, მზად არიან მიიღონ და გაუმკლავდნენ ახალ ამოცანებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ მრავალფუნქციურ გუნდებში - ეს ის თვისებებია, რომლებმაც კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინა პოსტ-პანდემიურ სამუშაო გარემოში.

იმდენად რამდენადაც, სამუშაო ადგილები უფრო თანამშრომლობითი და დეცენტრალიზებული ხდება, გუნდური მუშაობა კარიერული წინსვლის კრიტიკულ უნარად იქცა. ეფექტიანი **გუნდური მუშაობა** გულისხმობს არა მხოლოდ სხვებთან კარგად თანამშრომლობას, არამედ ჯგუფის დინამიკის მართვას, სხვადასხვა თვალსაზრისის პატივისცემას და გუნდური მიზნების მიღწევას. გუნდურობის ძლიერი უნარების მქონე პროფესიონალებს, უკეთ შეუძლიათ ნდობის მოპოვება, ინკლუზიის ხელშეწყობა და გუნდების შიგნით ჩართულობის მაღალი დონის შენარჩუნება. ეს უნარი განსაკუთრებით ღირებულია მულტიკულტურულ და მრავალფუნქციურ გუნდებში, სადაც თანამშრომლობა

არის ინოვაციის და პრობლემის გადაჭრის გასაღები. დამსაქმებლები სულ უფრო მეტად ეძებენ ისეთ კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ გუნდური მუშაობის უნარი და განიხილავენ მათ, როგორც მაღალი ხარისხის სამუშაო გარემოს მხარდამჭერ მნიშვნელოვან კონტრიბუტორებს.

პრობლემის გადაჭრა არის სიტუაციების შეფასების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების შემუშავების უნარი. ეს არის არსებითი უნარი, როცა პროფესიონალებს ხშირად უწევთ ინფორმირებული და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღება ზეწოლის ქვეშ. პრობლემის ეფექტიანი გადაჭრა გულისხმობს ანალიტიკურ აზროვნებას, კრეატიულობას, გონივრული განსჯის უნარს და პროფესიონალებს აძლევს შესაძლებლობას პრობლემა გადაჭრან სტრუქტურირებული აზროვნებით, დაძლიონ რთული პრობლემები და მიიღონ ეფექტიანი, მდგრადი გადაწყვეტილებები.

კრიტიკული აზროვნება არის ინფორმაციის ობიექტურად შეფასების, სხვადასხვა თვალსაზრისის განხილვისა და ინფორმირებული განსჯის უნარი. ფუნდამენტურია გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღება, რადგან ის მოითხოვს ვარაუდების შეფასებას, მიკერძოების გამოვლენას და ინფორმაციის ლოგიკურ ანალიზს. კრიტიკული აზროვნება განსაკუთრებით მოთხოვნილია კომპეტენციაა ტოპ-მენეჯმენტში, კვლევებში და იმ პოზიციებზე, რომლებიც მოითხოვს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას. კრიტიკული აზროვნების განვითარებით, პროფესიონალებს შეუძლიათ მეთოდურად მიუდგენენ პრობლემებს, განჭვრიტონ პოტენციური რისკები და იპოვონ გადაწყვეტილებები, რომლებიც იქნება როგორც ინოვაციური, ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული. გარდა ამისა, კრიტიკული აზროვნება აძლიერებს ადამიანის თვითრეფლექსიის უნარს, რაც ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

თითოეული ეს უნარი - კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი, ადაპტაციის უნარი, გუნდური მუშაობა, პრობლემების გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება - არის კარიერული უნარების ჰოლისტური ნაკრების მნიშვნელოვანი მდგენელები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს პროფესიონალებს რთულ სამუშაო გარემოში ნავიგაციის, პროდუქტიული ურთიერთობების განვითარების და ორგანიზაციულ მიზნებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაში. ინდივიდებისთვის ეს კომპეტენციები ზრდის მდგრადობას, სამუშაო კმაყოფილებას და კარიერულ მობილობას, რადგან მათ შეუძლიათ შეცვალონ და შეეგუონ სხვადასხვა სამუშაო როლებსა და პასუხისმგებლობებს თავიანთ პროფესიულ ცხოვრებაში. ორგანიზაციებისთვის, ძლიერი რბილი უნარების მქონე თანამშრომლები აღწევენ

უკეთეს შედეგებს, მათ შორის გუნდის გაზრდილ პროდუქტიულობას.

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ესენციური უნარების ინტეგრირება როგორც საგანმანათლებლო, ისე პროფესიული განვითარების პროგრამებში აუცილებელია მომავლისთვის მზადობის მქონე სამუშაო ძალის განვითარებისთვის. უკვე ბევრი ორგანიზაცია ანიჭებს უპირატესობას რბილი უნარების ტრენინგ-პროგრამებს, ვორქშოპებს, მენტორულ პროგრამებს და ქოუჩინგს. ეს ინიციატივები მიუთითებს რბილი უნარების მზარდ აღიარებაზე, არა მხოლოდ ინდივიდუალური კარიერული წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, არამედ ორგანიზაციული მდგრადობისა და ზრდისკენ.

დასკვნები და რეკომენდაციები

განხილული ლიტერატურა აჩვენებს, რომ რბილი უნარები არის არა თავისთავად ცალკე მდგომი კომპეტენციები, არამედ დინამიურად ურთიერთქმედებენ ძლიერ უნარებთან, რათა ხელი შეუწყონ გრძელვადიან კარიერულ წარმატებას. მაგალითად, ინდივიდები, რომლებიც გამოირჩევიან ემოციური ინტელექტით, ხშირად ეფექტიანი კომუნიკატორები და გუნდური მოთამაშეები არიან, რაც ზრდის მათი ლიდერულ პოტენციალს და პროფესიულ ადაპტურობას (Robles, 2018; Biswas-Diener, 2021). ამ კვლევებში შესამჩნევია ტენდენცია, რომ რბილი უნარები ამცირებს ისეთ რისკებს, როგორცაა ემოციური გადაწვა და სამუშაოთი უკმაყოფილება, ხოლო მდგრადობის, ემოციური ინტელექტის, კრიტიკული აზროვნების, ადაპტურობის და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებით ადამიანებს შეუძლიათ უკეთესად გადალახონ პროფესიული გამოწვევები და შეინარჩუნონ კარიერული კეთილდღეობა და სამუშაო-ცხოვრების ბალანსი. ამ მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და დამსაქმებლებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი ესენციური უნარების განვითარებას სტრუქტურირებული პროგრამების მეშვეობით. როდესაც გლობალური სამუშაო ბაზარი გადადის ავტომატიზაციაზე და AI-ზე ორიენტირებულ ამოცანებზე, რბილი უნარებით უზრუნველყოფილი ადამიანური ფაქტორი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ამავედროულად საშუალებას აძლევს ადამიანებს განვითარდნენ ტექნოლოგიური მიღწევების კვალდაკვალ.

რეკომენდაციის სახით, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას, რომ ფორმალური განათლების საფეხურზე პროფესიული თვითგამორკვევის და უნარების განვითარების მიზნით დაინერგოს კარიერული კონსულტირების

სისტემა, რომელიც უკვე საშუალო სკოლის საფეხურზე ფოკუსირებული იქნება ისეთი ესენციური უნარების განვითარებაზე, როგორცაა თვითგამორკვევა, თვითმართვა, კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, რაც ქმნის მომავალ სამუშაო ძალას. ასევე, დამსაქმებლებმა უნდა განიხილონ ინდივიდის რბილი უნარების შეფასება თანამშრომლობის პროცესში, რათა ინდივიდუალური ძლიერი მხარეები ორგანიზაციულ მიზნებთან გააერთიანონ, შეუწყონ რბილი უნარების ინტეგრირებას ორგანიზაციულ ტრენინგ პროგრამებში, უწყვეტი განვითარების ჩარჩოების შექმნასა და კარიერული კონსულტაციის და ქოუჩინგის გამოყენებას, რათა დაეხმარონ ინდივიდებს ამ უნარების კრიტიკული როლის გაგებაში და წარმატებული კარიერული ნავიგაციისთვის მუდმივად ცვალებად კარიერულ ლანდშაფტზე.

რბილი უნარების კარიერული ჩარჩოში ინტეგრირებისთვის, სამომავლო კვლევის თემა: „რბილი უნარების მნიშვნელობა პროფესიული არჩევნის პროცესში“. რაც მნიშვნელოვნად მოახდენს გავლენას ფორმალური განათლების საშუალო საფეხურზე მომავალი პროფესიონალების მომზადებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Adams, P., & Doyle, T. (2018). *Soft Skills and Career Transitions: A Longitudinal Study*. Journal of Career Development, 45(4), pp. 324–340
2. Bhattacharya, S., & Sen, A. (2023). *Adaptability and Career Resilience in Volatile Work Environments*. Human Resource Management Journal, 39(2), pp. 102–119.
3. Cherniss, C. (2020). *Emotional intelligence: Toward clarification of a concept*. *Industrial and Organizational Psychology*, 13(1), 1-19. doi:10.1017/iop.2020.4
4. Fitzgerald, R. (2020). *Adaptability in Career Development: Strategies for the Modern Workforce*. Career Development Quarterly, 68(4), pp. 345-360.
5. Goleman, D. (2019). *Emotional Intelligence in the Workplace*. New York: Random House.
6. Goleman, D., et al. (2017). *Emotional Intelligence and Career Success: A Meta-Analysis*. Psychological Science, 28(7), pp. 861-869.
7. Jackson, D., & Hancock, P. (2021). "Interpersonal Skills and Career Satisfaction." *Journal of Applied Psychology*.
8. Mosquera, L., et al. (2023). *Digital Communication Competencies for the Modern Career: A Cross-Sectional Analysis*. International Journal of Business Communication, 55(3), pp. 383-402.
9. Meyer, B., Fleckenstein, J., Kauffeld, S., & Krumm, S. (2021). *The role of soft skills in employability: A systematic review and research agenda*. *Frontiers in Psychology*, 12, 727234. doi:10.3389/fpsyg.2021.727234
10. Narvaez, M. (2021). *Soft Skills in Multinational Organizations: A Holistic Training Model*. Journal of Applied Behavioral Science, 57(3), pp. 203–220.
11. National Soft Skills Association. "The Value of Soft Skills in the Labor Market." National Soft Skills Association. National Soft Skills Association; [ps://www.nationalsoftskills.org/the-value-of-soft-skills-in-the-labor-market/](https://www.nationalsoftskills.org/the-value-of-soft-skills-in-the-labor-market/)).
12. Narayan, A., & Narayan, S. (2022). The role of soft skills in career resilience and adaptability: Implications for professional development. *Journal of Career Studies*, 30(3), pp. 275-290.
13. Robles, M. (2021). *Employer Perspectives on Soft Skills: An Analysis of Trends*. Journal of Business and Psychology, 36(5), pp. 389–407.
14. Robles, M. M. (2022). "Soft Skills and the Workforce: Navigating Career Resilience." *Career Development Quarterly*.
15. Santos, J., & Almeida, M. (2021). Soft skills assessment in higher education: A systematic review. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 18(8), 4173. <https://doi.org/10.3390/ijerph18084173>
16. World Economic Forum. (2023). Future of Jobs Report 2023; p-.38 https://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs_2023.pdf

პოლიტიკური მარკეტინგის თანამედროვე გამოწვევები, ამომრჩევლის განწყობის კვლევა „მარკეტინგული ინსტრუმენტების ეთიკური დილემა და პოლიტიკური ფიგურის მიმართ გამონატული თანამედროვე მოთხოვნები“

დოქტორი, მაგდა კოტრიკაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

„პოლიტიკური მარკეტინგი“ ყოველ არჩევნებზე მნიშვნელობას არ კარგავს. პირიქით, მარკეტინგული ტექნიკების ახლებური გამოყენება, მიგნებები და სიახლეები არჩევნებისთვის დღესაც უმთავრეს გამოწვევად რჩება. მეორე მხრივ, კი 21-ე საუკუნის მედიის, როგორც გლობალური გამოყენების და ფართო მასებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი მსოფლიოში და უმეტესწილად განვითარებად ქვეყნებში, ისეთი როგორიც საქართველოა, შეუცვლელ როლს იტოვებს. პოლიტიკურ მარკეტინგში გამოვყოფთ რამდენიმე ფაზას და დეტალურად შევხებით მის ფსიქოლოგიურ და სტრატეგიულ კომპონენტებს.

ასევე განვიხილავთ, პოლიტიკური კამპანიების სახეებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, შეფასებებს და ანალიზს სხვადასხვა საერთაშორისო მკვლევართა მიერ. ასევე, ვისაუბრებთ პიარისა და მარკეტინგის კვებების, პოლიტიკისა და პოლიტიკური მარკეტინგის კავშირსა და სხვაობას, მათ სახეებსა და სამოქმედო ინსტრუმენტებს.

ხშირია, როდესაც საარჩევნო პროცესები მარკეტინგულად დაუგეგმავად ვითარდება, კრეატიული მორგების ჩარჩოს ცდება და ავითარებს ქაოსურ ქმედებას. პოლიტიკური მარკეტინგის „ამ ჟანრში“ ფართო ასპარეზი ეძლევა ერთმანეთისგან გამომრიცხავ მესიჯებს და პარალელურ უხეშ კვეთას, წამოცდენებს, ლოგიკური ჯაჭვის არქონას. შევხებით, ლოგოს, სლოგანის და სხვა მაინდიფიცირებელი კომპონენტების მნიშვნელობას. მასმედიის, პოლიტიკური რეკლამის, კანდიდატის ბრენდინგის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვალდაკვალ ეს და სხვა მნიშვნელოვანი თემა განხილული იქნება სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური, მარკეტინგი, გამოწვევები, ამომრჩეველი, მარკეტინგული ინსტრუმენტები, დილემა, ეთიკა, პოლიტიკური ფიგურა

Contemporary Challenges of Political Marketing, Voter Attitude Survey “Ethical Dilemma of Marketing Tools and Contemporary Demands Expressed to a Political Figure”

Abstract

I chose this topic based on its relevance, as “political marketing” remains important in every election. On the contrary, the new application of marketing techniques, findings, and innovations remains the primary challenge for elections today. On the other hand, the media of the twenty-first century, as a tool of global use and impact on the masses, continues to play an indispensable role in the world, particularly in developing countries like Georgia. We will distinguish several phases in political marketing and discuss its psychological and strategic components in detail.

We will also look at the different types of political campaigns, their strengths and weaknesses, and the evaluations and analyses provided by various international researchers. We will also discuss the similarities and differences between PR and marketing intersections, politics and political marketing, and their various types, and action tools.

It is common for election processes to develop unplanned in terms of marketing, missing the frame of creative adjustment, and resulting in chaotic action. In this “genre” of political marketing, a large arena is given to mutually exclusive messages and a parallel crude intersection; there appears to be no logical chain. We will discuss the meaning of the logo, slogan, and other identifying elements. The article will discuss mass media, political advertising, candidate branding, and other important issues.

Keywords: political, marketing, challenges, voter, marketing tools, dilemma, ethics, political figure

შესავალი

პოლიტიკური მარკეტინგის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია. ის სამ მეცნიერებას: მარკეტინგს, პოლიტიკურ მეცნიერებას და კომუნიკაციას მოიცავს (PR). პოლიტიკური მარკეტინგი სათავეს ბიზნეს მარკეტინგიდან იღებს, ტერმინი კი 1956 წელ პირველად მეცნიერმა დენილ კელიმ გამოიყენა წიგნში „პროფესიონალური საჯარო ურთიერთობები“. ის პირველი იყო, ვინც პოლიტიკურ კონსულტირებაზე ალაპარაკდა. თუმცა, მალევე არ დაიწყო

აქტიური პროცესი ათეული წელი დასჭირდა იმას რომ პოლიტიკური მარკეტინგი როგორც განყენებული მეცნიერება ცალკე შეესწავლა. შეგვიძლია მისი განვითარების ოთხი მეთოდის გამოყოფა (Holtz-Bacha, 2020).

მარკეტინგზე ბევრი განმარტება არსებობს, მაგალითად კოლტერის და არმსტრონგის „მარკეტინგის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „მარკეტინგი არის მყიდველებთან მომგებიანი ურთიერთობის მართვა“ (კოლტერი & არმსტრონგი, 202). ამ განსაზღვრებაში, ისიც არის საინტერესო, რომ იტევს პოლიტიკური მარკეტინგის მთავარ მიზანსაც, რომ კანდიდატისთვისაც და პოლიტიკური მარკეტოლოგისთვისაც მომგებიანი უნდა იყოს ეს გარიგება. პოლიტიკური ფიგურა, თუ ჩინიანი საჯარო მოხელე ისე უნდა „მივყიდოთ“ საზოგადოებას, რომ მან ის მიიღოს, მოიწონოს და უგულშემატკივროს. თუ ასე არ მოხდა, როგორც მინიმუმ არ აუმხედრდეს და არ განუდგეს. მით უფრო, რომ სახალხო გამოსვლებით, მიტინგებით, საქართველო, ნამდვილად არ ჩამოუვარდება არც ერთ განვითარებად ქვეყანას.

ამერიკული მარკეტინგული ასოციაცია შემდეგნაირად ხსნის მარკეტინგს: „საქონლისა და მომსახურებათა ნაკადების, ბიზნეს პროცესების მწარმოებლისგან მომხმარებლისკენ წარმართვაა“ ჯერიმ მაკარტი კი ფიქრობს რომ მარკეტინგი წარმოადგენს „მყიდველის ან მომხმარებლის საჭიროების წინასწარ განჭვრეტის საშუალებით ორგანიზაციის მიზნების მიღწევისკენ მიმართული მოქმედების განხორციელება (რაისი, 2019).“

ჩემი მოსაზრებით, კი „პოლიტიკურ მარკეტინგს“, როგორც „კარგ წიგნს“ უნდა ჰქონდეს წინასიტყვაობა, შესავალი, კვანძის გახსნა, კულმინაცია და ფინალი. სამწუხაროდ ხშირად ასე არ ხდება და რომელიმე კომპონენტი „ამოგლეჯილია“ საარჩევნო პროცესიდან, ისე როგორც კარგი წიგნიდან განგებ ამოხეული თავი, ან ქვეთავი. დაგეგმვის პროცესს პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგია ჰქვია და მინიმუმ 6 თვით ადრე საარჩევნო პროცესების გაცხადებამდე უკვე მზად უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ პარტიას, როგორც სამაგიდე წიგნი და „ბიბლია“. ისე როგორც გზამკვლევი დაბურულ ტყეში და საფეხმავლო გზა გაუკვალავ სივრცეში.

არ არსებობს დღე, როცა ჩვენ არ ვხვდებით პოლიტიკურ მარკეტინგს, რადგან ის არის: ტელევიზიაში, რადიოში, ბილბორდებზე, პრესაში, სოციალურ ქსელებში, საზოგადოებაში სადაც სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრების ადამიანი გვხვდება და ერთმანეთს უზიარებს ინფორმაციას, მის მოსაზრებას, ტაქსიში, მაღაზიაში, სადაც თაროებზე გვხვდება ფერადგარეკანიანი ტკბილეული, თუ პროდუქტი. ჩვენ

პრაქტიკულად ისე ვცხოვრობთ მარკეტინგთან ერთად, რომ ვერც კი ვამჩნევთ მის არსებობას.

„დღესდღეობით მარკეტინგი უნდა განიხილებოდეს არა როგორც გაყიდვის საშუალება, არამედ როგორც მყიდველთა საჭიროებების დაკმაყოფილების წყარო.“ თუკი პოლიტიკურ მარკეტინგში დასაქმებულ ადამიანს არ ესმის იმ საზოგადოების, რომელსაც უნდა შესთავაზოს კანდიდატი, არ აქვს წინასწარ შესწავლილი ველი და მოთხოვნა ვერაფრით ვერ შეძლებს ჯეროვნად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნა. პოლიტიკური მარკეტინგის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ისე ალაპარაკოს კანდიდატი, იმ სამეტყველო ფრაზებით, იმ სლოგანებითა და ფრაზებით, რომ მის პოტენციურ ამომრჩეველს არ გაუჭირდეს მისი გაგება, მოსმენა და აღქმა. თუ მას არ ესმის ხალხის ხმა, პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტი ვერასდროს მოახერხებს დადოს სასურველი შედეგი, მიიყვანოს კანდიდატი არჩევნების ბოლო დღემდე და საარჩევნო პროცესის დასრულებისას მიიღოს დადებითი შედეგი. ეს არის „პროცესი, რომლის მეშვეობითაც ცალკეული პიროვნებები და ჯგუფები ფასეულობების შექმნითა და სხვებთან მათი გაცვლით იღებენ იმას, რაც სურთ და სჭირდებათ“ (კოტლერი & არმსტრონგი, 202).

თავდაპირველად მარკეტინგი მხოლოდ ბიზნესთან ასოცირდებოდა, და არავითარი საქმე არ ჰქონდა პოლიტიკასთან. პოლიტიკა მოქმედებდა დამოუკიდებლად, თუმცა გაჩნდა გარემოებები, რომელშიც მარკეტინგმა დიდი როლი ითამაშა, მეორეს მხრივ კი ბიზნესი შევიდა პოლიტიკაში, დაიწყო პოლიტიკის ლობირება და დაფინანსება. გაჩნდა დიდი მოთხოვნა მარკეტინგის სპეციალისტებზე და ბუნებრივად დაუკავშირდა ეს ორი ამჟამად სამეცნიერო მიმართულება ერთმანეთს და დაერქვა „პოლიტიკური მარკეტინგი“.

ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ თქვა: „ერთი ამომრჩევლის უცოდინარობას შეუძლია ქვეყნის დემოკრატიისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების საფრთხეში ჩაგდება.“ (სულაშვილი, 2019) საკითხავია სად გადის ზღვარი ამომრჩევლის პოლიტიკურ განათლებასა და პასუხისმგებლობას შორის, ასევე მნიშვნელოვანია როგორი ნაბიჯებით უნდა მიუახლოვდეს და არ დაკარგოს კანდიდატმა მისი ამომრჩეველი.

საარჩევნო პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატის თვით პრეზენტაციის უნარს, რუსუდან ციცქიშვილის წიგნში „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ვკითხულობთ თვით პრეზენტაციის განმარტებას: „სხვა ადამიანებზე კარგი შთაბეჭდილების დატოვების მართვა სოციალური

ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტია. თვით პრეზენტაცია არის გარკვეული შთაბეჭდილების მოსახდენად მიმართული ძალისხმევა“ (რ.ციციშვილის, 2012) ადამიანის მოთხოვნილებაა სოციალურ გარემოში აღიარება და ის რომ მივიღოთ ის რა მოთხოვნილებაც გვაქვს კონკრეტული სიტუაციიდან. თვით პრეზენტაცია გვიქმნის უკეთეს წარმოდგენას საკუთარ თავზე, რაც შემდგომ გადაეცემა შეხვედრაზე, თათბირზე ან კამპანიის პროცესში მოსულ დამსწრეს და ისიც შესაბამისად განეწყობა სპიკერის მიმართ.

არსებობს თვითპრეზენტაციის ტექნიკები, რომელიც ეხმარება „ფიგურას“ უკეთესად წარმოაჩინოს თავი. ესენია: მოიქცეს სოციალური ნორმების შესატყვისად, მოიქცეს სხვა პიროვნებასთან შესაბამისად და მსგავსად, თვით რეკლამირება, პირფერობა და მისი ანტიპოდი თავმდაბლობა, მეექვსე ტაქტიკად კი ფსიქოლოგები გამოყოფენ „ბირგინგს“ (თბობა სხვისი დიდების არეკლილ სხივებში) ანუ ასოცირება წარმატებულ ადამიანებთან ან ადამიანთან, ხაზის გასმა მაშინაც თუ ეს კავშირები სრულიად უმნიშვნელოა (რ.ციციშვილის, 2012).

დღეს სოციალური ქსელების აქტივობებმა, სწრაფმა სვლამ და საზოგადოების მოთხოვნებზე წვდომამ ისე გააფართოვა ეს მიმართულება, რომ პრაქტიკულად მსოფლიო არჩევნებს სოციალური ქსელებით იგებს ან აგებს. სოციალური ქსელების ვიდეო ჩართვები, კითხვა-პასუხი, პოსტერები და სარეკლამო ბანერები რომლებიც სულ თვალწინ ციმციმებენ და მოულოდნელად ვნახულობთ გვამახსოვრდება. ასევე, მნიშვნელოვანია მათი ხელმისაწვდომობა, იმისთვის რომ სოციალური ქსელით ვისარგებლოთ სავარძლიდან წამოდგომაც არ გჭირდება, რადგან მობილური ტელეფონის გარეშე გაუსაძლისი გახდა ცხოვრება.

იმ დროს, როცა სოციალური ქსელები ასე მრავლადაა, იკლო გაზეთებმა, ჟურნალებმა, კანტიკუნტად დაინახავთ ახალ ბეჭდურ მედიას. ის რაც იბეჭდებოდა დღემდე ახლა დისტანციურ, ეგრეთწოდებულ ონლაინ სივრცეშია და შეგვიძლია ასევე ფეხზე აუდგომლად ვნახოთ, გავეცნოთ და წავიკითხოთ. მიუხედავად ამისა, ჩემი მოსაზრებით რადიო აქტუალობას არ კარგავს, ისიც ცდილობს უფრო აჩქარდეს და დაეწიოს მსმენელს მანქანაში, ავტობუსში, როცა მისი მომხმარებელი ყურსასმენით მგზავრობს და აქვს იმის დრო რომ საინფორმაციო გამოშვებას მოუსმინოს. ფილმებიც კი რომელსაც ჩვენ ონლაინ სივრცეში ვუცქერთ, სავსეა პოლიტიკური რეკლამით, სწორედ იმ წუთს როცა გადამწყვეტი მომენტია ფილმში, აქ ემოციური ჩართულობა და ორგანულად კი ადრენალინის ჰორმონი მატულობს, მეცნიერთა აზრით, სწორედ ამ მომენტში კარგად იმახსოვრებს გონებაც, რადგან ემოციურ შეგრძნებას უკავშირდება მოვლენა.

პოლიტიკური რეკლამა დიდ წილად განაპირობებს კანდიდატის, ან საჯარო მოხელის (ვგულისხმობ მალალი თანამდებობის პირებს და მათ იმიჯს. როგორსაც წარმოაჩენს მას რეკლამა, სწორი პოზიციონირების შემთხვევაში, სწორედ ისეთს აღიქვამს მას ამომრჩეველი. ხშირად დაჰკვირვებიხარ, ალბათ როდესაც სარეკლამო ბანერებზე დაინახავთ ბავშვთან, მოხუცთან ან შეზღუდული შესაძლებლობის პირთან გადაღებულ ფოტოებს და ცხადია ელექტორატის ლოიალობის გაზრდისთვის კეთდება, პოზიტიურად განგვაწყობს. წარმოჩინდება მზრუნველი და მოსიყვარულე ადამიანი და მნახველს ქვეცნობიერად ჰქონია რომ მასაც შეხვდება პოლიტიკოსისგან მცირე წილი სითბო, ყურადღება და საბოლოოდ ფინანსური სიკეთე.

„მედია თავად „პოლიტიკის კეთების“ პროცესშიც არ თამაშობს უკანასკნელ როლს: მთელი საზოგადოებისა არ იყოს, ხელისუფლებაც მყისიერად იღებს ინფორმაციას დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან.“ თუმცა შეიძლება მოძალებული ინფორმაცია სახიფათოც აღმოჩნდეს მთელ რიგ შემთხვევებში (კოტლერი & არმსტრონგი, 202).

მალხაზ მაცაბერიძე პოლიტიკური კომუნიკაციის მეთოდების ორ ჯგუფს გამოყოფს გამოყოფს ესენია: მობილიზაციურსა და მარკეტინგულ მეთოდებს. აგიტაციას და პროპაგანდას პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს, მეორეს კი რეკლამას, რომელიც პოლიტიკური ინსტიტუტების, ლიდერების მიმართ დადებითი აზრის და განწყობის ჩამოყალიბებას უნდა ცდილობდეს. (მაცაბერიძე, 2014)

მაცაბერიძეს მოჰყავს არტურ სანდერსის შეხედულებები წარმატებულ რეკლამაზე, მეცნიერის თქმით კი კარგ რეკლამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის რეკლამა, რომელიც კარგად ამახსოვრდება მსმენელს, ეხება მის გრძნობებს და მალალ ინტერესსაც იწვევს. უნდა ასახავდეს ელექტორატისთვის ნაცნობ გარემოს, მოვლენებს და მიმდინარე აქტუალურ საკითხებს. რეკლამა დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს ჩვეულებრივ რიგით ადამიანებს და ასახავდეს მათ ყოფას და არა ცნობადი სახეები და ლიდერები. სასურველია გამოირჩეოდეს უბრალოებით, არ იყოს გადატვირთული და ერთ კონკრეტულ მესიჯს გადასცემდეს. (მაცაბერიძე, 2014)

პოლიტიკური რეკლამა შეგვიძლია 5 კომპონენტად დავყოთ მისი დანიშნულების მიხედვით: საინფორმაციო რეკლამა - ამ ხუთეულიდან ყველას თავის უნიკალური დანიშნულება აქვს. საინფორმაციო მარკეტინგული მასალა უშუალოდ ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს, მაგრამ ის აუცილებლად მოიცავს მესიჯს და დამატებით ისეთ ქვე ფრაზებს, რაც იგულისხმება ნაწერში მაგრამ

ზედაპირზე და ლივლივებს. შეგონებით-შემეცნებითი რეკლამა - ანუ გარკვეულ ინფორმაციასაც აწვდის და ცოტათი ცდილობს დედობრივი დარიგებაც ჩადოს ამ მარკეტინგული მანევრით. შედარებითი რეკლამა - ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ფრაგმენტია, რადგან ამ დროს ადამიანი კარგავს იდენტობას და შიშის ზარი სცემს. მას ამსგავსებენ სხვადასხვა ცხოველს, მცენარეს ან მულტფილმის გმირს, ან ატრიალებენ და ოპონენტის კადრებს, უხსენებენ ძველ და ახალ ჩანაწერებს და ა.შ ბუნებრივია, რომ ეს პროცესი მტკივნეულია „თქვენი ტვინის ის პირველყოფილი ნაწილი, რომელიც დომინანტობის შეფასებაშია დახელოვნებული, აკვირდება, როგორ გეპყრობიან სხვები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თქვენს მნიშვნელობას განსაზღვრავს, შემდეგ კი გარკვეულ სტატუსს მოგანიჭებთ.“ (პეტერსონი, 2023)

შეხსენებითი მარკეტინგი მეტწილად მუშაობს რადიო ხაზებით, ცხადია იყენებს ტელევიზიას, მაგრამ არა იმდენჯერ, რადგან ტელევიზიის მომსახურება მაღალბიუჯეტურია და თანაც საარჩევნო პროცესში ყველა მედია იტვირთება კანონთან შესაბამისობაში. შეხსენება მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომაც არჩევნებამდე 48 საათით ადრე წყდება სარეკლამო ბადაებში რეკლამის გაშვება ყველა მედია საშუალებაში. ამიტომ ყველა ამ დრომდე ცდილობს, მოცემული წლის ბოლო საარჩევნო აქტივობები მოასწროს და კიდევ ერთხელ შეახსენოს მოქმედებით ამომრჩეველს ფრთიანი ფრაზა - „ხმა მომეცით“. გავრცელებული განმარტებითი რეკლამა გულისხმობს დეტალურ ახსნა-განმარტებას, მოწოდებას, ხშირად აქვს მსგავსი მიდგომა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მათ ასევე სუბთარჯიმანიც ჰყავთ რომ ყველამ შეძლოს ინფორმაციის გაგება. ადაპტირებული კებგვერდი.

სწორედ ამ ინფორმაციულ ხანაში, რეკლამა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. დღეს, რეკლამა საზღვრავს არა მარტო როგორი კბილის პასტა იყიდოს მომხმარებელმა, არამედ რომელი პოლიტიკური კანდიდატურა აირჩიოს. ეს არის ერთგვარი ბიზნესი, რომელიც წარმატებული მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა ითვალისწინებს აუდიტორიის მოთხოვნებს.

მასმედია „ფიგურის“ ფორმირებას და წარდგენას ახდენს ანუ ზრუნავს მის იმიჯზე. რა არის იმიჯი, ეს თითქოს უცნობი და თითქოს უკვე ძალიან ახლობელი სიტყვაა? „იმიჯი, ეს არის ორგანიზაციის, პოლიტიკური ფიგურის ან შოუბიზნესის წარმომადგენლის გარეგანი მე, ანუ რას ფიქრობენ საზოგადოებაში ამ ადამიანზე, ამ ორგანიზაციაზე“ (გურული, 2021) სწორედ ამიტომაც, ყველა უფრო ხილდება საკუთარ „გარე სახეს“, რომ ყველამ კარგი განწყობით შეხედოს და შეფასებითი

მზერაც იყოს დადებითი. რეალურად პოლიტიკოსებიც, ის ფიგურები ვისთანაც პოლიტიკურ პიარს უწყვენ მუშაობა ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც: სცივით, შიათ, ენატრებათ და უყვართ მაგრამ ჩვენ, მოსახლეობა, ამომრჩეველი, ელექტორატი ამას ხშირად და უფრო მეტად არ ვაცნობიერებთ, რადგან მათ პიედესტალზე ვაყენებთ, მათგან არქეტიპებს ვქმნით ჩვენს წარმოსახვაში. იქნება გარკვეული ხატები, რომლებსაც შემდეგ შესაძლოა ზოგიერთი ჩვენგანი ფანატიკურ მდგომარეობამდეც მიჰყავს.

პოლიტიკური რეკლამის ძირითადი საბაზისო მოთხოვნები უთანაბრდება ფსიქოლოგიაში დასწავლის სამი ძირითადი მექანიზმის არსს: " ასოციაციებზე დაფუძნებული" - მაგ: კარგად იქცევა, ესე იგი კარგია, დასწავლა - გაგიმეორებ მის სახელს ასჯერ დღეში და შენ იძულებული იქნები დაიმახსოვრო ის, დასწავლა დამტკიცებით და დასწავლა მიბაძვით - ვიქნები მისაბაძი და სანიმუშო, რომ შენ მოგინდეს დამსგავსება, ან კი იმდენჯერ დაგენახვები რომ გეგონება სულ მხედავ. (ციციშვილი, 2021)

პოლიტიკური რეკლამა ეფუძნება მარტივ ფსიქოლოგიურ ხრიკს: „გინდათ იცხოვროთ უკეთ? - ხმა მომეცით!“ ეს ფორმულები კარგად მუშაობს რადგან, მას არა სარეკლამო სააგენტო ირჩევს, არამედ ის აუდიტორია რომელზედაც ეს ფორმულა მოქმედებს. ეს ტენდენცია რომ საქართველოში შეიცვალოს, ამომრჩეველმა უნდა დასვას კითხვები, სოციალურად აქტიური ცხოვრება უნდა დაიწყოს, აილოს სოციალური პასუხისმგებლობა მიმდინარე მოვლენებზე, იმისათვის რომ კანდიდატები უკეთესად მოემზადონ ხალხთან შეხვედრისთვის, წინასაარჩევნო კამპანია დაგეგმონ ხალხის რეალური პრობლემებით და რეალურად მათი გადაჭრის გზების ძიებით.

და მაინც, კანდიდატის გამარჯვება მაინც მეტწილად მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებზეა დამოკიდებული, თუ რომელ დონეზეა მისი ღირებულებები და უმაღლესზე - სულიერი პიროვნება, დადებითი თვისებებით, ცივილური ქმედებებით, მაღალი დონე - გონიერი და ზნეობრივი პიროვნება მისი არსით და შემეცნებით, უმაღლეს დონესთან ახლოს მდგომი მაგრამ მაინც მრავლად ცხოველური ინსტინქტებით, თუ დაბალი დონეა - შეზღუდული გონებრივი ან ფიზიკური მონაცემებით, პიროვნული თვისებებით, ობივატელის ტიპის ქმედებებით, ნაკლებად ცივილური, მოთხოვნილებებით რომ საკუთარ სხეულზეა მიჯაჭვული. (ერიაშვილი, 2016)

სლოგანი უნდა იყოს კეთილხმოვანი, დადებითი ემოციის მომტანი. ფსიქოლოგიური დატვირთვის მქონე, რადგან ყველა ადამიანის მოთხოვნილებაა

ჩანდეს გადაწყვეტილების მიმღები, მოჭარბებულად გაუჩნდეს დადებითი ემოცია და მოთხოვნილება დაუჭიროს მხარი ამა თუ იმ კანდიდატს.

თორნიკე გურული PR-ის საფუძვლებში ხსნის სლოგანის ფორმატს და გვეუბნება, რომ სლოგანი უნდა შედგებოდეს მაქსიმუმ ოთხი სიტყვისგან, რადგან ადამიანის გონება სწორედ ამ რაოდენობას იმახსოვრებს და აღიქვამს მესიჯად. უნდა იყოს აგებული მარტივი და გასაგები სიტყვებით, სასურველია საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიის გამოყენება, რაც ჯამში 5000 სიტყვას არ აღემატება. ამიტომ, უარი უნდა ვთქვათ მაღალფარდოვან სიტყვებზე. არ უნდა გამოვუყენოთ საზოგადოებისთვის მტკივნეული თემები, რომელიც მას ორ ან მეტ ნაწილად ყოფს. ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი და ზუსტად მიმართული უნდა იყოს! (გურული, 2021)

იმისათვის, რომ საუკეთესო ლოგო გქონდეთ, მხოლოდს ურვილი არ კმარა, ამისათვის საჭიროა მობილიზება, ფერის, ფორმის, ზომის შემუშავება და გადაწყვეტა. ეს ყველა პარამეტრი უნდა მოარგოთ თქვენს კანდიდატს, ან ორგანიზაციას, ან პროდუქტს. თუ გსურთ გამოიყენეთ ინიციალები, მახასიათებლები, შეგიძლიათ დაპირება, მთავარი შეთავაზება, ან სახელის წინ წამოწევა, თუ ძალიან ვრცელი არ არის. მნიშვნელოვანი დრო დაუთმეთ შრიფტის შერჩევას, არ დაავიწყდეთ, რომ ფერი განწყობას ქმნის და ამაზე კონცენტრაცია, ფოკუსს ჯგუფები და გამოკითხვები უნდა აწარმოოთ. დააკვირდით, ხომ არავის აქვს მსგავსი ან იდენტური ლოგოტიპი. თუკი არსებული სიმბოლო წინა არჩევნებზე გამოიყენეთ და მან გამარჯვება ვერ მოგიტანათ თავისუფლად შეიძლება მიიღოთ მისი შეცვლის გადაწყვეტილება. (გოლდმითი & რაიტერი, 2017)

საარჩევნო კამპანიაში უნდა გამოვყოთ ოთხი ძირითადი ეტაპი. ესენია: კანდიდატის იდენტიფიკაცია, არგუმენტირებული რეკლამა, შედარების რეკლამა და ფინალი. როგორც მაცაბერიძე მის სალექციო კურსში ხსნის ეს ოთხი ეტაპი ასე გამოიყურება. პირველი ეტაპი იმიჯმეიკერების სამუშაო პროცესია და მთლიანად კანდიდატის იმიჯის და მისი წარდგენისთვის მზადებას მოიცავს. მეორე ეტაპზე საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოკვეთა და წარდგენა-პრეზენტაციაა, რომელსაც საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს და ამ პერიოდში მისი მოსაზრებების და შთაბეჭდილებების ფორმირება ხდება. მესამე ეტაპზე, რომელიც კამპანიის ყველაზე დრამატული პერიოდია კანდიდატების შედარება და დისკრედიტაციაა მოსალოდნელი. აქვე, ძალიან ეფექტურია „წინასწარი გაუვნებლების“ სტრატეგია, ეს მაშინ როდესაც ვიცით მოწინააღმდეგის გეგმები და ჩანაფიქრები შეიძლება ერთი ნაბიჯით დაასწრო მოქმედება და ამან მოგიტანოს კიდევ დიდი გამარჯვება.

შემდეგ კი „საარჩევნო კამპანიის გვირგვინი“, რომელსაც შედეგები წარმოადგენს. (მაცაბერიძე, 2015)

არსებობს ფასიანი დაუფასო რეკლამა, ყველა ტელევიზიას და რადიოს განსაზღვრული აქვს ის. ფასიანი რეკლამა მთელი დღის მოცულობის დროის 15%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დღის მანძილზე ამ დროის ერთ მესამედზე მეტი არც ერთმა პარტიამ არ უნდა მოიხმაროს. რეკლამა მარტივად გადმოსცემს რეალობას, მისი დანიშნულებაა რთული პოლიტიკური პროცესები გასაგებ ენაზე გადმოსცეს. რეკლამა ინფორმაციის გავრცელების წყაროს წარმოადგენს და დიდ წილად ხელს უწყობს არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას. ხოლო არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარება უმნიშვნელოვანესია საბოლოო შედეგისადმი ხალხის ნდობის მოსაპოვებლად. (ტულუში & კუპრაშვილი & ქორიძე & რუხაძე, 2014)

ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკურ რეკლამას, კერძოდ მის განთავსებას, ქრონომეტრაჟს და წესებს ორი კანონი არეგულირებს: „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „კანონი მაუწყებლობის შესახებ“. მნიშვნელოვანია, რომ ორივე საჯარო დოკუმენტი განსაზღვრავს, როგორც ფასიანი ისე უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესს ყველა არსებული მაუწყებლის ეთერში. (ტულუში & კუპრაშვილი & ქორიძე & რუხაძე, 2014)

„მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ რეკლამა ეფექტურია იმდენად, რამდენადაც ფსიქოლოგიურია“. საბოლოო ჯამში კი ყველა იმას ფიქრობს, თუ რა თანხის გამოიმუშავება შეიძლება მასში. (ერიაშვილი & ამინოვი, ი& ცვეტკოვ & სტოლიარენკო, & კარაიანი, & სულხანიშვილი, 2016)

ხანგრძლივი შრომის შემდეგ დგება მომენტი, როდესაც ელოდები შედეგს და გული ისე გიცემს, თითქოს მისი ხმაც გესმის. ეს ის გადამწყვეტი წუთია, როცა საარჩევნო შედეგებს ელიან. ამ დროს ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი თავი აღელვებს და ორი არჩევანის წინაშეა, როგორც ერთ ძალიან ცნობილ და საინტერესო წიგნშია დასათაურებული ერთი ქვეთავი „ფსკერი და მწვერვალი“, (პეტერსონი, 2021) სწორედ ასე დავარქმევდი ამ მდგომარეობას, რადგან მოლოდინი იმდენად დიდია და წაგების შიში ფსკერზე უფრო ღრმა ფსკერის განცდას გიტოვებს. „თქვენი გონების სიღრმეებში, ფარულ კუთხე-კუნჭულში, ფიქრებსა და გრძნობების მიღმა, ენით გამოუთქმელი პირველყოფილი სენსორი დგას, რომელიც გაფაციცებით აკონტროლებს ერთიდან ათამდე სკალაზე საზოგადოებაში ზუსტად რა პოზიცია გიკავიათ“. (პეტერსონი, 2021)

PR და პროპაგანდა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, 1622 წელს შეიქმნა "Congregazione de Propaganda Fide" - "კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების მქადაგებელი მისიების დაარსებასა და მის უზრუნველყოფას კადრებით, მატერიალური სახსრებითა და ლიტერატურით. ორგანიზატორებმა ამ ამოცანის შესასრულებლად უმთავრესად მიიჩნიეს იმ ქვეყნების ენების შესწავლა, სადაც საქმიანობა მოუწევდათ. პროპაგანდის მიზანი დღესაც დარწმუნების მცდელობაა, ოღონდ, პიარისაგან განსხვავებით, იგი ცალმხრივ კომუნიკაციას, მონოლოგის რეჟიმს ემყარება და უკუკავშირს გამორიცხავს. პროპაგანდა საზოგადოებისათვის ძალაუფლების ხელშემწყობი შინაარსების დამტკიცებას და დამკვიდრებას ითვალისწინებს, პიარი კი ორმხრივი დიალოგის მეშვეობით საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებთან შეხედულებათა თანხვედრას, ურთიერთ-გაგებასა და ცვლილებების გატარებას ცდილობს. პროპაგანდა გულისხმობს გონებაზე ზემოქმედებას სხვადასხვა ფორმითა და გზით. მათგანეკუთვნება: დადებითი განწყობის შემქმნელი განზოგადებები, "იარლიყების მიწებება", „გადაადგილება“, „დადასტურება“. „უბრალო ადამიანები“ (პროპაგანდის ტული იდეების, ან პროდუქტის იდენტიფიცირება "უბრალო ადამიანების" საჭიროებებთან); „ბანქოს ჩაწყობა" (არგუმენტი, რომელშიც ფაქტები იმგვარადაა დალაგებული, რომ რჩება ერთადერთი "ლოგიკური" დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა); „არ დაგვაგვიანდეს" (რომელიმე მოსაზრების ან პროდუქტის მხარდაჭერის მეთოდი, როდესაც პროპაგანდისტი აუდიტორიას უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყველა დანარჩენი უკვე ასე ფიქრობს და ამიტომ, საჭიროა დროული გაერთიანება უმრავლესობასთან).

პროპაგანდა, პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისათვის და ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას. საერთაშორისო ურთიერთობებში პროპაგანდის მიზანია შექმნას საკუთარი ქვეყნის მაქსიმალურად მიმზიდველი იმიჯი და დანერგოს მისდამი სიმპათია, მაქსიმალურად ეცადოს გაამართლოს ქვეყნის ყოველი ქმედება, ხოლო დაპირისპირებული ქვეყნების მიმართ შექმნას უარყოფითი წარმოდგენა და ნეგატიურად განაწყოს მსოფლიო საზოგადოება. საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის მიზანია, ზეგავლენა მოახდინოს „სამიზნე“ ქვეყნის მოსახლეობაზე, რათა მან, თავის მხრივ, გავლენა მოახდინოს თავისი მთავრობის მოქმედებაზე. (ელიაური, 2015)

სად გადის ზღვარი პიარსა და პროპაგანდას შორის? სად გადის ზღვარი საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს მის ინფორმირებასა და მანიპულაციას შორის?

შეიძლება ამ კითხვაზე პასუხი სწორედ პოლიტიკური რეჟიმის ხასიათში იმალებოდეს. დემოკრატიაში, სადაც პარტიები სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში ამომრჩეველთა ხმებისთვის იბრძვიან, ხელისუფლება და ოპოზიციური პარტიები პიარის მეშვეობით ახდენენ თავიანთი სათქმელისა და იდეების შეფუთვას ისე, რომ ის საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გასაგები და მიმზიდველი იყოს. (ელიაური, 2015)

ავტორიტარული რეჟიმი სწორედ რომ პროპაგანდას, პოლიტიკური ოპონენტის დისკრედიტაციას, მარგინალიზაციას და საბოლოო განადგურებას ეყრდნობა. ის თავს არ იწუხებს ტყუილისა და მართლის გარჩევით. იგი უფრო ცდილობს, ამომრჩეველი არა მოიმხროს, არამედ სხვის წინააღმდეგ წარმართოს.

თუკი გადამწყვეტ მომენტში კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა ახალი გეგმითა და სტრატეგიით მოქმედების დროა. მარშალ გოლდსმითი და მარკ რეიტერი მათ ცნობილ ნაშრომში „ახალ მიზანს ახალი ფორმულა სჭირდება“ ასეთ გზას გვთავაზობენ. შეხედეთ, საკუთარ რეალობას, როგორც სავაჭრო ცენტრში გამოკრულ რუკას, რომელსაც აწერია „თქვენ აქ ხართ“, მოძებნეთ საკუთარი თავი და გააგრძელეთ გზა წარმატების ძიებაში, იარეთ და შეარჩიეთ უმოკლესი გზა მისკენ. (გოლდსმიტი & რეიტერი, 2017)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორები: ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი, „მარკეტინგის საფუძვლები“, მე-14 გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.2021წ.
2. გურული, თ. (2021) „პიარის საფუძვლები“.
3. ერიაშვილი, ნ. ამინოვი, ი. ცვეტკოვ, ვ. სტოლიარენკო, ა. კარაიანი, ა. სულხანიშვილი, მ. (2016) „ფსიქოლოგია“, გამომცემლობა „სამართლიანი საქართველო“,
4. ჰეივუდი, ე (2007) „პოლიტიკა“, მესამე გამოცემა.
5. ციციშვილი,რ.(2012)„სოციალურიფსიქოლოგიისსაფუძვლები“,საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა,
6. პეტერსონი, ჯ.ბ. 2021წ, „ცხოვრების,12 წესი ქაოსის ანტიდოტი“
7. გოლდსმითი, მ. რაიტერი , მ. (2017) „ახალ მიზანს ახალი ფორმულა სჭირდება“, გამომცემლობა „პალიტრა L“
8. ფარცვანია, თ. ნაშრომი „პოლიტიკური რეკლამა და მისი გავლენა მედიასა და არჩევნებზე“, გვ.5.
9. ელიაური მ. (2015) პიარი და პროპაგანდა, shorturl.at/qsJY7
10. მაცაბერიძე, მ. პოლიტიკური კომუნიკაცია, პოლიტიკური პიარი და მარკეტინგი, სალექციო კურსი პოლიტიკური კომუნიკაცია, თავი VI.
11. რაისი, ე. ტრაუტი, ჯ. (2019) მარკეტინგული ომები, ავტორები: გამომცემლობა „პალიტრა I“.
12. Review.ge (2020) <https://www.review.ge/2017/11/apple-diversity/>
13. სულაშვილი, მ. (2019) Forbs.ge, სტატია „პოლიტიკური მარკეტინგი“ <https://bit.ly/3GHTozy>
14. პოლიტიკური მარკეტინგი, სლოგანების საუკუნე <https://www.marketinghouse.ge/century-of-slogans/>

პასუხისმგებლიანი ტურიზმის ინდუსტრია, სოციალური მიმღებლობა და ტურისტების დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით

დოქტორანტი, მეგი სურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ტურიზმის ბიზნეს ინდუსტრიის მდგრადი განვითარების და სოციალური წინსვლის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პასუხისმგებლიანი ტურიზმი და სოციალური მიმღებლობა. „პასუხისმგებლიანი ტურიზმი არის ტურიზმის ის ფორმა, რომელსაც მოაქვს მსხვილი ბენეფიტები და სარგებელი ტურიზმში ჩართული ყველა მონაწილისთვის: ტურისტებისთვის, მასპინძელი საზოგადოებისა და ბიზნეს ოპერატორებისთვის სოციალური, ეკოლოგიური ზიანის მიყენებისა და არატოლერანტულობის გარეშე.“ (Jost Krippendorf (1987) პასუხისმგებლიანი ტურიზმის ერთერთი პრინციპი გულისხმობს ტურისტების უფლებების, უსაფრთხოების დაცვას, მათთვის მომსახურებების თანასწორად მიწოდებას სადაც იკვეთება სოციალურ მიმღებლობასთან კავშირი. აღნიშნულ სტატიაში წყაროთა ანალიზის საშუალებით განსაზღვრულია ტურიზმის მდგრადი განვითარების უმთავრესი ასპექტები: ტურისტებისადმი ტურიზმის პასუხისმგებლობები, მათი სოციალური მიმღებლობა და მასპინძელი საზოგადოების დამოკიდებულებები. საქართველოში ტოლერანტობისა და თანასწორობის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევა (2022) და აჭარაში ჩვენს მიერ განხორციელებული უცხოელი სტუდენტების სოციალური მიმღებლობის შემსწავლელი კვლევა (2024) ასაბუთებს ჯანსაღი სოციალური დამოკიდებულებების საჭიროებას, სოციალური მიმღებლობის როლს ბიზნეს პროცესებში. კვლევებით დადგინა, რომ ტურისტები ხშირად არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის რასისტული ნიშნით. ასევე აქტუალურია ტურისტების უფლებების საკითხი, რომელიც ხშირად ირღვევა. ტურიზმში ტურისტებისადმი ჯანსაღი სოციალური დამოკიდებულებების არსებობა ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, კმაყოფილი ტურისტების ზრდასა და შემოსავლების გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლიანი ტურიზმი, ინდუსტრია, სოციალური მიმღებლობა, ტურისტი, დისკრიმინაცია

შესავალი

ტურიზმის ბიზნეს ინდუსტრია და მასში მიმდინარე პროცესები მუდმივად საჭიროებენ რეგულირებას, მხარეთა უფლებების განსაზღვრას, სოციალური ურთიერთობების ხარისხის შეფასებას, ტურიზმის ბიზნესის პასუხისმგებლობების პრინციპები აქტუალურია რადგან მსხვილ ინდუსტრიაში ხშირად ვხვდებით პრობლემებს და კავშირებს სოციალურ კავშირებთან, ურთიერთობების ფორმებთან, ინტერაქციის ხარისხთან, სოციალური მიმღებლობის რღვევასთან, ტურისტების უფლებების მრავალმხრივ შელახვასთან და ტურისტების დისკრიმინაციასთან.

კვლევის მიზანია:

- სოციალურ მიმღებლობასა და პასუხისმგებლობის ტურიზმს შორის კავშირის განსაზღვრა

კვლევის ამოცანები:

- სოციალური მიმღებლობისა და პასუხისმგებლიანი ტურიზმის წყაროთა, კვლევათა ანალიზი,
- სოციალური მიმღებლობის ფორმების და პროცესების შეფასება ტურისტულ ურთიერთობებში
- მასპინძელი საზოგადოების მხრიდან ტურისტებისადმი დამოკიდებულებების შესწავლა
- პასუხისმგებლიანი ტურიზმის პრინციპების შესაბამისობის დადგენა ტურისტულ სოციალურ საჭიროებებთან.

ტურისტული სოციალური ურთიერთობები და დისკრიმინაცია

ტურიზმის ბიზნეს ინდუსტრიაში მილიონობით ტურისტი, რომლებსაც აქვთ განსხვავებული კულტურული ცნობიერება, რელიგიური რწმენები, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური ხედვა, ეთნიკური წარმომავლობა (და სხვა) ხშირად წარმოადგენენ მასპინძელი, რეზიდენტი საზოგადოების მხრიდან არაჯანსაღი მოპყრობის ობიექტებს, რეზიდენტები ტურისტების მიმართ ყოველთვის არ არიან კეთილგანწყობილნი რაც გამოწვეულია ტურისტების განსხვავებულობით, მოგეხსენებათ ზოგიერთ სახელმწიფოში საზოგადოება საკმაოდ სტერეოტიპულია, ახასიათებთ მკაცრი კულტურული ცნობიერება, აღქმები, დამოკიდებულებები შესაბამისად ისინი ახდენენ უცხოეული მიგრანტების და ტურისტების

დისკრიმინაციას უხეში დამოკიდებულებით, სიტყვიერად, ფიზიკურად. ტურიზმის წარმომადგენლები, მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებით ტურისტებს (განსაკუთრებულ ფერადკანიან ტურისტებს) ურჩევენ:

- წინასწარ გამოიკვლიონ დანიშნულების ადგილის, ლოკაციის დანაშაულებრივი მაჩვენებლები, კრიმინალი, ძალადობის და დისკრიმინაციის, რასიზმის მაჩვენებლები.
- განსაზღვრონ წინასწარი რისკების ფაქტორი, რომლებიც შეიძლება იყოს დაკავშირებული იდენტობის განსამზღვრელ ნიშნებთან (რასა, ეთნიკური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი, გენდერი, სქესი, რელიგიური მრწამსი) და ადგილობრივების მიმღებლობასთან
- წინასწარ იმის გაგება მოქმედებს თუ არა ანტიდისკრიმინაციული უსაფრხობის სისტემა ქვეყანაში,
- მისაღები ჩაცმის სტილის განსაზღვრა, შესაძლოა მასპინძელ ქვეყანაში უფრო დახურული, ტრადიციული სამოსია მიღებული საზოგადოებაში
- ქვეყნის კულტურის და კანონმდებლობის შესახებ იფნორმაციის მოძიება, რა წესები მოქმედებს ქვეყანაში, როგორია მისაღები ქვეყა მასპინძელი საზოგადოებისთვის და სხვა

მსოფლიოს მოსახლეობის განსხვავებული კულტურული ცნობიერების, აღქმების, შეფასების სისტემის, იდენტობისა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ტურიზმის ინდუსტრიაში როგორც ურთიერთობების სოციალურ ინსტიტუტში ჯერჯერობით დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენს ტურისტების დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით, „ტერმინი გაგებულ უნდა იქნას როგორც განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რაიმე ნიშნით, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ეროვნება ან სოციალური წარმომავლება, საკუთრება, დაბადება ან სხვა გარემოება, და რომლის მიზანია ან იწვევს თანასწორ საფუძველზე ყველა ადამიანის მიერ ყველა უფლებისა და თავისუფლების აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების გაუქმებას ან გაუარესებას.“ (კრაუზე, 2006)

დისკრიმინაციას ვხვდებით კანის ფერის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, განსაკუთრებით აქტუალურია რასიზმი, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში.

„რასიზმი არის რწმენა, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისა. რომ რასა, კანის

ფერი, ენა, რელიგია, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა შეიძლება იყოს უპატივცემულობის, ზიზღისა და დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებული ჯგუფის მიმართ და ამართლებს თავისი ჯგუფის (ადამიანის) პრეტენზიას უპირატესობაზე (ბიოლოგიურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ) სხვა დანარჩენ ადამიანებთან ან მათ ჯგუფებთან შედარებით.” (ალექსიძე, 2005 ელექტრონული რესურსი)

არაერთი მსოფლიო გამოცემა, მედია საუბრობს რასიზმზე შავკანიანი ტურისტების, ჩინელების, ინდოელების, ისლამისტი ტურისტების მიმართ, ისინი განიცდიან დისკრიმინაციას არამხოლოდ მოგზაურობის დროს, არამედ სხვა ქვეყნებში დროებითი იმიგრაციის დროსაც. CNN-ის სტატიაში რასიზმის შესახებ, საუბარია შავკანიანი ტურისტებისთვის მოგზაურობის სირთულეებზე, კერძოდ: ისლამურ სახელმწიფოებში არსებულ არატოლერანტულ დამოკიდებულებებზე, შავკანიანები საუბრობენ არაჯანსაღ დამოკიდებულებებზე ჩინეთში, რუსეთში მოგზაურობის დროსაც, მაგალითად ნიგერიელი წარმომავლობის ამერიკელი მოქალაქე საუბრობს საზღვრებზე, რომლესაც ადგილობრივ მაცხოვრებლებთან აწესებს საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა რასიზმს ადგილი აქვს ამერიკის ზოგიერთ შტატშიც, მათ შორის მისისიპისა და ალაბამაში.

საფრნაგეთში მოგზაურობის სურვილის მქონე შავკანიან ტურისტებს გიდები განსაკუთრებულადამზადებენ, არჩევენ სპეციალურ ლოკაციებს, კვების ობიექტებს, გასართობ იმ სივრცეებს სადაც ისინი არ იგრძნობენ ადგილობრივებისგან რასისტულ არაჯანსაღ დამოკიდებულებებს, ტურისტებისთვის ასევე არჩევენ სპეციალურ ობიექტებს, რომლებიც შავკანიანებს ეკუთვნით, ამ ტიპის ტურებს სხვაგვარად „შავი პარიზის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. (Hannah, 2020)

საქართველოში, საზოგადოების კულტურულ, რელიგიური და ტრადიციული ცნობიერების, აზროვნების, გემოვნების გათვალისწინებით აქტუალურია რასიზმის და განსხვავებული იდენტობის მქონე პირთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები, ჩვენს საზოგადოებაში მიუხედავად სტუმართმოყვარეობისა საკმაოდ დაბალია სოციალური მიმღებლობის უნარი, იმ ფონზე, რომ ქვეყანაში შემოსული მოგზაურობისა თუ ცხოვრების მსურველთა რიცხვი პერიოდულად იზრდება, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სოციალური მიმღებლობის გაუმჯობესების მიზნით პრევენციების გატარება, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, რომელიც ადგილობრივების დამოკიდებულებებს და ემპათიურობას უცხოელების მიმართ გააუმჯობესებს. მხოლოდ 2022 წელს საზღვარის კვეთა განხორციელდა:

15,643,097–ჯერ, 3,571,465 -მა კი ქვეყანაში დაჰყო 24 საათზე მეტი.

ზოგადად თუ ქვეყანა არის დისკრიმინაციული არამხოლოდ ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობების, კანის ფერის წარმომადგენლების, რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების მიმართ, ის ქვეყანა იქნება დისკრიმინაციული ტურისტების მიმართ, არსებული რასიზმის სტატისტიკა იძლევა ინფორმაციას ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დამოკიდებულებების შესახებ. საზოგადოება, რომელიც დაუწერელი კანონებით, წესებით, ტრადიციებით ხელმძღვანელობს ხშირად არაობიექტურია დამოკიდებულებებში უცხოელების მიმართ.

პასუხისმგებლიანი ტურიზმი და სოციალური მიმღებლობა

ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარება, ზრდის ტენდენციის შენარჩუნება და კმაყოფილი ტურისტების რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვან კავშირშია მათდამი მასპინძელი საზოგადოებების დამოკიდებულებებთან, რადგან ტურიზმი არის ურთიერთობების სოციალური ინსტიტუტი, მასში მონაწილე მხარეებისთვის მატერიალურ პროდუქტზე მეტად მნიშვნელოვანია ის მომსახურებები, რომლებიც მიწოდების ფორმებზე, დამოკიდებულებებზე, განწყობებზე დგას, ანუ მასპინძლობის კულტურაზე. მასპინძელი საზოგადოება, რომელიც ტურისტების მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი და ეს კლინდება მათ დამოკიდებულებებში არ ითვალისწინებს ტურიზმის მდგრადი განვითარების მთავარ პრინციპებს, არღვევს სოციალური მიმღებლობის ჯანსაღ ფორმებს, არამიმღებლურია ნებისმიერი ის მოქალაქე, რომელიც ქსენოფობიური, რასისტული, ჰომოფობიური თუ სხვა მსგავსი განწყობებით განპირობებულ დამოკიდებულებებს ამყარებს ტურისტებთან. სოციალური მიმღებლობა არის ის ხანგრძლივი და ქვეცნობიერული პროცესი, რომელიც მეტწილად განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

- საკომუნიკაციო ენით, რომელიც სასურველია იყოს საერთო, ორივე მხარისთვის მშობლიური ან გულისხმობდეს საკომუნიკაციო ენის მაღალ დონეზე ცოდნას,
- რელიგიური და კულტურული ფონი, გამოცდილება,
- თანაცხოვრების გამოცდილება– ამ უკანასკნელის შემთხვევაში რადგან ტურისტები არიან დროებითი სტუმრები და არაადგილობრივი მაცხოვრებლები მათთან ცხოვრების გამოცდილებაზე ვერ ვისაუბრებთ რადგან ისინი მასპინძელ საზოგადოებასთან ურთიერთობაში მხოლოდ დროებით არიან. (Smith C, 2016)

სოციალური მიმღებლობის არაჯანსაღი გამოვლინებებია ქსენოფობია, ჰომოფობია, დისკრიმინაცია, რასიზმი და სხვა. ტურიზმის ინდუსტრიისთვის სოციალური მიმღებლობის და ბიზნესის პასუხისმგებლობის გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პასუხისმგებლიან ტურიზმსა და სოციალურ მიმღებლობას შორის კავშირს კი განსაზღვრავს პასუხისმგებლიანი ტურიზმის მთავარი პრინციპები:

ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა: გულისხმობს ტურიზმის სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას საწარმოებისთვის, რათა მათ შეძლონ გრძელვადიან პერსპექტივაში სარგებლის მიღება.

ადგილობრივი კეთილდღეობა: მაქსიმალურად გაზარდოს ტურიზმის კეთილდღეობის წვლილი ტურისტული ლოკაციისთვის და მასპინძელი საზოგადოებისთვის.

დასაქმების ხარისხი: ადგილობრივი სამუშაო ადგილების რაოდენობისა ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება ანაზღაურების ოდენობის ჩათვლით, მომსახურების ხელმისაწვდომობა ყველასთვის სქესის, რასის, მიუხედავად.

სოციალური თანასწორობა: ეკონომიკური და სოციალური სარგებლის ფართოდ განაწილების საზოგადოებაში, ღარიბებისთვის მომსახურების ხელმისაწვდომობა დაბალგადახდისუნარიან შემთხვევებშიც.

ვიზიტორების შევსება: უსაფრთხო დამაკმაყოფილებელი გამოცდილებით უზრუნველყოფა, მომსახურებებზე, დასვენებაზე ხელმისაწვდომობა მიუხედავად მათი სქესის, რასის, რელიგიური მრწამსის, კულტურისა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის გარეშე.

ადგილობრივი კონტროლი: ადგილობრივი თემების ჩართვა და გაძლიერება დაგეგმვაში და გადაწყვეტილების მიღება, ტურიზმის მართვის პროცესში და სხვა (მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაცია, 2005)

ამ ჩამონათვალთაგან სოციალური მიმღებლობის არსის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტების უსაფრთხოება, მათი უფლებების დაცვა, მათდამი ჯანსაღი, სამართლიანი და თანასწორი დამოკიდებულებების ქონაა, ამგვარად სოციალური მიმღებლობის პრობლემების გადაჭრაარის დაკავშირებული მდგრადი, პასუხისმგებლიანი ტურიზმის პრინციპების ზედმიწევნით განხორციელებასთან.

პასუხისმგებელი ტურიზმის მიზანია „ადამიანებისთვის საცხოვრებლად და

ხალხის მოსანახულებლად უკეთესი ადგილების შექმნა, ორგანიზება“. ის მოითხოვს, რომ ოპერატორებმა, ინდუსტრიის წარმომადგენლებმა, მთავრობებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ და ტურისტებმა აიღონ პასუხისმგებლობა ქმედებებზე. (პასუხისმგებლიანი ტურიზმის ქეიფ თაუნის დეკლარაცია, 2002)

პასუხისმგებელი ტურიზმი არის ტურიზმის ფორმა, რომელსაც მოაქვს მეტი შესაძლო სარგებელი ყველა მონაწილესთვის - მოგზაურებისთვის, მასპინძელი მოსახლეობისთვის და ტურისტული ბიზნესისთვის, აუტანელი ეკოლოგიური და სოციალური ზიანის მიყენების გარეშე. (Krippendorf 1987)

პასუხისმგებლიანი ტურიზმისა და სოციალური მიმღებლობის გათვალისწინება მასპინძელ საზოგადოებასა და ტურისტებს მოუტანს მრავალმხრივ სასიკეთო შედეგებს:

- პირველ რიგში გააუმჯობესებს სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციის ხარისხს, ინტენსიურს გახდის სოციალურ კავშირებს, იფორმაციათა მიმოცვლას და დადებითად აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.
- უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებაზე დადებითად აისახება
- უზრუნველყოფს ტურისტებისთვის უფრო სასიამოვნო გამოცდილების მიღებას, უფრო მნიშვნელოვანი გზით ადგილობრივ ხალხთან კავშირების გაუმჯობესებას.
- ხელს შეუწყობს ტურისტებსა და მასპინძლებს შორის პატივისცემის ზრდას კულტურის, ტრადიციების, განსხვავებულობის, იდენტობის ჭრილში.

პასუხისმგებლიან ტურიზმსა და სოციალურ მიმღებლობას შორის კავშირი ასევე იკვეთება პასუხისმგებლიანი ტურიზმის პრინციპებსა და გაიდლაინეში, კერძოდ: პასუხისმგებლიანი ტურიზმი უზრუნველყოფს მოგზაურების მომზადებას ადგილობრივ კულტურასთან უცხოგარემოსთან შესახვედრად. პასუხისმგებლიანი ტურიზმის მიზანია ტურისტებმა შეძლონ სხვადასხვა ლოკაციების, მოსახლეობის წესების, სენსიტიური ასპექტების, გარემოს, კულტურის გაცნობა რათა შემცირდეს ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის ნეგატიური ფაქტების მოხდენის ალბათობა. ბათუმში განხორციელებულ კვლევაში, რომელიც უცხოელი სტუდენტების სოციალურ მიმღებლობას შეისწავლიდა, გამოვლინდა ინსტიტუციური რასიზმის ფაქტები, რომლებიც უთანასწორობას და ორგანიზაციულ რასიზმს, აკადემიური

პერსონალის, დასაქმებულების მხრიდან სწავლის მიზნით ჩამოსული ინდოელი სტუდენტების მიმართ მოპყრობის სახით ვლინდება.

პასუხისმგებლიანი ტურიზმის კვლევის პროცესში გამოყენებულია წყაროთა ანალიზის მეთოდი, ლიტერატურის მიმოხილვა. ხოლო სოციალური მიმღებლობის შესწავლის მიზნით განხორციელებულ 2 კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, ონლაინ ანკეტირება და ჩაღრმავებული ინტერვიუები. სოციალური მიმღებლობის კვლევის მიზნით განისაზღვრა 30 კითხვა, კითხვები დაკავშირებული იყო სოციალური მიმღებლობის შემადგენელ ფაქტორებთან, კერძოდ: კულტურულ ფაქტორებთან, რასისტულ, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური, სექსუალური ორიენტაციის ფაქტორებთან. ანკეტირება განხორციელდა ონლაინ, კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ განთავსების ობიექტების მეპატრონეები, ბიზნეს ოპერატორები.

შედეგები

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2022 წელს განხორციელებულ კვლევაში „ უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში“- დადგინდა, რომ საქართველოში დისკრიმინაციას და რასიზმს აწყდებიან არამხოლოდ მოქალაქეობის მიღების მსრუველი უცხოელები, არამედ დროებითი სტუმრებიც, სასწავლო მიზნით ჩამოსული აფრიკელი, ინდოელი სტუდენტები საუბრობენ მათ მიმართ ადგილობრივების ნეგატიურ დამოკიდებულებებზე, განთავსების ობიექტის ძიების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე, შეზღუდვებზე და ხელმისაწვდომობის პრობლემებზე. მიგრანტების 43% აცხადებს, რომ დისკრიმინაციული ან მტრული მოპყრობის ობიექტი გამხდარა. ასევე 2019 წლის კვლევაში „ტურისტების სოციალური მიმღებლობა ბათუმის მოსახლეობაში“, განთავსების ობიექტების წარმომადგენლები საუბრობენ ზოგიერთი ეროვნების წარმომადგენელი ტურისტების მიმართ ნეგატიურ, ქსენოფობიურ დამოკიდებულებებზე, მათთვის ხშირად განზრაც არ არის ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებში განთავსების მომსახურება.

ბათუმში განხორციელებულმა კვლევამ სოციალური მიმღებლობის შესახებ გვაჩვენა, რომ განთავსების ობიექტების მეპატრონეებს არ სურთ მომსახურების გაწევა ისლამური რელიგიის მრწამსის მქონე, არაბი, ირანელი ტურისტებისა. საყურადღებოა ის, რომ სოციალური მიმღებლობის კვლევის პროცესში

იკვეთება ქსენოფობიური დამოკიდებულებებიც, თუმცა ყველაზე აქტუალურია სუბიექტური დამოკიდებულებები, განწყობები, რომელიც სამწუხაროდ ხშირად არის თანასწორი, გულისხმობს ზოგიერთი განსხვავებული ტურისტის უფლებებს გაუთვალისწინებლობას, დისკრიმინაციას და მომსახურებაზე განთავსების მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვას.

გარდა ამისა, სოციალური მიმღებლობასთან და დამოკიდებულებებთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებიან უცხოელი სტუდენტები, რომლების ბსუ-ში სწავლობენ, სტუდენტები 2024 წელს განხორციელებულ კვლევაში საუბრობენ რასიზმის, გულგრილი და აგრესიული დამოკიდებულებების შემთხვევებზე როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ასევე უნივერსიტეტის გარეშე შემხვედრ ადამიანებთან. ზოგიერთი მათგანი ნეგატიურად ასახელებს პირველი კომუნიკაციის შემთხვევებს და სოციალური სეპარაციის, ჯგუფებად დაყოფის პრობლემაზე ამხვილებს ყურადღებას.

დასკვნა

ბათუმში რეზიდენტების გარკვეული ნაწილისთვის ტურისტის გარკვეული მახასიათებლები კულტურულად მიუღებელია და იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებებს, პროტესტის გრძნობას, უარყოფით განწყობებს ლოგიკურია, რომ ასეთ დროს სოციალური მიმღებლობა ვერ დგება ჯანსაღი ფორმით და კომუნიკაცია შესაძლოა წარუმატებლად განხორციელდეს. აჭარის რეგიონში განხორციელებული კვლევით ცხადია, რომ აქტუალურია რასიზმი, ჰომოფობიური დამოკიდებულებები ტურისტების მიმართ, რომელიც ტურიზმშიც იჩენს თავს მასპინძელ საზოგადოებაში.

სოციალურ მიმღებლობასა და პასუხისმგებლიან ტურიზმს, შორის კავშირი იკვეთება შემდეგ პრინციპში: ვიზიტორების შევსება: უსაფრთხო დამაკმაყოფილებელი გამოცდილებით უზრუნველყოფა, მომსახურებებზე, დასვენებაზე ხელმისაწვდომობა მიუხედავად მათი სქესის, რასის, რელიგიური მრწამსის, კულტურისა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის გარეშე, აღნიშნული პრინციპი გულისხმობს სოციალური თანასწორობის, სოციალურად ჯანსაღი დამოკიდებულებების არსებობას ტურისტების მიმართ მიუხედავად მათი გარკვეული ნიშნით განსხვავებისა, რომლებიც ტურისტებისადმი თანასწორ დამოკიდებულებებს გულისხმობს

პასუხისმგებლიანი ტურიზმისა და სოციალური მიმღებლობის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურისტებსა და მასპინძლებს შორის პატივისცემის ზრდას კულტურის, ტრადიციების, განსხვავებულობის, იდენტობის ჭრილში. პირველ რიგში გააუმჯობესებს სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციის ხარისხს, ინტენსიურს განდის სოციალურ კავშირებს, იფორმაციათა მიმოცვლას და დადებითად აისახება განთავსების ობიექტების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

სოციალურ მიმღებლობასა და პასუხისმგებლიან ტურიზმს შეუძლია გაზარდოს სამომხმარებლოკმაყოფილებისმაჩვენებლები,გავლენამოახდინოსსაზოგადოების კულტურულ ცნობიერებაზე, გააუმჯობესოს სოციალური დამოკიდებულებები უცხოელების მიმართ, შეამციროს ქსენოფობიური დამოკიდებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალექსიძე, ლ. (2005) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.
2. ეიდე, ა., კრაუზე, კ., როსას, ა. (2006) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, სახელმძღვანელო.
3. სურმანიძე, მ (2020) ტურისტების სოციალური მიმღებლობა ბათუმის მოსახლეობაში. სამეცნიერო ჟურნალი: ინოვაციური ეკონომიკა და მართვა. https://www.researchgate.net/publication/341094523_turistebis_sotsialuri_mimghebloba_batumis_mosakhleobashi
4. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) (2022) „უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში“, გვ 36.. chrome-extension://kdpelmjpfafjppnhbloffcjpeomlnpah/https://tdi.ge/sites/default/files/tdi_ucxoelta_uplebrivi_mdgomareoba_da_rasizmi_sakartveloshi_2022_angarishi.pdf
5. Dimitrova, G., M. (2018) Responsible Tourism Responsible vs. Sustainable Tourism. https://www.researchgate.net/publication/354343149_Responsible_Tourism_Responsible_vs_Sustainable_Tourism
6. Hannah, M. (2020) Meet the black tourism entrepreneurs telling a fuller story of Paris. <https://www.telegraph.co.uk/travel/destinations/europe/france/paris/articles/black-tourism-entrepreneurs-telling-fuller-story-paris/>
7. Laapio, T. (2019) Special issues in Responsible Tourism. https://www.researchgate.net/publication/335061054_Special_issues_in_Responsible_Tourism
8. Smith T. (2016) „The Receptive Mind Aaron“. <https://www.psychologytoday.com/us/blog/true-believers/201604/the-receptive-mind->

სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოში

დოქტორი თეა კასრაძე, დოქტორანტი, ნათია ლაკია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირების პროგრამების ეფექტიანობის კვლევას საქართველოში. მასში შესწავლილია სახელმწიფო სუბსიდირების სხვადასხვა პროექტები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია აწარმოე საქართველოს მიერ განხორციელებულ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებზე 2014-2021 წლებში. მეორადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ სახელმწიფო სუბსიდირების პროექტები მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ეფექტებით ხასიათდებიან, გრძელვადიან პერიოდში ისინი ღირებულებას არ ქმნიან და დამატებით გავლენას ვერ ახდენენ საწარმოს შემოსავლის, ხარჯების და დასაქმების დონეზე.

საკვანძო სიტყვები: სუბსიდია, მცირე და საშუალო ბიზნესი, სუბსიდირების ეფექტიანობა, თანადაფინანსება, გრანტი

The Impact of State Subsidy Programs on Small and Medium-Sized Enterprises in Georgia

Abstract

The presented paper studies the effectiveness of small and medium business subsidy programs in Georgia. Various state subsidy projects are examined in it with special emphasis on the small and medium business promotion programs implemented by Enterprise Georgia in 2014-2021. Based on the analysis of the secondary data, the paper concludes that state subsidy projects are characterized by short-term and medium-term effects. They do not create value and cannot have an additional impact on the level of income, expenses and employment of the enterprise in the long run.

Keywords: Subsidies, small and medium-sized enterprises, effectiveness of subsidies, co-financing, grants.

შესავალი

მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის მდგრად დაინკლუზიურ განვითარებაში. ბაზრის უხილავი ხელი არის ის ფაქტორი რომელიც ბიზნეს არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს, მათ შორის არის უთანასწორობა რომელიც შეიძლება იყოს როგორც რეგიონალური ასევე სოციალური, სწორედ აღნიშნული ფაქტორები უბიძგებს მთავრობებს ბიზნესის სუბსიდირების პროგრამებისაკენ. ეს პროგრამები შექმნილია ბიზნესისთვის ფინანსური დახმარების, წახალისებისა და სხვა სახის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაც მიზნად ისახავს ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას, სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას და საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ბიზნესის სუბსიდირების პროგრამებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმები, დაწყებული საგადასახადო შეღავათებიდან და გრანტებიდან დამთავრებული დაბალპროცენტიანი სესხებით და პირდაპირი ფინანსური დახმარებით. ისინი, როგორც წესი, მორგებულია ინდუსტრიის სპეციფიკურ საჭიროებებზე, რეგიონული განვითარების მიზნებზე ან უფრო ფართო ეკონომიკურ მიზნებზე. მთავრობები აღნიშნულ რესურსებს მიმართავენ ისეთი სექტორებისკენ, როგორც აატექნოლოგია, სოფლის მეურნეობა, წარმოება, ან მცირე და საშუალო საწარმოები (SME), მათი სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით მთლიანი ეკონომიკისთვის. სუბსიდირების მიზანია ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ინოვაციებისა და ეკონომიკური აღმავლობის ხელშეწყობა. ფინანსური შეღავათებისა და წახალისების შეთავაზებით, მთავრობები ცდილობენ მოიზიდონ და შეინარჩუნონ ბიზნესი, წახალისონ ინვესტიციები კვლევასა და განვითარებაში და, საბოლოოდ, გაზარდონ ეკონომიკური ზრდა. უფრო მეტიც, ეს პროგრამები ხშირად თამაშობენ სასიცოცხლო როლს ბაზრის წარუმატებლობის აღმოფხვრაში, მრეწველობის მხარდაჭერაში ეკონომიკური ვარდნის დროს და უფრო ინკლუზიური და მდგრადი ბიზნეს ეკოსისტემის ხელშეწყობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის სუბსიდირების პროგრამები შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტები ეკონომიკური განვითარებისთვის, ისინი ასევე აჩენენ მნიშვნელოვან კითხვებს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და არასასურველი შედეგების პოტენციალის შესახებ. ბალანსის დამყარება ბიზნესისთვის მხარდაჭერისა და საჯარო სახსრების პასუხისმგებლობით გამოყენების უზრუნველყოფას შორის პოლიტიკის შემქმნელებისთვის მუდმივი გამოწვევაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამების

ეფექტიანობის კვლევა საქართველოში - მათი ბიზნესზე, ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე ფართო გავლენის შეფასება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოვყალიბეთ კვლევის ამოცანები: სუბსიდირების პროგრამების ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება, მათ შორის მისი როლის მცირე და საშუალო საწარმოების შემოსავლიანობის ზრდაში. კერძოდ,

- იმ სექტორების შესწავლა. რომელთა სუბსიდირებაც ხდება და რამდენად შეესაბამება აღნიშნული სექტორები ეროვნულ ეკონომიკურ პრიორიტეტებს.
- განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასება: კერძოდ ბიზნესის სუბსიდირების პროგრამების გავლენის შესწავლა მათ კონკურენტუნარიანობაზე და ინოვაციურობაზე. იმის კვლევა რამდენად სასარგებლოა სუბსიდირების პროგრამები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs), ვინაიდან არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბაზარი არასრულყოფილია, რაც ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობას ფინანსებზე.
- სუბსიდირების პროგრამების ეროვნულ, ეკონომიკურ მიზნებთან და პრიორიტეტებთან თანხვედრის შესწავლა. ბიზნესის სუბსიდირების პროგრამების გრძელვადიანი მდგრადობის და მათი ფისკალური შედეგების კვლევა.

ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან გამოიკვეთა ორი ძირითადი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემასაც შევეცდებით კვლევის საშუალებით::

- ზრდის თუ არა სუბსიდირება კომპანიების პროდუქტიულობას და მომგებიანობას?
- აქვს თუ არა სუბსიდია გრძელვადიანი ეფექტი ბიზნესზე?

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა იყენებს ფინანსურ მონაცემებს საჯაროდ ხელმისაწვდომი მაღალი სანდოობის მქონე წყაროებიდან. ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია ეფუძვნება მეორეული წყაროების ანალიზს. კერძოდ, გამოვიყენეთ: ტენდენციის ანალიზი, რომელიც დაგვჩვენებს წლების განმავლობაში სუბსიდირების პროგრამებში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესებში ტენდენციების შესწავლაში და სხვადასხვა ფინანსურ ცვლადებსა და ბაზრის ინდიკატორებს შორის კორელაციური ანალიზი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეკვლია

ურთიერთობები სუბსიდიას, საწარმოთა შემოსავლის დონეს, აქტივები ოდენობას, დასაქმების დონესა და სხვა მაჩვენებლებს შორის და გაგვეკეთებინა დასკვნების სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამების ბიზნესზე და საზოგადოებაზე გრძელვადიანი გავლენების შესახებ.

კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდირების პროგრამებს სახელმწიფო ეკონომიკაში სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს, ინფორმაცია კვლევისთვის მაინც საკმაოდ მწირია და არ იძლევა მთლიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ კვლევაში აქცენტი გავაკეთეთ აწარმოე საქართველოს პროექტებზე. შევისწავლეთ ის ბენეფიციარები, რომლებმაც 2017-2021 წლებში ისარგებლეს სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამებით და შემდგომ მოვანდინეთ მათი კვლევის შედეგების განზოგადება.

ლიტერატურის მიმოხილვა

90-იანი წლების შემდეგ სახელმწიფოს ჩართულობამ მცირე ზომის ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება სუბსიდირების პროგრამების როლი ისეთ ქვეყნებში სადაც ეკონომიკა ნაკლებად განვითარებულია, თუმცა ამ ნაწილში მეცნიერთა მოსაზრება ორ კატეგორიად იყოფა პირველი, რომელიც ამტკიცებს რომ სუბსიდირება მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს იძლევა და ზომები ეკონომიკის ნიშნები დაჰკრავს რაც გულისხმობს რომ არსებობს რიგი დარგებისა რომელიც უბრალოდ „ხელოვნურ სუნთქვაზე“ სუბსიდირების დახმარებით ვინაიდან ეს დარგები კონკურენტუნარიანი არ არის და მეორე რომელიც ამბობს რომ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე შერჩეულ იქნას შესაბამისი ინდუსტრიები რომლის დასუბსიდირება მოხდება რათა ფერმერებს და სხვა მწარმოებლებს ჰქონდეთ უფრო მეტი მოტივაცია გაზარდონ წარმოება რასაც შესაბამისი დადებითი ეფექტები მოყვება(მშპ-ს, დასაქმების ზრდა და ა.შ).


Decramer და Vanormelingen (2016) იკვლევენ სუბსიდირების პროგრამების გავლენას მცირე და საშუალო ბიზნესზე საფრანგეთში. მათ აღმოაჩინეს რომ სახელმწიფო პროგრამებს დადებითი ეფექტი აქვს დასაქმების, წარმოების და პროდუქტიულობის

დონეზე მხოლოდ მცირე ბიზნესის შემთხვევაში, თუმცა ის სარგებელი რომელსაც ამით საწარმო იღებს არ აღემატება სუბსიდის შედეგად გაწეულ დანახარჯს (Vanormelingen, 2016) (Decramer & Vanormelingen, 2016). Cerqua and Pellegrini (2014) იტალიის მაგალითზე აღნიშნავენ რომ ეფექტი აქტივების და შემოსავლის ზრდაზე პოზიტიურია თუმცა გავლენა პროდუქტიულობაზე უარყოფითია (Pellegrini & Cerqua, 2014). პელეგრინმა და მუჩიგროსომ (2017) გააანალიზეს იგივე პროგრამის გავლენა ფირმის დონეზე გადარჩენაზე და აღმოაჩინეს რომ დეფოლტის რისკი სუბსიდირებულ სტარტაპებში უფრო დაბალი იყო (Pellegrini & Adorno, The Impact of Capital Subsidies: New Estimations under Continuous Treatment, 2007) . ბერნინი (2017) გამოიკვლია სუბსიდიების გავლენა პროდუქტიულობაზე და აღმოაჩინა რომ მოკლევადიან პერიოდში ნეგატიური ეფექტი აქვს ხოლო გრძელვადიან პერიოდში შეიძლება ეფექტი პოზიტიური იყოს, დამატებით მან აღმოაჩინა რომ მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის ტექნოლოგიური განვითარება (Bernini, 2011). ჰოუელი (2017) იკვლევს R&D სუბსიდირების პროგრამებს ამერიკის მაგალითზე და აღნიშნავს რომ ის კომპანიები რომლებიც მსგავსი ტიპის სუბსიდირების პროგრამებს იღებენ პირველ ეტაპზე ორჯერ უფრო სწრაფად ვითარდებიან და ზრდიან კაპიტალის ოდენობას და შეიძლება ითქვას რომ მსგავსი პროგრამები ფირმის შემოსავლის დონეზეც ახდენს გავლენას (Lien, 2023). სავარაუდოა რომ ინტერესი იმ ფირმებისადმი რომლებიც კვლევა განვითარებაში დებენ ფინანსურ რესურსებს იზრდება რაც განპირობებულია იმით რომ ინვესტორები მეტად ინფორმირებულები არიან ამა თუ იმ ფირმის შესახებ.

საქართველოში, სუბსიდირების პროგრამებზე არსებული ლიტერატურის დიდი ნაწილი იკვლევს სოფლის მეურნეობის სუბსიდირების პროგრამებს (თაქთაქიშვილი 2016) თავის კვლევაში საუბრობს სუბსიდიების გავლენას ფერმერების შემოსავალზე, პროდუქტიულობასა და სოფლის განვითარებაზე . დასკვნები მიუთითებს პოზიტიურ კორელაციაზე მიზნობრივ სოფლის მეურნეობის სუბსიდიებსა და ფერმერთა საარსებო წყაროს გაუმჯობესებას შორის, მაგრამ ასევე აჩენს კითხვებს სუბსიდიების განაწილების მექანიზმების ეფექტურობის შესახებ. ნაშრომში აღნიშნავს რომ სუბსიდირების თანხის მოცულობა ახდენს გავლენას მწარმოებლურობის დონეზე საოჯახო მეურნეობების პირობებში და რომ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებს შეუძლია სოფლის მეურნეობის დარგის გამოცოცხლება და მწარმოებლურობის გაზრდა საქართველოში. ზოგიერთი კვლევა, როგორცაა (სხირტლაძე 2022) იძლევა საქართველოს სუბსიდირების პროგრამების შედარებით ანალიზს სხვა ქვეყნებთან. ეს პერსპექტივა პოლიტიკის

შემქმნელებსა და მკვლევარებს საშუალებას აძლევს გამოიტანონ გაკვეთილები გლობალური საუკეთესო პრაქტიკიდან, რაც ხელს უწყობს სუბსიდიების დიზაინისა და განხორციელების მუდმივ გაუმჯობესებას და ინოვაციებს (Skhirtladze & Papava, 2022).

სუბსიდირების შედეგების და გავლენის შეფასება საშუალებას გვაძლევს შევიქმნათ ერთგვარი წარმოდგენა სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამების და კვლევის მეთოდების შესახებ. აღსანიშნავია ფაქტი რომ ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგები ერთგვაროვანი არ არის, პირქით ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი კიარის ზემოთ განხილულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაანალიზებულია არამხოლოდ სუბსიდირების პროგრამის გავლენა მწარმოებლობაზე არამედ ისეთი ეფექტები როგორც არის ხელმისაწვდომობა კრედიტზე, შრომის განაწილებაზე, ხარჯებზე, შემოსავალზე და სხვა. მიუხედავად იმისა რომ ბოლო ათწლეულია საქართველო ახორციელებს სხვადასხვა სუბსიდირების პროგრამებს საკვანძო სექტორების სტიმულირებისთვის (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs)). ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და ზრდის ხელშეწყობის მიზნით კვლევები ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ მწირია. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა აქტიურად განიხილავს იმ საკითხს რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ გაცემულ სუბსიდიები გრძელვადიანი ეფექტებით არ ხასიათდება, თუ მას სისტემურა ხასიათი არ აქვს, ვინაიდან ერთჯერადად გაცემულ თანხებს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სოციალურ კეთილდღეობაზე, პირიქით ის ერთგვარ ტვირთსაც კი წარმოადგენს ეკონომიკისთვის. Inter-American Development Bank-ის ანგარიში განიხილავს ორ გზას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროცესში, პირველი ეს არის არაპირდაპირ მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს საგადასახადო შეღავათებს და მეორე პირდაპირი მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ზემოთ აღნიშნული სუსიდირების გავლენა ასახულია დიაგრამა N1




მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები საქართველოში

2017 წლიდან მოქმედებს საწარმოთა შემდეგი გრადაცია:

- მცირე საწარმოებისთვის - დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 50 და ბრუნვა 12 მლნ ლარს
- საშუალო საწარმოებისთვის - დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 249 და ბრუნვა 60 მლნ ლარი
- მსხვილი საწარმოებისთვის - დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 ს და ბრუნვა 60 მლნ ლარს.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობამ 2022 წელს 181.8 მილიარდი ლარი შეადგინა რაც წინა წლის ნიშნულს 20,8% ით აღემატება. აღსანიშნავია ფაქტი, რომ მთლიანი ბრუნვის 16.1% საშუალო ბიზნესზე ხოლო 18.3% მცირე ბიზნესზე მოდის.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები სანარმოთა ზომების მიხედვით, 2022 წელი




წყარო: საქსტატი 2023

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას 61.1% მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე.

2023 წლის მეორე კვარტლის საქსტატის მონაცემებით პროდუქციის მთლიანი გამოშვების 45,2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, საშუალოზე - 23.0 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 31.8 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები სანარმოთა ზომების მიხედვით, 2023 წლის II კვარტალი



წყარო: საქსტატი 2023

2019 წლის მსოფლიო ბანკის კვლევაში ბიზნესის წარმომადგენლების 26% მიიჩნევდა რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მათი ფუნქციონირების პროცესში. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით 2015 წელს შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა რომელიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს რამდენიმე ტიპის მხარდაჭერას სთავაზობს.

საქართველოში სუბსიდირების კიდევ ერთი გავრცელებული ფორმა არის **საგადასახადო სუბსიდია**, რომელიც კონკრეტულ ფიზიკურ თუ იურიდიული პირებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით. მაგალითად, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეები, რომელთა ბრუნვაც ხუთასიათასს ლარს არ აღემატება იბეგრებიან მხოლოდ შემოსავლის 1% ით (საქართველოს კანონი N3591, მუხლი 89, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010, გვ.11). დამატებით მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ადამიანები, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისგან. მიკრო მეწარმეები, რომელთა ბრუნვაც 30 000 ლარს არ აღემატება საშემოსავლო გადასახადს არ იხდიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმეებიც (რომლებიც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნებიან) რიგი შეღავათებით სარგებლობენ, მათ შორის არ აქვთ ვალდებულება წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, განსხვავებით პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოსგან.


სუბსიდირების პროგრამების მცირე და საშუალო ბიზნესზე გავლენის კვლევა



ნაშრომი იყენებს მეორადი მონაცემების ანალიზს. დამუშავდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული მონაცემები, რომელიც მოიცავს 2018-2023 წლის ინფორმაციას, ისეთ ცვლადებზე როგორც არის: შპს-ს ცვლილება; საწარმოთა ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა; კომპანიების ბრუნვა. ასევე აწარმოე საქართველოს 2014-2020 წლის ანგარიშები, აუდიტორული კომპანია BDO -ს დასკვნა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის ანგარიში (BDO, 2020).

2023 წლის საქსტატის მონაცემებით ქვეყანაში 950 ათასზე მეტი მეწარმე სუბიექტი არის რეგისტრირებული აქიდან 250 ათას აქვს აქტიური საწარმოს სტატუსი. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მაჩვენებელი 75%-ია. ქვეყნის გაცხადებული ეკონომიკური პოლიტიკაა კერძო სექტორის განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი გარდამტეხ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში, რაც ხელს უწყობს ერთის მხრივ ექსპორტის ზრდას და ინოვაციების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ ტექნოლოგიური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას.


ევროკავშირში დაახლოებით 26 მილიონზე მეტი მცირე და საშუალო ზომის საწარმო ფუნქციონირებს, რომელიც 100 მილიონი ადამიანისთვის სამუშაო ადგილებს უზრუნველყოფს და მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2/3-ს ქმნის. საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი 65%-ს, ხოლო მათი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 60%-ს აღემატება (2022 წ.) სწორედ ამიტომ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიიღო 2016-2021 და 2021-2025 წლის განვითარების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ინდუსტრიების ხელშეწყობას სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამების ფარგლებში. Fraser Institute-ის 2020 წლის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის საქართველომ მე-8 პოზიცია დაიკავა პოზიციის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორზე გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურმა პოლიტიკამ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დადებით ტენდენციამ და ახალი საგადასახადო სისტემის შემუშავებამ. დამატებით გავლენა ჰქონდა ასევე ბიზნესის დასუბსიდირების პროგრამებს.

როდესაც სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამებზე ვსაუბრობთ, ვაკეთებთ დაშვებას რომ ესა თუ ის პროექტი გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ ინდიკატორებზე როგორც არის, დასაქმების დონე, შემოსავლების დონე, მშპ და ასე შემდეგ. მეორე დაშვება რომელიც კეთდება მსგავსი ტიპის კვლევების დროს არის ის რომ სუბსიდირება გავლენას ახდენს ინდუსტრიაზე და არა მხოლოდ კონკრეტულ მეწარმე სუბიექტებზე, ზემოთ აღნიშნული მიდგომა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ეფექტიანობის მაჩვენებელი და გავლენის დონე. ჩვენი კვლევის ფარგლებში ქვემოთ მიმოვიხილავთ აწარმოე საქართველოს გავლენას ეკონომიკის სხვადასხვა მაჩვენებელზე. აწარმოე საქართველოს მიერ 2014 წლიდან გაცემული სუბსიდირების ოდენობა მოცემულია დიაგრამაში






წყარო: საქსტატი 2023




აწარმოე საქართველოს ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარების შემოსავლების წილი მთლიან SME სეგმენტში 15% შეადგენს. 2021 წელს ბენეფიციართა შემოსავლების მაჩვენებელმა SME სეგმენტის შესაბამისი სექტორების ჯამური შემოსავლის 16% შეადგინა. 2017-2021 წლებში სააგენტოს მიერ გამოკითხული ბენეფიციარების შემოსავლების წლიური ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება SME სეგმენტის შესაბამისი სექტორების შემოსავლების ზრდის წლიურ მაჩვენებლებს. SME სეგმენტის 2017-2021 წლების პერიოდში წლიურმა ზრდის ტემპმა (CAGR) 8.5%

შეადგინა, გამოკითხული ბენეფიციარების კი - 36.8%



2021 წელს ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, მათი 2020 წლის აქტივების ღირებულების წილი მთლიან SME სეგმენტში შეადგენდა 21%-ს. სააგენტოს გამოკითხული ბენეფიციარი კომპანიების აქტივების ჯამურმა ღირებულებამ 670 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო SME სეგმენტის აქტივების ჯამურმა ღირებულებამ, შესაბამის ეკონომიკურ სექტორებში - 3.2 მლრდ ლარი. 2017 წელს ბენეფიციართა აქტივების ღირებულება SME სეგმენტის 12%-ს შეადგენდა. შესაბამისად 2020 წლამდე ეს მაჩვენებელი 9% პროცენტული პუნქტით გაიზარდა.



ქვემოთ წარმოდგენილია 2017-2021 წლების განმავლობაში სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების პროცენტული ცვლილება

შემოსავლები (მლნ ლარი)									
ეკონომიკური სექტორი	2017	2018	YoY	2019	YoY	2020	YoY	2021	YoY
კვების პროდუქტების წარმოება	16.3	20.5	25%	24.6	20%	28.4	16%	32.8	15%
სასმელების წარმოება	22.8	31.8	40%	39.8	25%	41.6	5%	57.5	38%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	-	2.5	-	3.2	31%	4.4	37%
ქალაქის და ქალაქის წარმოების წარმოება	31.8	39.2	23%	50.9	30%	53	4%	69.6	31%
ბეჭდვა და მედია- ჩანაწერების აღწერა	4.5	7.5	69%	10.9	44%	4.9	-55%	6.5	32%
რეზინის და პლასტმასის წარმოების წარმოება	11.2	17.8	59%	21.3	20%	28.5	33%	39.3	38%
სხვა არალიტონური მინერალური პროდუქტების წარმოება	97.6	137	40%	217.2	59%	177.2	-18%	172.8	-2%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მონწყობილობების გარდა	44.6	61.3	37%	78.5	28%	81.2	3%	152.1	87%
ავიჯის წარმოება	18.3	21.7	18%	24.8	14%	25.8	4%	43.2	68%
განთავსების საშუალებებით უმრუველყოფა	2.1	5.5	165%	7.5	37%	9.4	25%	15.7	67%
სულ	249.2	342.3	37%	477.9	40%	453.2	-5%	593.9	31%

მთლიანი აქტივები (მლნ ლარი)									
ეკონომიკური სექტორი	2017	2018	YoY	2019	YoY	2020	YoY	2021	YoY
კვების პროდუქტების წარმოება	9.2	16.3	76%	28.4	75%	31.2	10%	34.4	10%
სასმელების წარმოება	70.5	75.7	7%	87.3	15%	98.7	13%	111.4	13%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	-	11.6	-	13.6	17%	15.6	15%
ქალაქის და ქალაქის წარმოების წარმოება	28.3	37.7	33%	53	41%	64.8	22%	78.8	22%
ბეჭდვა და მედია- ჩანაწერების აღწერა	5.6	6.9	24%	8.9	29%	8.9	0%	9.3	5%
რეზინის და პლასტმასის წარმოების წარმოება	7.1	7.9	12%	8.8	10%	12.2	39%	21.3	74%
სხვა არალიტონური მინერალური პროდუქტების წარმოება	78.3	122.4	56%	166.1	36%	207.9	25%	242.5	17%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მონწყობილობების გარდა	44.2	54.7	24%	72.3	32%	101.6	41%	123	21%
ავიჯის წარმოება	8.6	13.4	56%	17.9	34%	21.1	18%	24.7	17%
განთავსების საშუალებებით უმრუველყოფა	19.5	44	125%	79.1	80%	102.3	29%	146	43%
სულ	271.2	379	40%	533.4	41%	662.3	24%	807.1	22%

მთლიანი ხესხი (მლნ ლარი)									
ეკონომიკური სექტორი	2017	2018	YoY	2019	YoY	2020	YoY	2021	YoY
კვების პროდუქტების წარმოება	3.9	9.3	140%	21.8	134%	23.1	6%	22.9	-1%
სასმელების წარმოება	36	33.3	-7%	39.5	19%	49.6	25%	48.6	-2%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	-	2.3	-	2.3	-1%	2.3	1%
ქალაქის და ქალაქის ნაწარმის წარმოება	8.8	13	48%	20.9	61%	26.5	27%	24.8	-6%
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	2.2	2.5	15%	3	20%	3.7	24%	5.3	43%
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	5.6	8.8	59%	9.9	13%	12.5	26%	17.5	40%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	20.7	28.8	39%	53.1	84%	78.2	47%	76	-3%
ლითონის შპა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	12.2	17.3	41%	31	80%	41.6	34%	52.9	27%
ავეჯის წარმოება	1.8	5.2	187%	8.8	70%	11.7	33%	10.3	-12%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	6	23.4	293%	46.1	97%	68.7	49%	73.1	6%
სულ	97.1	141.6	46%	236.4	67%	317.7	34%	333.6	5%

წყარო: აწარმოე საქართველო

Debt/Asset Ratio					
ეკონომიკური სექტორი	2017	2018	2019	2020	2021
კვების პროდუქტების წარმოება	42%	57%	77%	74%	67%
სასმელების წარმოება	51%	44%	45%	50%	44%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	20%	17%	15%
ქალაქის და ქალაქის ნაწარმის წარმოება	31%	34%	39%	41%	31%
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	39%	37%	34%	42%	56%
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	79%	111%	114%	103%	82%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	26%	24%	32%	38%	31%
ლითონის შპა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	28%	32%	43%	41%	43%
ავეჯის წარმოება	21%	39%	49%	55%	42%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	30%	53%	58%	67%	50%
სულ	36%	37%	44%	48%	41%

წყარო: აწარმოე საქართველოში (ბენეფიციარი საწარმოს დაკრედიტების (Debt/Asset) გამოსათვლელად, გაცემული სესხების რაოდენობა გაიყო აქტივების ჯამურ ღირებულებაზე)

თუ ტენდენციას დავაკვირდებით, დავინახავთ რომ 2014 წლიდან სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხების ოდენობა მზარდია. რაც მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში შოკურ გავლენას ახდენს ბენეფიციარი კომპანიების შემოსავლებზე და აქტივების ღირებულებაზე. ეს ლოგიკურიც არის, ვიანიდან კომპანიისთვის სუბსიდირებით მიღებული თანხა შემოსავალს წარმოადგენს ერთის მხრივ რაც მოკლევადიან აქტივებს ანუ ფულის მასას ზრდის კომპანიაში და პოზიტიურად აისახება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული ეფექტი ქრება სწორედ ამიტომ არის რომ მაგალითად ბოლო 2019, 2020 და 2021 წლებში მცირდება როგორც ამ ბენეფიციარების შემოსავალი ასევე მთლიანი აქტივების ღირებულება. დამატებით თუ დავაკვირდებით (Debt/Asset) Ratio კოეფიციენტს დავინახავთ, რომ ძირითად ინდუსტრიულ მართულებებში ვალის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი იზრდება, საწარმოს ვალდებულებები მზარდია გრძელვადიან პერიოდში, ხოლო აქტივების ღირებულება მცირდება. დროთა განმავლობაში საწარმოს იმაზე მეტი ვალდებულება აქვს ვიდრე აქტივი, აქედან გამომდინარე მისი ლიკვიდურობა დაბალია. ეკონომიკაში მსგავსი ზიტიპის კომპანიებს „ზომბი კომპანიები“ ეწოდება, რაც გულისხმობს, რომ ისინი უბრალოდ ტვირთია და სარგებლის მოტანა არ შეუძლიათ ინდუსტრიისთვის. სუბსიდირების მაშტაბურობით, რაც გულისხმობს, რომ მის მიზანს არა მხოლოდ კონკრეტული ბენეფიციარის სარგებლის ზრდა, არამედ ინდუსტრიის ზრდა წარმოადგენს, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირება არ ხასიათდება.. შესაბამისად მას პოზიტიური გავლენა არ აქვს მცირე და საშუალო ბიზნესზე.

დამატებით ცხრილი N5 ში PSPP - ის საშუალებით დათვლილია კორელაცია სუბსიდირების შედეგად გაცემულ თანხას, ბენეფიციართა შემოსავალსა და დასაქმების დონეს შორის.

Correlations

		subsidia	Shenosavali	aqtivebi	dasaqmeba
subsidia	Pearson Correlation	1.000	.858	.902 ^a	-.699
	Sig. (2-tailed)		.063	.036	.189
	N	5	5	5	5
Shenosavali	Pearson Correlation	.858	1.000	.941 ^a	-.935 ^a
	Sig. (2-tailed)	.063		.017	.020
	N	5	5	5	5
aqtivebi	Pearson Correlation	.902 ^a	.941 ^a	1.000	-.921 ^a
	Sig. (2-tailed)	.036	.017		.027
	N	5	5	5	5
dasaqmeba	Pearson Correlation	-.699	-.935 ^a	-.921 ^a	1.000
	Sig. (2-tailed)	.189	.020	.027	
	N	5	5	5	5

a. Significant at .05 level

კვლევის შედეგად დადგინდა რომ კორელაციური კავშირი სუბსიდირებასა და დასაქმების დონეს შორის არ არსებობს, თუმცა შემოსავალზე და აქტივების ღირებულებაზე დადებითი გავლენა აქვს. კორელაცია დათვლილია 5 წლის მონაცემების საფუძველზე. შეიძლება ითქვას რომ აღნიშნული მაჩვენებელი ერთგვარ ბუტაფორიას ქმნის, ვინაიდან არ ჩანს, რომ მიღებული სესხების (ვალდებულების) საფუძველზე ხდება კაპიტალის ზრდა, რაც გავლენას ახდენს აქტივების და შემოსავლების კოეფიციენტზე ვალდებულების ზრდის ხარჯზე, რაც თავისმხრივ საწარმოს ლიკვიდურობას უქმნის საფრთხეს. შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ აღნიშნული ეფექტი გვხვდება მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერიოდში გავლენა არ აქვს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო სუბსიდირების პროექტები მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ეფექტებით ხასიათდება და გრძელვადიან პერიოდში ღირებულებას არ ქმნის. სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს სუბსიდირების პროგრამებს, თუმცა ეფექტი ეკონომიკის ისეთ ინდიკატორებზე, როგორც არის დასაქმების დონე, საწარმოთა შემოსავლიანობა და ა.შ დაბალია. მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბსიდირების თითქმის 70% აწარმოე საქართველოზე მოდის. პროგრამის ფარგლებში მიღებული შედეგები ზოგადია, შესაბამისად რთულია ეფექტიანობის შეფასება. როგორც საერთაშორისო ლიტერატურის, ასევე ადგილობრივი კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ სუბსიდირება ძირითად შემთხვევაში საერთოდ არ წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების საშუალებას. პირიქით, ზოგჯერ მათი გაზარდაცების მიზეზიც კი ხდება. აღნიშნულს განსაკუთრებით ვხვდებით იმ შემთხვევაში, როდესაც სუბსიდირება არასწორად არის დაგეგმილი და კონტროლის მექანიზმები არ არსებობს. ამის ნათელი მაგალითია ქართული სუბსიდირების პროგრამები, როდესაც არამიზნობივად არის გაცემული გრანტები ისეთ საწარმოებზე, რომლებსაც ან სახელმწიფო ვალი ქონდათ ან შესაბამისი ბიზნეს გეგმა არ ქონდათ წარმოდგენილი. დამატებით კვლევის შედეგად გამოვლინდა ისეთი ფაქტები, როდესაც არასწორად იყო ფინანსურ ანგარიშგებაში სუბსიდირების თანხები ასახული და ხელოვნურად იყო ანაზღაურების ხარჯები გაზრდილი. ასევე ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებდნენ სუბსიდირების გაცემას არ არეგულდნენ მათთვის კანონით განსაზღვრულ მოვალეობებს და შუალედურ ანგარიშგებებს არ ითხოვდნენ ბენეფიციარებისგან,

მათ მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ანგარიშგებები ზოგადია და არ იძლევა კორელაციური კავშირის დანახვის საშუალებას. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ქმნის „ზომბი ეკონომიკის“ (პაპავა, 2020) ნიშნებს, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ლიბერალურ და თავისუფალ ბაზართან, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ბაზრის ყველა მონაწილეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აწარმოე, ს. (2021). *წლიური ანგარიში 2020*. თბილისი: აწარმოე საქართველოში.
2. BDO. (2020). *აწარმოე საქართველოში პროგრამის აუდიტორული ანგარიში*. თბილისი: აწარმოე საქართველო.
3. სამინისტრო, ს. გ. (2023). *საქართველოს დაბალემისინი გრძელვადიანი განვითარების პროგრამა*. თბილისი: USAID.
4. სამსახური, ს. ა. (2022). *ეფექტიანობის აუდიტი 2021*. თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
5. პაპავა, ვ. (2020). *არატრადიციული ეკონომიკის*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. Bernini, C. (2011). How are growth and productivity in private firms affected by public subsidy? Evidence from a regional policy. *Google Scholar*, 22-25.
7. Decramer, S., & Vanormelingen, S. (2016). The effectiveness of investment subsidies: evidence from a regression discontinuity design. *Springerlink*, 4.
8. Gebremichael, B. A. (2020). The Impact of subsidies on Growth of small and medium Entreprises. *Google scholar*, 11-15.
9. Kumbhakar, S. C., & Li, M. (2023). Do subsidies matter in productivity and profitability changes? *Science Direct*, 5-8.
10. Lien, G. (2023). Do subsidies matter in productivity and profitability changes ? *Science Direct*, 12-13.
11. McKenzie, D. (2017). How Effective Are Active Labor Market Policies in Developing Countries? A Critical Review of Recent Evidence. *Research Observer*, 18-21.
12. Skhirtladze, S., & Papava, G. (2022). IMPACT OF PUBLIC SUBSIDIES ON MICRO AND SMALL. *JOURNAL OF EASTERN EUROPEAN AND CENTRAL ASIAN RESEARCH*, 3-6.
13. Pellegrini, G., & Adorno, V. (2007). The Impact of Capital Subsidies: New Estimations under Continuous Treatment. *ResearchGate*, 8.
14. Pellegrini, G., & Cerqua, A. (2014). Do subsidies to private capital boost firms' growth? A multiple regression discontinuity design approach. *EconPapers* , 18-20.
15. Pérez-Méndez, J. A. (2019). Evaluating the effect of subsidies for rural development on agri-

food and forestry firms. *Research Gate*, 23-26.

16. Vanormelingen, S. (2016). The effectiveness of investment subsidies: evidence from a regression discontinuity design. *EconPapers* , 12-15.



IBSU



2, David Agmashenebeli Alley, 13th km.
Tbilisi, 0131, Georgia
Phone: 0322 800 064
<https://ibsu.edu.ge>
<https://silkroad.ibsu.edu.ge>
silkroad@ibsu.edu.ge